

6-29



# ს ა ქ ა რ თ ვ ი ლ ი ს

სოციალისტური სამართლა რესპუბლიკის

მუნიციპალიტეტის მთავრობის კანონის  
მიხედვის მიზანით განკუთხული კომისიი.

1923 წ.

№ 1

აგვისტოს 10.

19  $\frac{1}{I}$  — 30  $\frac{VI}{VI}$  23.

— · · · · · —

იუსტიციის სახალხო კომისარიატის გამოცემა.

ტყილისი.

ს. გ. ს. პოლიგრაფგანკ. მე 3 სტამბა, კალოებნის ქ. № 5.

1923 წ.



# ს ა ქ ა რ თ ვ ა ნ გ ი ს

სოციალისტური სამართლის რეპუბლიკის

გუათა და გრუსთა გთავარობის კანონ-  
თა და განყარგულებათა კრებული.

1923 წ.

№ 1

აგვისტოს 10.

$19 \frac{1}{I} - \frac{30}{VI} 23.$

• • • • •

იუსტიციის სახალხო კომისარიათის გამოცხა.

ტფ ი ლ ი ს ი.

ს. მ. უ. ს. პოლიგროვგანუ. მე-3 სტამბა, კალოუბნის ქ. № 5.  
1923 წ.

ନଂ 1398, ଟିକ୍ରାଙ୍ଗ 1000.

## ସାହାରତବେଳା

ଶ୍ରୀମଦ୍ଭଗବତପ୍ରକାଶନ ପରିଚୟ ଓ ସଂପଦିକାଳିକା

# ପ୍ରେସ୍‌ରେଲେଖା. ବ୍ୟାକୁଲାବ୍ୟାକୁଲା ପରମାତ୍ମାରେ

ଅଧ୍ୟାତ୍ମିକ, ଧର୍ମଶାସ୍ତ୍ରିକ, ପରମାତ୍ମାରେ ଏବଂ ଜୀବଶାସ୍ତ୍ରରେ.

# 1.

## დ ე პ რ ე ტ ი

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრ. კომიტეტისა და სა-  
ქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოსი.

სამომხმარებლო კოოპერაციის შესახებ.

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭო აღიარებენ სამომხმარებლო კოოპერაციას ქვეყნის საზოგადოებრივი წყობილების განუყოფელ და მუცილებელ ნაწილად და ისახვენ თავის მიზნად—უკველნაირად ხელი შეუწყონ მას—მთლად მოსახლეობის სამომხმარებლო საქიროებათა დაქმაყოფილების საქმეში, აგრეთვე სახელმწიფო მრეწველობისა და სასოფლო მეურნეობის შორის შეიძლო კავშირის დამყარებაში,—და ამის გამო, ადგენენ:

1. ყველან ქალაქში, საქარხნო-საფარიკო რაიონში და სოფლად ამ უმაღ არსებული ყველა სამომხმარებლო კოოპერატივები (საზოგადოება, ამხანაგობა და სხვ.) გაერთდებიან და მოეწყონიან ერთ სამომხმარებლო საზოგადოებად—ერთიანი სამომხმარებლო საზოგადოების სახით.

2. ქალაქიდ, საქარხნო-საფარიკო რაიონში და სოფლად, მიუხედავად მათი სივრცისა, არ შეიძლება იყოს ერთ სამომხმარებლო საზოგადოებაზე მეტი. სამომხმარებლო საზოგადოებას შეუძლიან დააქმაყოფილოს ორი ან რამდენიმე ახლო მდებარე დასახლებული პუნქტი.

3. ყოველი მოქალაქე უწყებული ადგილისა უნდა ჩაირიცხოს ერთიან სამომხმარებლო საზოგადოებაში. თვითეული მოქალაქე მიეწერება ერთ-ერთ პუნქტს სამომხმარებლო საზოგადოებისას.

4. ერთიანი სამომხმარებლო საზოგადოების ფარგლებში მოქალაქეთა შეერთება შეიძლება უფრო მცირე ტერიტორიალურ ერთეულებად, ან ისეთ პირთა ჯგუფებად, რომელიც მისდევენ ერთ და იმავე მრეწველობას.

ყოველი ამგვარი შენაერთისათვის სავალდებულოა რეგისტრაცია და დამტკიცება იმ ერთიანი სამომხმარებლო საზოგადოების გამგეობის მიერ, რომლის რაიონშიაც იგი მოეწყო.

ამგვარ შენაერთში წევრად შესვლა და გამოსვლა ნებაყოფლო-

ბითია. ერთსა და იმავე დროს წევრად ყოფნა ერთზე მეტ ნებაყოფლობითი შენაერთში—შეუძლებელია.

5. სოფლად ერთიანი სამომხმარებლო საზოგადოების ფარგალში გლეხთა მოსახლეობისათვის ნებაყოფლობითი შენაერთის მოწყობა შეიძლება მხოლოდ საწარმოვი ან სასოფლო-სამეურნეო ხასიათისა. სოფლად ნებაყოფლობითი შეერთება მარტოოდენ სამომხმარებლო ფუნქციებით შეძლება მხოლოდ ცენტრალური კავშირის ნებადართვით თვითოვეულ ცალკე შემთხვევაში.

6. ყოველ ზემოსხენებულ ნებაყოფლობითი შენაერთს უფლება აქვს იმ ერთიანი სამომხმარებლო საზოგადოების მეშვეობით, რომლის რაიონშიაც იგი მოქმედობს, შეიძინოს თავის წევრთათვის ყოველგვარი სურსათ-სანოვაგე და სხვა საგანი მონაწილეთა მიერ დამატებითი გადასახადის (ფულად ან ნატურით) შეტანით.

7. სამომხმარებლო საზოგადოებათ და მათ კავშირებს ენიჭებათ იურიდიული პიროვნების უფლებანი, ე. ი. უფლება საქართველო-საფაზრის მრეწველობისა და სასოფლო სამეურნეო წარმოების პროდუქტებისა, აგრეთვე შინა-მრეწველობისა და ხელოსნობის ნაკეთობის გაცვლისა, შესყიდვისა და გასაღებისა.

ამ მიზნის განსახორციელებლად სამომხმარებლო საზოგადოებათ ნება ეძლევათ დასტონ ყოველგვარი ხელშეკრულება, რომელიც არ ეწინააღმდევება საბჭოთა კანონმდებლობას, როგორც მაგალითად დაზიანებისა, მიწოდებისა, გადამუშავებისა, შენახვისა, გაწმენდისა, ზემოაღნიშული პროდუქტების შეგროვებისა, იარაღებისა და მასალების მომარაგების შესახებ და ამ ხელშეკრულებათა მიხედვით მიიღონ თავიანთ თავზე ვალდებულება და სხვა ამისთ.

8. სამომხმარებლო საზოგადოებათ და მათ კავშირს (ცეკავშირს) უფლება აქვთ მოაწყონ საწარმონი პროდუქტების მოპოვებისა და გადამუშავებისათვის. აგრეთვე მოაწყონ ბოსტნები, რძის ფერწები და სხვა ამგვარი საწარმონი; შეასრულონ მომარაგებისა, დამზადებისა და განაწილების საქმეში ნებაყოფლობითი სამომხმარებლო შენაერთებისა, სახელმწიფო დაწესებულებათა და კერძო პირთა დავლებანი.

სამეურნეო მოქმედებასთან ერთად ნება ეძლევათ აწარმოონ ყოველგვარი გამოკვლევანი, გამოსცენ პრიორული და სხვ. გამოცემანი, დაარსონ ერთიანი სამომხმარებლო საზოგადოებათა და მათ კავშირთა საჭიროებისათვის ხელისშემწყო დაწესებულებანი.

9. სამომხმარებლო საზოგადოებათ და მათ კავშირს (ცეკავშირს) სახელმწიფო აკისრებს ხელშეკრულების საფუძველზე შემდეგ ვალდებულებას:

ა) შესრულება სახელმწიფო ორგანოთა მიერ შენაკვეთისა ნედლი მასალისა, და სასოფლო-მეურნეობის პროცესტების დამზადების სფეროში;

ბ) მიყიდვა მცხოვრებლებისათვის ყოველგვარი სასურსათო და ფართო მოხმარების საგნების, რომელიც დამზადებული იქნება სახელმწიფოს ფაბრიკა-ქარხნებში, მიღებული საიჯარო საკონცესიო საწარმოთაგან, ან და შემოტანილი საზღვარგარეთიდან.

10. სამომხმარებლო საზოგადოებათ და კავშირს (ცეკვაშირს) უფლება ეძლევათ გადახდევინონ თავიინთ წევრებს ჩასაწერი და საპაიონ გადასახადები და ავანსები, ამასთანავე მოსახლეობის ულარიბესი ჯგუფებისათვის მონაცილეობა სამომხმარებლო საზოგადოებაში უზრუნველყოფილ უნდა იქნეს განსაკუთრებული წესებით.

11. ერთიანი სამომხმარებლო საზოგადოების სათავეში სდგას არა ნაკლებ სამი წევრისაგან შემღვარი გამგეობა და სარევიზიო კომისია, რომელთაც აირჩევს წევრთა საზოგადო კრება.

აქტიური და პასური არჩევნების უფლება აქვს ყველა მოქალაქეს, გარდა ისეთებისა, რომელთაც ჩამორთმეული აქვთ საარჩევნო უფლება საბჭოთა კონსტიტუციისა და სასამართლო ორგანოების დაღვენილების თანხმად, იმისდა მოუხდავად, შეტანილ ექნებათ თუ არა ჩასაწერი და საპაიონ გადასახადი.

12. რესპუბლიკის ტერიტორიაზე ერთიანი სამომხმარებლო საზოგადოებანი შექრთდებიან ერთ საქართველოს ცენტრალურ კოოპერატიულ კავშირიდ (ცეკვაშირში). გამგეობა და სარევიზიო კომისია ცენტრალური კოოპერატიული კავშირისა (ცეკვაშირისა) ამოირჩევა იმ სამომხმარებლო საზოგადოებათა, სატრანსპორტო სამომხმარებლო საზოგადოებათა და სამხედრო კოოპერატიული ორგანიზაციების რწმუნებულთა კრებებზე, რომელნიც შედიან ცენტრალურ კოოპერატიულ კავშირში.

13. რათა სამომხმარებლო კოოპერაციის საქმეში მუშათა კლასის სათანადო გავლენა და ხელმძღვანელობა უზრუნველყოფილ იქნეს, პროფესიონალური კავშირების საბჭოებს უფლება აქვთ წარგზავნონ, როგორც სამომხმარებლო საზოგადოების კრებებზე, ისე კავშირებში თავიინთი წარმომადგენელნი, —გადამზუდეტი ხმის უფლებით, —რიცხვით არა უმეტეს შექრებილთა ერთ მესამედისა.

14. ყველა დღემდის გამოცემული დებულება და დეკრეტი საქართველოს სამომხმარებლო კოოპერაციის შესახებ, რომელიც ეწინააღმდეგება ამა დეკრეტს, გაუქმებულ იქნეს.

15. ამა დეკრეტის განმარტებისა და განვითარების მიზნით ცენტრალურ კავშირს (ცეკავშირს) უფლება გძლევა გამოსცეს საქართველოს საზღვრებში მომზედ სამომხმარებლო კოოპერატივებისათვის სავალდებულო და ფარიზის და დებულებანი.

16. დეკრეტი ესე ძალაში შედის დღიდან მისი გამოქვეყნებისა.

სრულიად საქართვ. საბჭ. ცენტრ. აღმ.  
კომიტეტის თავმჯდ. მთად. მ. ცხაკაია.

საქარ. სოც. საბჭ. რესპ. სახ. კომ.  
საბჭოს თავმჯდ. მთად. მ. ორაზელაშვილი.

სრულიად საქართ. საბჭოთა ცენტრ.  
აღმასრ. კომიტეტის მდივანი საბაშვილი.

1923 წ. იანვრის 24.

ტფილისი — სასახლე.

გამოქვეყნებულია გაზ. „კომუნისტის“ მე-18 №-ზი 1923 წ. იანვრის 26.

## 2.

### დ ე პ ჩ ე ტ ი

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი — სა და საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის ხახალხი კომისართა საბჭოსი.

საერთო-სახელმწიფო მინისტრობის სამკურნალო ადგილების (კურორტების) შესახებ.

რადგანაც სამკურნალო ადგილების (კურორტების) სამკურნალო თვისებას აქვს საერთო-სახელმწიფო გრძელი მნიშვნელობა მშრომელთა აქტიმობისა და მათი ჯანმრთელობის აღდგენისათვის და აგრძოლვე იმ მიზნით, რათა სამკურნალო ადგილები წესიერად იქნეს გამოყენებული საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის მთელი მშრომელი მოსახლეობის საჭიროებისათვის, სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის ხახალხი კომისართა საბჭო ადგენენ:

1. სამკურნალო ადგილებს (კურორტებს) მიეკუთვნება: а) ადგილები სამკურნალო (მინერალური და ქიმიურად ნეიტრალური) წყალით ან სამკურნალო ტალახით, ბ) მარილოვანი ტბისა და ზღვის საბანოე-

ბი, გ) კლიმატიური და მთა ადგილის სადგურები და დ) აღვილები კუ-  
მისით აქმობის სარგებლობისათვის.

2. სამკურნალო ადგილი (კურორტი) საქართველოს რესპუბლი-  
კის ტერიტორიის რომელ კუთხეშიაც უნდა იყოს იგი და ვისაც უნ-  
და ეკუთვნოდეს, ყველა ანაგებით, შენობით და მოძრავი ქონებით,  
რაც წინად ხელს უწყობდა კურორტს და რაც არის კურორტთან შე-  
ერთებულ და მასზე მიწერილ მიწაზე, უფადენს რესპუბლიკის საკუ-  
თხებას და გამოყენებულ უნდა იქნეს სამკურნალო მიზნებისათვის.

3. სამკურნალო ადგილები (კურორტები) შეიძლება გამოცხადე-  
ბულ იქნეს საერთო-სახელმწიფოებრივი ან ადგილობრივი მნიშვნელო-  
ბის მქონე ადგილებად.

4. საერთო სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის ადგილიდ შეიძლე-  
ბა აღიარებულ იქნეს მხოლოდ ისეთი სამკურნალო ადგილი (კურორ-  
ტი): 1) რომელსაც ჯანმრთელობის სახ. კომისარიატის დასკვნით აქვს  
თვალსაჩინო მნიშვნელობა თვითი მინერალური წყლებისა, მინერა-  
ლური ტალახისა და სხვა შემადგენელობით და სამკურნალო თვისე-  
ბებით და აგრეთვე არსებული მოწყობილობით ავაღმყოფთა წამლობი-  
სათვის და 2) რომელსაც სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოს  
სამთო განკუთვილების დასკვნით აქვს მუდმივი უზრუნველყოფილი ნა-  
კადი წყლისა ან მარაგი მინერალური ტალახისა საქაო რაოდენობით.

5. სამკურნალო ადგილი (კურორტი) საერთო-სახელმწიფოებრივი  
მნიშვნელობისად გამოცხადება ჯანმრთელობის სახალხო კომისარია-  
ტის დადგენილებით, რომელიც დამტკიცებულ უნდა იქნეს საქართვე-  
ლოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახ. კომისართა საბჭოს მიერ.

6. სამკურნალო ადგილებში (კურორტებში), რომელიც ცნობილ  
იქნება საერთო-სახელმწიფოებრივი მნიშვნელობისად, სამკურნალო  
წყლებისა და სამკურნალო ტალახის წყაროების დასაცავად წახდენისა  
და დაშრეტისაგან მოეწყობა სამთო დაცვის ოლქი; სამთო დაცვა  
შეიძლება მოეწყოს აგრეთვე სასმელი წყაროებისათვისაც, რო-  
მელიც აუცილებელია სამკურნალო ადგილების საჭიროებისათვის.

7. საერთო-სახელმწიფოებრივი მნიშვნელობისად აღიარებული სა-  
მკურნალო ადგილების (კურორტების) დასაცავად სანიტარული მხრით,  
მოეწყობა სანიტარული დაცვის ოლქი, რომლის საზღვრებში შედის  
თვით სამკურნალო ადგილის სივრცეც. სანიტარული დაცვის ოლქში  
უნდა შევიდეს ყველა ის წყარო, რომელიც ამა თუ იმ სამკურნალო  
ადგილს აწვდის სასმელ წყოლს.

8. სამთო და სანიტარული დაცვის ოლქების საზღვარის დაწესება  
და შეცვლა მოხდება ჯანმრთელობის სახ. კომისარიატის დადგენილებით.

**შენიშვნა.** ჯანმრთელების სახ. კომისარიატის დადგენილება საზღვრების შეცვლის თაობაზე, უკეთუ იგი შეეხება ოფიც სამკურნალო აღვილის სივრცის გადიდებას, დამტკიცებულ უნდა იქნეს საქართველოს სახალხო კომისართა საბჭოს მიერ.

9. ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატის ნება ეძღვა გმოსცეს სავალდებულო დადგენილებანი იმ წესის შესახებ, რაც შესრულებულ უნდა იქნეს დაცვის ოლქის ფარგლებში მინერალურ წყალთა წყაროების წესიერად შენახვისათვის და მთთან არსებული სამკურნალო დაწებულებათა გაუმჯობესებისათვის სანიტარულის მხრით.

10. საერთო-სახელმწიფო მინშენელობის სამკურნალო აღგილების (კურორტების) სამთო-სანიტარული დაცვის რიონში საკურორტო მშართველობის გამგებლობაში გადადის ყველა სამკურნალო დაწესებულება (სანატორიუმი, რალახები, წყალ-ელექტრონის სამკურნალო და სხვ.), მინერალური წყაროები, მარილოვანი და ტალაბის ტბები, პლიაზი, კლიმატიური სადგურები, ყველა საცხოვრებელი და სამკურნალო შენობა ცოცხალი და უსულო ინვენტარით, რაც შეაღენს სამკურნალო დაწესებულებათა საჭირობას და აგრეთვე ყველა სამრეწველო და ხელისშემწყო საწარმოები მათ მოწყობილობით და ყველებარი ინკვინტარით (ნედლი მასალით, ფაბრიკატებით და ნაკეთობით), როგორც ისეთი, რომელიც წინედ ხელს უწყობდა სამკურნალო დაწესებულებათა საჭიროებას, აგრეთვე ისეთი, რომელიც დღეს აუცილებელია სამკურნალო აღილების საჭიროებისათვის.

**შენიშვნა.** სამრეწველო საწარმოთ ექსპლოატაციისათვის ჯანმრთელობის სახ. კომისარიატი შეუთანხმებს თავის მოქმედებას სახალხო მფუძნების უმილესი საბჭოს სათანადო ორგანოების მუშაობის გეგმას.

11. საკურორტო მშართველობათა გამგებლობაში გადადის აგრეთვე კურორტების საჭიროებისათვის აუცილებელი ტყები, პარკები, ბაღები, ბოსტნები, სახანავი მიწები, სათიბები, ვენახები და სხვა სამკურნალო სანახები, რომელნიც გამოყენებულ იქნებიან სამკურნალო აღგილების საჭიროებისათვის.

**შენიშვნა 1.** ამა მუხლის მოქმედება არ გავრცელდება კერძო სარგებლობის ბალებსა და ბოსტნებზე და იმ მიწებზე, რომელიც მიცემულია მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატის ნორმის მიხედვით.

**შენიშვნა 2.** აგრიკულტურული და საჩვენებელი მნიშვნელობის მქონე სასოფლო-სამეურნეო სანახების ექსპლოატაციისათვის ჯანმრთელობის სახ. კომისარიატი შეუთანხმებს თავის მოქმედებას მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატის მუშაობის გეგმას.

12. სამთო და სანიტარული დაცვის ოლქის ფარგლებში არსებული ტყეები გამოცხადებულ იქნეს დაცულად. მეურნეობას ასეთი ტყეებში ეწევა ჯანმრთელობის სახ. კომისარიატი იმ გეგმით, რომელიც დადგენილ იქნება მიწათმოქმედების სახ. კომისარიატის ადგილობრივ განყოფილებასთან შეთანხმებით.

13. უკეთუ სამკურნალო ადგილების (კურორტების) სამკურნალო და სამეურნეო საჭიროებისა და მიზნისათვის შემდეგში აუცილებელი იქნება მათვის ახალი მიწებისა და სანახების მიცემა, ეს უნდა მოხდეს მიწათმოქმედების დებულების წესით.

14. სამკურნალო ადგილების (კურორტების) უმაღლესი მმართველობა დაეკისრება ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატს. საერთო-საახლმშიფრებრივი მნიშვნელობის სამკურნალო ადგილის (კურორტის) ადგილობრივი სამართველო არ არის დამკაიდებული ადგილობრივი სამაზრო და ავტონომიური რესპუბლიკების ხელისუფლებაზე და უშუალოდ ემისარჩილება საქართველოს ჯანმრთელობის სახ. კომისარიატს.

15. მშრომელთა უფასო საკურორტო აეიმობისათვის რესპუბლიკის სახელმწიფო კურორტებზე, სახელმწიფოსათვის მისი მოთხოვნით ჩაირიცხება განსაზღვრული როდენობის საწოლი; ყველა ხარჯები მათთვის მიწოდებისა და შენახვისათვის უნდა აუნაზღაურდეს საკურორტო სამართველოს ხაზინის საშუალებათაგან.

16. ექსპლოატაცია კურორტებისა,—მე-15 მუხლით გათვალისწინებულ საწოლთა გარდა,—და აგრეთვე სამრეწველო, ხელისშემწყოლი და საგაჭრო საწარმოებისა მოეწყოს სამკურნეო ნიადაგზე, რისთვისაც ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატს ცენტრალური საკურორტო მმართველობისა და მისი ადგილობრივი ორგანოების სახით ნება მიეცეს მომქმედი კანონების დაცვით:

ა) დადგას ხელშეკრულება მთავრობისა, პროფესიონალურ, კოოპერატიულ და სხვა ორგანიზაციებთან მათ წევრებისა და უკანასკნელთა ოჯახების მიერ სანატორიუმებისა და კურორტების სარგებლობის შესახებ აღნიშნულ ორგანიზაციათა წარჯზე;

ბ) გასცეს კერძო პირებზე იჯარით ექსპლოატაციისათვის ცალკე სანატორიუმები და საერთო საცხოვრებლები ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატის კანტროლის ქვეშ;

გ) მოაწყოს ფასიანი საერთო საცხოვრებლები, სანატორიუმები და დასასვენებელი სახლები ყველა მოქალაქეთათვის, რომელიც სამკურნალოდ იქნებან კურორტებზე;

დ) ისარგებლოს სამკურნეო ხარჯებზე გადასულ საკურორტო დაწესებულებათა და საწარმოთა მიმართ ყველა ის უფლება და უპირა-

ტესობა, რაც დაწესებულია სახელმწიფო მრეწველობის საჭარმოებისა და მათი შენაერთობისათვის.

17. ყოველგვარი შემოსავალი მიღებული სამკურნალო აღვილების (კურორტების) სამეცნიერო ექსპლოატაციით შედის ხაზინის შემოსავალში და მოხმარდება სპეციალურად და მარტოოდენ საკურორტო საჭიროებათ მშრომელთა საკურორტო აქიმობის გაუმჯობესებისათვის.

18. სამკურნალო აღვილი (კურორტი), რომელიც ცნობილი არ იქნება საერთო-სახელმწიფოებრივი მნიშვნელობისად, მაგრამ რომელსაც ექნება თვალისაჩინო სამკურნალო თვისება, ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატის მიერ შეიძლება გამოცხადებულ იქნეს საზოგადოებრივი მნიშვნელობის მქონე აღვილად; ამ შემთხვევაში აღნიშნული სამკურნალო აღვილებისათვის მოწყობილ უნდა იქნეს სამთო და სანიტარული დაცვის ოლქები დაინტერესებულ სახალხო კომისარიატებთან შეთანხებით.

19. სამკურნალო აღვილი (კურორტი), რომელსაც აღვილობრივი მნიშვნელობა აქვს, დარჩება რა ჯანმრთელობის სახ. კომისარიატის საერთო მეთევალყურეობის ქვეშ, გადაეც სათანადო აღმასრულებელი კომიტეტების იღვილობრივი ჯანმრთელობის განყოფილებების გამგებლობასა და შპართველობაში.

20. ჯანმრთელობის სახ. კომისარიატს უფლება ეძლევა გამოსცეს დებულებანი და ინსტრუქციები ამა დეკრეტის განხორციელებისათვის.

21. დეკრეტი ესე შედის ძალაში დღიდან მისი გამოქვეყნებისა და საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის რევოლუციონური კომიტეტის 37 №-რის დეკრეტი და აგრეთვე უკელა ამ საგანზე წინად გამოცემული დადგენილება ჰქარგავს თავის ძალას.

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალ.

აღმას. კომიტ. თავმჯდომარე შ. ცხაკაია.

საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბ. სახალხო

კომისართა საბჭოს თავმჯდომარე შ. ელიავა.

სრულიად საქართვ. საბჭოთა ცენტრალ.

აღმასრულ. კომიტეტის მდივანი საბაშვილი.

1923 წ. თებერვლის 3.

ტუილისი—სასახლე.

გამოქვეყნებულია გაზ. „კომუნისტის“ მე-31 №-ში 1923 წ. თებერვ. 10.

### 3.

## დადგენილება № 29

სრულიად საქართ. საბჭ. ცენტრ. ოღმასრ. კომიტეტისა და საქართ. სოც. საბჭ. რესპ. სახალხო კომისართა საბჭოსი.

საერთო სახელმწიფო მინისტრების შენიშვნელობისად გამოცხადებულ საკურორტო ადგილებში სანატორიუმებისა და დამხმარე დაწესებულებათა მოსაწყობად გამოხადები სადგომებისა და შენიშვნათა საკურორტო სამმართველოს გამგებლებაში გადაცემის შესახებ.

რესპუბლიკის მშრომელთა საკურორტო აქიმობის პირობების გაუმჯობესებისათვის სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური ოღმასრულებელი კომიტეტი და საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭო აღგენენ:

1. ერთი თვის განმავლობაში დღიდან საკურორტო ადგილის საერთო-სახელმწიფო გენერალური მნიშვნელობისად გამოცხადებისა, ჯანმრთელობის სახალხო კომისარის წარმოებითი გეგმის თანახმად სერტიფილოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის ყველა საკურორტო ადგილში, რომელიც აღარებულ იქნება საერთო-სახელმწიფო გენერალური მნიშვნელობისად, განთავისუფლდეს და გადავიდეს ჯანმრთელობის სახ. კომისარის საკურორტო სამმართველოს გამგებლობაში ყველა სანატორიუმებისა და დამხმარე დაწესებულებათა მოსაწყობად გამოსადევი საღვმები და შენიშვნა, რაც უჭირავს საბჭოთა დაწესებულებებს, მთ შორის სამხედრო-საც, აგრეთვე საბჭოთა მოსამსახურებს და პირთ, რომელნიც დაკავშირებულნი არ იქნებიან კურორტებთან აქიმობით ან წარმოებითი მხრით.

2. ყველა უწყება და ორგანიზაცია, რომლის გამგებლობაშიც ამ ყამად არის სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური ოღმასრულებელი კომიტეტისა და საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოს მიერ საერთო-სახელმწიფო გენერალური მნიშვნელობის სამკურნალო ადგილების (კურორტების) შესახებ გამოცემული დეკრეტის 2, 10 და 11 მუხლში აღნიშნული რაიმე ქონება, ვალდებულია მოახდინოს ამ ქონების გადაცემა ამ დადგენილების 1-ლ მუხლში ნაჩვენებ ვალაზე.

3. სახელმწიფო კურორტების აღსაღენად სათანადო მუშაობის წარმოებისათვის მიეცეს ჯანმრთელობის სახ. კომისარის საქართველოს კურორტების აღდეგის ხარჯთაღიცხვით საჭირო თანხები და უპროცენტო სესხი განსაზღვრული ვალით და არსებული წესით.

4. ამ დადგენილების 1-ლ მუხლში აღნიშნული საქმის განხორციე-

ლება იმავე მუხლში ნაჩვენები ვადაზე დაეკისროს კომისიას, რომლის თავმჯდომარეთ დაინიშნოს ამიერკავკ. რესპუბლიკათა მუშათა და გლეხთა ინსპექციის სახალხო კომისარიატის რწმუნებული საქართველოში, ხოლო წევრებად ჯანმრთელობის სახ. კომისარიატია, სახალხო მფურნეობის უმაღლესი საბჭოსი, შინაგან საქმეთა სახ. კომისარიატის და მიწათ-მომქდარების სახ. კომისარიატის წარმომადგენელი.

5. დადგენილება ქსე ძალაში შედის დოკუმენტის მისი გამოქვეყნებისა.

სრულიად საქართველოს საბჭ. ცენტრ. აღმ. კომიტეტის თავმჯდომარე გ. ცხაკაია.

საქართველოს სოც. საბჭ. რესპ. სახ. კომ. საბჭ. თავმჯდომარე შ. ელიაგა.

სრულიად საქართველოს საბჭ. ცენტრ. აღმასრ. კომიტეტის მდიგანი საბაზეილი.

1923 წ. თებერვლის 4.

ტფილისი—სასახლე.

გამოქვეყნებულია გაზ. „კომუნისტის“ მე-31 ქ-ში 1923 წ. თებერვლის 10.

#### 4.

### დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა № 30

მიწის რეფორმის განხორციელების შესახებ.

რათა საქართველოში საბოლოოდ აღმოფხვრილ იქნეს ფეოდალურ ურთიერთობათა ყოველგვარი ნაშთი და დაქარიტით განხორციელდეს მიწის რეფორმა, რომელმაც უზრუნველ უნდა ჰყოს მშრომელი ხალ-ჭი მიწის სარგებლობით, აგრეთვე გადასახლებისათვის მიწის ფონდის შესაქმნელად, სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმა-სრულებელი კომიტეტი თანახმად ცენტრალური აღმასრულებელი კო-მიტეტის საგანგებო სესიის მიერ 1923 წ. იანვრის 21-ს მიღებული რე-ზოლიუციისა, —საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის რევოლუცი-ციონური კომიტეტის მე-17 ნომრის დეკრეტის განსავითარებლად აღგენს:

1. იმ მიწების ჩამორთმევას, რაც აღმატება სრულიად საქართვე-ლოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მიერ 1922

წ. მაისის 26-ს მიწათ-მოწყობის შესახებ გამოცემული დებულებით დაწესებულ ნორჩას და ამ მიწების განაწილებას უმიწაწყლო და მცირე მიწის შეონე ვლეხთა შორის აწარმოებენ სასოფლო კომიტეტები. სოფლის კომიტეტი შეადგენს აქტს, რომელშიაც ოლნიშნულ უნდა იქნეს ვის, სად და რამდენი მიწა უნდა ჩამოყროთვას და ვისა და ვის შორის უნდა იქნეს იგი განაწილებული. სოფლის კომიტეტი უნდა იქნეს არჩეული სოფლის ყრილობის მიერ სამი, ან ხუთი პირის შემადგენლობით.

კომიტეტებს უფლება აქვთ მოიწვიონ მცოდნე პირნი (აგრონომი, მიწის მზომელი და სხვ.) სოფლის კომიტეტების დადგენილებათა ტეხნიკური შესრულებისათვის.

2. სასოფლო კომიტეტების მიერ შედგენილი აქტები, სამი ღლის განმავლობაში ღლიდან შედგენისა, უნდა წარედგინოს ოქმის საადგილ-მამულო კომიტეტს, რომელიც შესდგება 3 წევრისაგან და რომელსაც იმარჩევს თემის აღმასრულებელი კომიტეტი.

თემის საადგილ-მამულო კომიტეტი განიხილავს და დაამტკიცებს აქტს ხუთი ღლი განმავლობაში ღლიდან მიღებისა, განიხილავს აგრეთვე საჩივრებს, დაინტერესებულ პირთა მიერ შეტანილს იმავე ვადაზე და საქმის ვითარების მიხედვით ან დაამტკიცებს ამ აქტს, ან შესცვლის. დამტკიცებული ან შეცვლილი აქტი დაებრუნება სოფლის კომიტეტებს დაუყოვნებლივ სისრულეში მოსაყვანად.

დაინტერესებულ პირს უფლება იქს განსაჩივროს თემის კომიტეტის მოქმედება,—ერთი კვირის ვადაზე—ღლიდან აქტის დამტკიცებისა, ან შეცვლისა,—გაზრის მიწათ-მოქმედების განყოფილების კოლეგიაში, რომელიც შესდგება გაზრის აღმასრულებელი კომიტეტის წევრის თავმჯდომარეობით და განყოფილების გამგისა და მიწათ-მოქმედელისაგან. განსაჩივრება არ შეაჩერებს აქტის სისრულეში მოყვანას.

3. გაზრის მიწათ-მოქმედების კოლეგის დადგენილება შეიძლება განსაჩივრებულ იქნეს,—ერთი კვირის განმავლობაში ღლიდან დადგენილებისა, —მიწათ-მოქმედების სახალხო კომისარიატის საბჭოში, რომელიც შესდგება მიწათ-მოქმედების სახალხო კომისარის თავმჯდომარეობით და მისი მოადგილისა და მიწათ-მოწყობის განყოფილების გამგისაგან. კომისარიატის საქართველოს დადგენილება,—როგორც სამოლოო, —არ განსაჩივრდება.

**შენიშვნა.** მიწათ-მოქმედების სახალხო კომისარს უფლება აქს საჩივრის განხილვა მიანდოს საბჭოს სხვა შედგენილობას.

4. ყოველგვარი საადგილ-მამულო დავა და, სხვათა შორის მიწის სარგებლობით გამოწვეული დავაც, რაც აღიძვრის არა მიწათ მოწყო-

წ. მასის 26-ს მიწათ-მოწყობის შესახებ გამოცემული დებულებით დაწესებულ ნორმას და ამ მიწების განაწილებას უმიწაწყლო და მცირე მიწის მქონე გლეხთა შორის აწარმოებენ სასოფლო კომიტეტი. სოფლის კომიტეტი შეადგენს აქტს, რომელშიაც ოლნიშნულ უნდა იქნეს ვის, სად და რამდენი მიწა უნდა ჩამოქრთვას და ვისა და ვის შორის უნდა იქნეს იგი განაწილებული. სოფლის კომიტეტი უნდა იქნეს არჩეული სოფლის ყრილობის მიერ სამი, ან ხუთი პირის შემადგენლობით.

კომიტეტებს უფლება აქვთ მოიწვიონ მცოდნე პირნი (აგრონომი, მიწის მხომლი და სხვ.) სოფლის კომიტეტების დადგენილებათა ტენიკური შესრულებისათვის.

2. სასოფლო კომიტეტების მიერ შედგენილი აქტები, სამი დღის განმავლობაში დღიდან შედგენისა, უნდა წარედგინოს თემის საადგილ-მამულო კომიტეტს, რომელიც შესდგება 3 წევრისაგან და რომელსაც იჩივეს თემის იღმასრულებელი კომიტეტი.

თემის საადგილ-მამულო კომიტეტი განიხილავს და დამტკიცებს აქტს ხუთი დღის განმავლობაში დღიდან მიღებისა, განიხილავს აგრძელებულ საჩივრებს, დაინტერესებულ პირთა მიერ შეტანილს იმავე ვადაზე და საქმის ვითარების მიხედვით ან დაამტკიცებს ამ აქტს, ან შესცვლის. დამტკიცებული ან შეცვლილი აქტი დაებრუნება სოფლის კომიტეტებს დაუყოვნებლივ სისრულეში მოსაყვანად.

დაინტერესებულ პირს უფლება აქვს განასაჩივროს თემის კომიტეტის მოქმედება,—ერთი კვირის ვადაზე—დღიდან აქტის დამტკიცებისა, ან შეცვლისა,—მაზრის მიწათ-მოქმედების განყოფილების კოლეგიაში, რომელიც შესდგება მაზრის იღმასრულებელი კომიტეტის წევრის თავმჯდომარებით და განყოფილების გამგისა და მიწათ-მომწყობელისაგან. განსაჩივრება არ შეაჩერებს აქტის სისრულეში მოყვანას.

3. მაზრის მიწათ-მოქმედების კოლეგიის დადგენილება შეიძლება განასაჩივრებულ იქნეს,—ერთი კვირის განმავლობაში დღიდან დადგენილებისა,—მიწათ-მოქმედების სახალხო კომისარიატის საბჭოში, რომელიც შესდგება მიწათ-მოქმედების სახალხო კომისარის თავმჯდომარებით და მისი მოადგილისა და მიწათ-მოწყობის განყოფილების გამგისაგან. კომისარიატის საბჭოს დადგენილება,—როგორც საბოლოო, —არ განსაჩივრდება.

**შენიშვნა.** მიწათ-მოქმედების სახალხო კომისარს უფლება აქვს საჩივრის განხილვა მიანდოს საბჭოს სხვა შედგენილობას.

4. ყოველგვარი საადგილ-მამულო დავა და, სხვათა შორის მიწის საჩერებლობით გამოწვეული დავაც, რაც აღიძერის არა მიწათ მოწყო-

Зі с 3-й публікації, юнія гаражно-інженерного інституту Саарбрюккенівської місії.

5. Загальні зміни в 1922 р. засновані 26-го докладу відповідно до змін в лінії Університету.

6. Відповідно до докладу № 6 зміни в лінії Університету відповідно до змін в лінії Університету.

7. Відповідно до докладу № 6 зміни в лінії Університету відповідно до змін в лінії Університету.

8. Відповідно до докладу № 6 зміни в лінії Університету.

9. Відповідно до докладу № 6 зміни в лінії Університету відповідно до змін в лінії Університету.

10. Відповідно до докладу № 6 зміни в лінії Університету відповідно до змін в лінії Університету.

11. Відповідно до докладу № 6 зміни в лінії Університету відповідно до змін в лінії Університету.

12. Відповідно до докладу № 6 зміни в лінії Університету відповідно до змін в лінії Університету.

13. Відповідно до докладу № 6 зміни в лінії Університету відповідно до змін в лінії Університету.

14. Відповідно до докладу № 6 зміни в лінії Університету.

15. Відповідно до докладу № 6 зміни в лінії Університету відповідно до змін в лінії Університету.

16. Відповідно до докладу № 6 зміни в лінії Університету відповідно до змін в лінії Університету.

10. მიწათ-მოწყობასთაა დაკავშირებული ხარჯები, როგორიცაა:  
გასამრჯელო სოფლის და ოქმის კომიტეტების წევრებისათვის, მუშებისა  
და სადგომების დაქირავებისათვის, მიმოსკოლისათვის და სხვ. დაეკისროს  
სოფლის საზოგადოებათ, ოქმის კომიტეტის განაწილებისამებრ.

11. გაუქმებული იქნეს საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის  
სახალხო კომისართ საბჭოს მიერ 1921 წ. ივლისის 27-ს თარიღითა  
და 62 №-ით გომიტებული დეკრეტი. გაუქმდეს ყველა საადგილ-მიმულო  
კომისია და ყოველი მათი საქმე, რომლის წარმოებაც დაუმთავრებელია,  
გადაეცეს კუთხინილებისამებრ სახალხო სასამართლოს ან მიწათ-მოწყო-  
ბის განყოფილებას.

12. დადგენილება ეს შედის ძალაში დღიდან ჩისი გამოქვეყნებისა.  
სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი  
კომიტეტის თავმჯდომარე მ. ცხადია.

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი  
კომიტეტის მდივანი პ. ხაბაშვილი.

1923 წ. ოქტომბერი 22.

ტფილისი-სასახლე.

გამოქვეყნებულია გაზ. „კომუნისტის“ მე-56 №-ში 1923 წ. მარტის 11.

## 5.

# ა მ ნ ი ს ტ ი ს

### დადგენილება.

წითელი არმიის 5 წლის თავისა და საქართველოს პროლეტარული  
რევოლუციის 2 წლის თავის აღსანიშვად სრულიად საქართველოს  
საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი აღენს:

1. იმას, ვისაც ამა დადგენილების გამოცემის დღემდე ჩადენილი  
დანაშაულისათვის გადაწყვიტა უმაღლესი ზომის სასჯელი, ეს სასჯე-  
ლი შეცვალოს ათი წლით თავისუფლების აღკვეთად სასტიკი იზო-  
ლაციით.

2. განთავისუფლებულ იქნეს სასჯელისა და ყველა მისი შედეგი-  
საგან (გარდა უკვე სისრულეში მოყანილი ქონებრივი გადასახდელისა)  
ის, ვისაც ამა დადგენილების გამოცემის დღემდე ჩადენილი დანაშაუ-  
ლისათვის გადაწყვიტა თავისუფლების აღკვეთა ერთ წლით და ყველა სხვა უფრო მცირე სასჯელი, აგრეთვე თავისუფლების  
აღკვეთა პირობით ან იძულებითი მუშაობა თავისუფლების აღუკვეთე-  
ლიდ, მიუხედავათ სასჯელის ვალისა.

3. მოსპობილ იქნეს სრულიად საქმე, რა სტადიშიაც იგი უნდა იმყოფებოდეს, იმ პირისა, ვისაც ბრალდება ამა დაღვენილების გმო-ცემაშე ჩადენა ისეთი დანაშაულისა, რომლისთვისაც სისხლის სამარ-თლის კოდექსში სასჯელად დაწესებულია თავისუფლების აღკვეთა არა უმეტეს ერთი წლისა.

**შენიშვნა.** 2 და 3 მუხლი გავრცელებულ იქნეს აღმინისტრატორუ-ლი წესით დადგებულ სასჯელზედაც.

4. შემცირებულ იქნეს ერთი მესამედით სასჯელი აცელა იმ პირი-სა, ვისაც გადაწყვეტილი აქვს თავისუფლების აღკვეთა ერთ წელზე მეტი ვადით.

5. ამნისტია სრულიად არ ვრცელდება იმაზე, ვისაც მსჯავრი დაედო სისხლის სამართლის კოდექსის 58—67, 69 და 72 მუხლში გათვალისწინებული მძიმე კონტრ-რევოლუციონური მოქმედობისათვის, ამავე კოდექსის 76 მუხლში გათვალისწინებული ბანდიტიზმისათვის და 117 მუხლში გათვალისწინებული მექქრთამებისათვის, აგრეთვე ხელმე-ორედ ჩადენისათვის რაიმე დანაშაულისა, რომლის გამოც მსჯავრდა-დებულს სასჯელი უკვე მოუხდია წინათ.

6. ამნისტია არ გავრცელდება იმ მსჯავრდადებულზე, რომელ-საც უშაბლესი ზომის სასჯელი, თვით განაჩენის დადგენისვე დროს ან სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური ორმასრულებელი კო-მიტეტის დადგენილებით ან წინანდელი ამნისტიის ძალით ერთხელ უკვე შეეკვალა თავისუფლების აღკვეთად.

7. დაღვენილება ესე გავრცელებულ იქნეს იმ მსჯავრდადებულზე-დაც. წინ მუხლში აღნიშნულთა გარდა, ვისაც შეეფარდა წინანდელი ანის უიგიბი, ამასთანავე ამა ამნისტიის შეფარდების დროს მხედველო-ბაში მიღებულ უნდა იქნეს სასჯელის ის ვადა, რომელიც მსჯავრდა-დებულს წინა ამნისტიის შეფარდების შემდეგ უნდა მოეხადა.

8. უკეთუ დაზარალებული თანხობას არ განაცხადებს, ამნისტია არ გავრცელდება კერძო ბრალდების წესით აღძრულ საქმეზე, რომე-ლიც შეიძლება შერიგებით დამთავრდეს, მაგრამ განაჩენის დადგენის დროს სასამართლო მოვალეა შეაფარდოს ამნისტია საზოგადო წესი-სამეცნი.

9. ამა დაცვნილების 3 მუხლის ძალით მოსპობა საქმისა არ გაართა-ვისუფლებს დანაშაულით მიყენებული ზარალის ანზღაურებისაგან, ამას-თანავე სასამართლოს წარმოებაში უკვე მყოფი საქმე, სადაც სამოქალაქო სარჩელია აღძრული, სისხლის სამართლის წარმოების წესით განხილულ იქნეს მხოლოდ იმ ნაწილში, რომელიც სამოქალაქო სარჩელს ეხება; წინასწარ წარმოებაში მყოფი საქმის გამო კი, რომელიც ამა დადგე-

ნილების ძალით უნდა მოისპოს, სამოქალაქო საჩრელი განხილულ უნდა იქნეს სამოქალაქო სამართლის წარმოების წესით.

10. იმ ბრალდებულს, ვისი საქმეც ჯერ განხილულ არ არის, ან, თუნდაც განხილულია, მაგრამ საკასაციო საჩივრის შეტანის გამო განაჩენი კანონიერ ძალაში ჯერ არ შესულა, უკეთუ მას სურს თავი გიომართლოს სასამართლოს წინაშე, ამა ამნისტიის შეფარდების დღიდან არა უფრინებს ერთი თვისა შეუძლიან ითხოვოს თავისი საქმის განხილვა, ხოლო, თუ ასეთ შემთხვევაში საქმე განხილულია და განაჩენი და-დგნილია, ამნისტია მას უკვე არ შეფარდება.

11. ამა ამნისტიის შეფარდება იმ პირთათვის, რომელნიც სას-ჯელს უკვე იხდიან, დაევალოს იმ სასამართლო ან სხვა დაწესებულებას, რომლის განაჩენით ან დადგენილებით ხსნებულნი პირნი სასჯელს იხდიან.

12. იმ პირს, ვისაც ჩაუდენია დანაშაული ამა დადგენილების გა-მოქვეყნებამდე, ხოლო მისი საქმე ჯერ არ განხილულა, ამნისტია ამა დადგენილებაში აღნიშნულ წესის და გამონაკლისის დაცვით უნდა შე-ეფარდოს შემდეგნაირად:

ა) საქმე ისეთი დანაშაულის შესახებ, რომლის ჩადენისათვისაც სი-სხლის სამართლის კოდექსში უძალლესი დაწესებული სასჯელი არ იღე-მატება თავისუფლების აღკვეთას ერთ წლამდე, უნდა მოსპობილ იქნეს სათანადო სასამართლო და სხვა დაწესებულების დადგენილებით ქვემ-დებარებისამგრა;

ბ) უკველა სხვა საქმის გამო ამნისტია შეფარდებულ უნდა იქნეს განაჩენის დადგენისათანავე; ამასთანავე საკასაციო წესით წარმოებული საქმე ამნისტიის ვ მუხლში აღნიშნულ შემთხვევაში დაუბრუნდება მო-სასპობად იმ სასამართლოს, რომელმაც განაჩენი დაადგინა, ხოლო, უკე-თუ საქმე განხილულ იქნა საკასაციო წესით და პირველი ინსტანციის სასამართლოს განაჩენი დამტკიცდა, ამნისტიას შეფარდებს საკასაციო ინსტანცია.

13. ამნისტიის შეფარდება იმ პირისათვის, ვისაც საქართველოს საგანგებო კომისიის მსჯავრი დაყდო, დაევალოს განხილულებულ კო-მისიას, რომელიც შესდეგება იუსტიციის სახალხო კომისარიატის საპ-როცესურულო განყოფილებისა, საგანგებო კომისიისა და უზენაესი რე-ვოლიუციონური ტრიბუნალის წარმომადგენლებისაგან.

14. ამნისტიის შემფარდებელ ორგანოს უფლება აქვს ცალკე, ამასთანავე გამონაკლისს შემთხვევებში, სიხოვთოს სრულიად საქართვე-ლოს საბჭოთა ცენტრალურ აღმისარულებელ კომიტეტს, რათა ამნის-ტია არ შეფარდოს იმ ცალკე პირს, რომლის განთავისუფლებამც შე-იძლება რესპუბლიკა განსაცდელში ჩაყენოს.

15. საგამომძიებლო ორგანოებმა ამა დადგენილების 3 მუხ. „ა“ პუნქტის ძალით მოსასპობი საქმეები თავიანთი დასკვნით უნდა წარუ-  
დგინონ სათანადო სახალხო სასამართლოს, რევოლუციონურ ტრიბუ-  
ნალს ან საგანგიპოვნებო კომისიას კუთხით გადატვილებისამებრ.

16. ამა დადგენილების ცხოვრებაში გატარება დამთავრებულ უნ-  
და იქნეს არა უგვანეს ერთი თვისა.

17. საჩივარი იმის შესახებ, რომ აზნისტია არ იყო სწორედ შე-  
ფარდებული, შეტანილ უნდა იქნეს იუსტიციის სახალხო კომისართან  
ადგილობრივი პროკურატურის მეშვეობით, ხოლო იქ, საღაც პროკურა-  
ტურა ჯერ შემოღებული არ არის, —იუსტიციის განყოფილების მე-  
შვეობით.

**შენიშვნა.** ადგილობრივმა პროკურორმა და იუსტიციის განყოფი-  
ლებამ საჩივარი იუსტიციის სახალხო კომისარს უნდა წარუდგინონ თა-  
ვისი დაკვინით.

18. საჩივარი იმის შესახებ, რომ ამა დადგენილიბის 13 მუხლში  
აღნიშვნული კომისიის დადგენილება სწორე არ არის, შეტანილ უნდა  
იქნეს უმეშვეოდ რესტუბლიკის პროკურორთან.

19. საზოგადო ოფალურის დევნება იმისა, რომ დადგენილება ესე  
ცხოვრებაში იქნეს გატარებული, ევალება იუსტიციის სახალხო კომი-  
სარს. მასვე ევალება გამოსცეს სათანადო ინსტრუქცია.

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალ.

აღმას. კომიტეტის მდივანი საბაშვილი.

სრულიად საქართველო. საბჭოთა ცენტრალ.

აღმასრულ. კომიტეტის მდივანი საბაშვილი.

1923 წ. ოქტომბერის 23.

ტფილისი — სასახლე.

გამოქვეყნებულია გაზ. „კომუნისტის“ №-44 №-ში 1923 წ. ოქტომბერი 25.

## 6.

### დ ე პ რ ე ტ ი

შაზრის სარაიონო საგადასახადო საქრებულოების შედგენილობის  
შევსების შესახებ.

1921 წლ. ნოემბრის 30 თარიღით და 82 ნომრით გამოცემული  
დეკრეტის დამატების 38 მუხლის შესავსებად სრულიად საქართველოს  
საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი ადგენს:

1. მაზრის სარაიონო საგადასახადო საქართველოს შედგენილობაში, როდესაც იგი იხილავს საკიონს პირდაპირი გადასახადის გაწერის შესახებ ამა თუ იმ თემში მცხოვრებ გაღმმმდელებზე — გაღმმწყვეტი ხმის უფლების წევრად შედის სათანადო თემის აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე.

2. დყკრეტი ესე ძალაში შედის დღიდან მისი გამოქვეყნებისა.

სრულიად საჭ. საბჭ. ცენტრ. ორმ.

კომიტეტის თავმჯდომარე მ. ცხაკაია.

სრულიად საქართ. ცენტრ. ორმას.

კომიტ. მდივანი პ. საბაზეილი.

1923 წ. მარტის 8.

ტუილისი — სასახლე.

გამოქვეყნებულია ვაზ. „კომუნისტის“ მე-55 №-ში 1923 წ. მარტის 10.

## 7.

### დადგენილება № 31

სრულიად საქართველოს ხაბერთ ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მრეზიდოუმისა.

საქართველოს სოც. საბჭ. რესპ. სოციალური უზრუნველყოფის სახალხო კომისარიატის აღდგენის შესახებ.

უველა კატეგორიის გაჭირებულთა (ომში დაინვალიდებულნი, წითელ-არმიის აღმართა ოჯახები, უკიდურეს გაჭირებაში მყოფი სხვა ინვალიდები და სხვ.) სოციალურ უზრუნველყოფისათვის მთლიანი ცენტრალური სახელმწიფო ორგანოს შექმნისა და გლეხთა და ქალაქის ნახევრად პროლეტარულ ელემენტების საურთიერთო დახმარების საზოგადოებათა მოწყობის მიზნით, სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმი ადგენს:

1. აღდგენილ იქნეს საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სოციალური უზრუნველყოფის სახალხო კომისარიატი.

2. წინადადება ექლეგა უველა იმ სახალხო კომისარიატს, რომელიც ამ უმაღ განავებს სოციალური უზრუნველყოფის საქმეს და საურთიერთო დახმარების საზოგადოებათა მოწყობას (ამიტრავეკასიის შრომის სახალხო კომისარიატის რწმუნებულის სამმართველოს განყოფილება უღარიბეს მცხოვრებთა სახელმწიფო დახმარებისა საქართვე-

ლოში, ჯანმრთელობის სახალხო კომისარი. სინვალიდო სახლების განყოფილება, სამხედრო კომისარიატის მეურ წითელ-არმიელითა ოჯახების უზრუნველყოფა) გადასცეს თავისი პარატი ყველა ფუნქციებით — სოციალური უზრუნველყოფის სახალხო კომისარიატის.

3. გადაირიცხოს სოციალური უზრუნველყოფის სახალხო კომისარიატის სახელზე ყველა ის სახელმწიფო კრედიტი, რომელიც აქვთ აღნიშვნულ სახალხო კომისარიატებს სოციალური უზრუნველყოფისათვის.

4. დავვალოს სოციალური უზრუნველყოფის სახალხო კომისარიატს სასწავლო წესით წარუდგინოს სრ. საქ. ცენტ. აღმას. კომ. პრეზიდიუმს დასამტკიცებლად საერთო დებულების პროექტი სოციალური უზრუნველყოფის შესახებ (ომში დაინვალ. და სხვ. მოქალ.), რისთვისაც უნდა იხელმძღვანელოს სახელმწიფო უზრუნველყოფისათვის დღემდე მომქმედ დებულებებით.

5. წინადადება მიეცეს საქართველოს სოც. საბჭ. რესპ. სიმშილობის შედეგებთან ბრძოლის კომიტეტს ინვალიდთა დახმარების მუშაობაში იყოს სოც. უზ. სახ. კომის. საერთო ხელმძღვანელობის ქვეშ.

6. დადგენილება ესე შედის ძალაში დღიდან მისი გამოქვეყნებისა.

სრულიად საქ. საბჭ. ცენტრ. აღმ.  
კომტ. თავმჯდომარე მ. ცხაკარი.

სრულიად საქართ. ცენტ. იღმას.  
კომიტ. მდგვანი პ. საბაშვილი.

1923 წ. მარტის 8.  
ტფილისი — სასახლე.

გამოქვეყნებულია გაზ. „კომუნისტი“ № 55 შე 1923 წ. მარტის 10.

## 8.

### დადგენილება № 33

ქართული მსროლელი დივიზიის სამხედრო ჩევოლიუციონური ტრიბუნალის შესახებ.

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი აღგენს:

1. დამტკიცებულ იქნეს ამასთანავე დართული დებულება ქართუ

ლი მსროლელი დივიზიის სამხედრო ოფიციალური ტრიბუნალის  
შესახებ.

2. პარველ მუხლში აღნიშნული დებულება ძალაში შესულად  
ჩაითვალოს 1922 წლის დეკემბრის 23-დან.

სრულიად საქ. საბჭ. ცენტრ. აღმ.

კომ. თავმჯდომარე გ. ცხაკაია.

სრულიად საქართ. ცენტრ. აღმასკ.

მდივანი პ. საბაშვილი.

1923 წ. მარტის 22.  
ტფილისი — სასახლე.

## დ ე გ უ ლ ე ბ ა

ქართული მსროლელი დივიზიის სამხედრო ოფიციალური ტრიბუნალის შეხედება

1. ქართული მსროლელი დივიზიის სამხედრო ოფიციალური ტრიბუნალი მშენდლობიანობის დროისათვის მოწყობა თავმჯდომარებისა, მისი მოადგილისა და სამი მუდმივი წევრის შედგენილობით.

2. სამხედრო ოფიციალური ტრიბუნალის თავმჯდომარეს, მის მოადგილეს და წევრებს დანიშნაეს სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი, — ქართული არმიის პოლიტიკური განყოფილების წარდგენით, — პოლიტიკურად გამოცდილ მი ჰომუშავთაგან, რომელთაც წითელ არმიაში უმსახურნიათ არა ნაკლებ ერთი წლისა.

**შენიშვნა.** განსაკუთრებულ შემთხვევაში სამხედრო ოფიციალური ტრიბუნალის თავმჯდომარედ, მის მოადგილედ და წევრებად შეიძლება დანიშნოს ისეთი სამხედრო მოსამსახურეც, რომელსაც წითელ არმიაში აღნიშნულ ვალაზე ნაკლები უმსარია.

3. სამხედრო ოფიციალურ ტრიბუნალს ეჭვემდებარება საქ-  
მნი როგორც ქართული მსროლელი დივიზიის, ისე ქართული არ-  
მიის ყველა სამხედრო მოსამსახურისა, — თუნდაც ეს უკანასკნელი არ  
ეკუთვნოდეს ქართული მსროლელი დივიზიის შედგენილობას, — რო-  
მელსაც უკირავს პოლკის უფროსის თანამდებობაზე არა უმაღლესი ან  
მისი თანამდებობა და რომელსაც ბრალად ედგა:

ა) სამხედრო დანაშაული, გათვალისწინებული საქართველოს სოც.  
საბჭ. რესპუბლიკის სისხლის სამართლის კოდექსის VII თავში (206—  
220 მუხლ.);

ბ) თანამდებობრივი დანაშაული, გათვალისწინებული იმავე კო-  
დექსის II თავში (108—121 მუხლი). და

გ) სამეცნიერო დარგისა და ქონებრივი დანაშაული, გათვალისწი-  
ნებული სისლის სამართლის კოდექსის 131 და 135 მუხლებში, 187  
მუხლის დ, ე, ვ, ზ და 3 პუნქტებში, 194 და 202 მუხლებში.

4. უკეთუ ქართული არმიის სამხედრო მოსამსახურე ჩაიდენს სა-  
მოქალაქი უწყების პირის თანამონაშილებით ისეთ დანაშაულს, რო-  
მელიც სამხედრო რევოლუციონურ ტრიბუნალს ექვემდებარება, საქმე  
ერთისაც და მეორისაც დაექვემდებარება სამხედრო რევოლუციონურ  
ტრიბუნალს.

5. უკეთუ სამხედრო მოსამსახურე ჩაიდენს სამდენსამე ქმედობას,  
რომელთაგან ზოგი ექვემდებარება რევოლუციონურ ტრიბუნალს, ზო-  
გიც—სამხედრო რევოლუციონურ ტრიბუნალს—საქმე მთლიად უნდა  
დაექვემდებაროს სამხედრო რევოლუციონურ ტრიბუნალს.

6. უკეთუ სამხედრო მოსამსახურე ჩაიდენს რამდენსამე ქმედობას,  
რომელთაგან ზოგი ექვემდებარება სამხედრო რევოლუციონურ ტრი-  
ბუნალს, ზოგიც სახალხო სასამართლოს,—საქმე მთლიად უნდა დაექვემ-  
დებაროს სამხედრო რევოლუციონურ ტრიბუნალს.

7. სამხედრო რევოლუციონური ტრიბუნალის ქვემდებარე საქმის  
წინასწარი გამოძიება უნდა მოახდინოს სამხედრო რევოლუციონურ  
ტრიბუნალთან მყოფმა სამხედრო გამომძიებელმა. სამხედრო გამომ-  
ძიებლების რიცხვი განისაზღვრება შტატით.

8. სამხედრო რევოლუციონურ ტრიბუნალთან იმყოფება სამ-  
ხედრო პროკურორის თანამებურე, რომელიც უშუალოდ ემორჩილება  
საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის რევოლუციონური ტრიბუ-  
ნალების პროკურორს (ეს უკანასკნელი პროკურორივე უზნაესი რე-  
ვოლუციონური ტრიბუნალისა).

9. წინასწარი წარმოება სამხედრო რევოლუციონური ტრიბუნა-  
ლის ქვემდებარე საქმისა, გასამართლებისათვის სამზადისი, საქმის გან-  
ხილვის შესი და განაჩენის დადგრა, უნდა მოხდეს რევოლუციონური  
ტრიბუნალების დებულებაში იღნიშვნული წესისამებრ და ყველა იმ  
ცვლილების მიხედვით, რომელიც შემდეგში შეტანილ იქნა სრულიად  
საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის  
8 და 11 ნომრის დადგნილებით და პროკურატურის დებულებით  
(დადგნილება სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმა-  
სრულებელი კომიტეტის 1922 წლის ნოემბრის 11-ს თარიღით და  
19 ნომრით).

10. სამხედრო რევოლუციონური ტრიბუნალის განაჩენი, რომ-

ლითაც გათვალისწინებული არ იქნება თავისუფლების აღკვეთა (სისხლის სამართლის კოდექსის 32 მუხლის „ბ“ პუნქტი) ან სასჯელის უმაღლესი ზომა, საბოლოოა, და მისი განსაჩივრება საკასაციო წესით არ შეიძლება.

11. სამხედრო ოფიციალური ტრიბუნალის განაჩენი, რომ ლითაც გათვალისწინებულია თავისუფლების აღკვეთა (სისხლის სამართლის კოდექსის 32 მუხლის „ბ“ პუნქტი) ან სასჯელის უმაღლესი ზომა, შეიძლება საკასაციო წესით განსაჩივრებულ იქნეს უზენაეს რევოლუციონურ ტრიბუნალში, რევოლუციონური ტრიბუნალების დებულებაში აღნიშნული წესისამებრ.

12. უკეთუ სამხედრო ოფიციალური ტრიბუნალის განაჩენი გაუქმდებულ იქნება, საქმე ხელმორედ განხილვისათვის უნდა გადაეცეს უზენაესი რევოლუციონური ტრიბუნალის სასამართლო (სამხედრო) კოლეგიას ან იმავე სამხედრო ოფიციალურ ტრიბუნალს სხვა შედგრინილობით, ამასთანავე, უკეთუ საკრებულოს წევრთა საკმაო რიცხვი არ ყოფლება, — იგი ქართული მსროლელო დიდიზის შტაბის პილიტიკური განყოფილების დანიშნულით, შევსტებულ უნდა იქნეს იმ პირებით, რომელნიც ამა დებულების შე-2 მუხლში აღნიშნულ პირობებს შეეფერებიან.

13. სამხედრო ოფიციალური ტრიბუნალის შედგრინილობა განისაზღვრება განსაკუთრებული შტატით.

სრულიად საქ. საბჭ. ცენტრ. აღმ.

კომიტეტის თავმჯდომარე მ. ცხაკაია.

სრულიად საქართ. ცენტრ. აღმას.

კომიტ. მდივანი პ. საბაშვილი.

1923 წ. მარტის 22.

ტფილისი — სასახლე.

გამოქვეყნებულია გაზ. „კომუნისტის“ №-67 №-ზი 1923 წ. მარტის 25.

## 9.

### დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა № 34

შექრთამეობისათვის პასუხისმგებლობის გაძლიერების შესახებ.

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი აღვენს:

1. სისხლის სამართლის კოდექსის 117 მუხლი შეიცვალოს შემდეგნაირად:

117 მუხ. სახელმწიფო, საქართველო ან საზოგადოებრივ სამსახურში მყოფი პირის მიერ პირადად ან შუაქაცის შემწეობით, ამა თუ იმ სახით ქრთამის შილება ქრთამის მიმცემის სასარგებლოდ ისეთი მოქმე-

დების შესრულებისათვის ან შეუსრულებლობისათვის, რომელიც ამ პირის სამსახურის მოვალეობას შეაღგენს, დაისჯება

თავისუფლების აღკვეთით არა ნაკლებ ერთი წლისა და ქანების კონფისკაციით ან უამისოდ.

ქრთამის მიღება დამამძიმებელ პირობებში, როგორიც არის: ა) ქრთამის მიმღები თანამდებობის პირის საპასუხისმგებლო მდგომარეობა, ბ) სახელმწიფოს ქონებრივად დაზარალება, რაც ქრთამის აღების მოჰყვა ან შეიძლება, მომყოლოდა, გ) სამსახურის მოვალეობის დარღვევა, დ) ქრთამის აღებისათვის სამართალში მყოფელობა წინად ან არა ერთხელ ქრთამის მიღება, ე) ქრთამის გამოძალვა—დაისჯება

თავისუფლების აღკვეთით არა ნაკლებ ხაზი წლისა სახტიკი იზოლაციით და ქონების კონფისკაციით, ხოლო განსაკუთრებულიდ დამამძიმებელ გარემოებათა გამო—სასჯელის უმაღლესი ზომით და ქონების კონფისკაციით.

117-ა მუხ. ქრთამის მიცემა, შუაკაცობა შექრთამეობაში, შექრთამეობისათვის როგორმე ხელის შეწყობა ან შექრთამეობის საწინააღმდეგოდ ღონისძიების მიუღებლობა, დაისჯება

წინა მუხლის 1 ნაწილში გათვალისწინებული სასჯელით, ხოლო განსაკუთრებულიდ დამამძიმებელ გარემოებათა გამო—იმავე მუხლის 2 ნაწილში გათვალისწინებული სასჯელით.

ის, ვისზედაც გავრცელდება ამა და წინა მუხლის მოქმედება, შეიძლება სასახართლოს მიერ განთვალისუფლებულ იქნეს სასჯელისაგან მხოლოდ იმ შეზოგვეაში: ა) უკეთუ იგი ნებაყოფლობით და დაუყოვნებლივ განაცხადებს ქრთამის გამოძალვის შესახებ და ბ) უკეთუ თავის დროზე ჩვენების მიცემით და შეტყობინებით ხელს შეუწყობს შექრთამეობის გამოაშვარვებას.

სრულიად საქ. საბჭ. ცენტრ. აღმ. კომ. თავმჯდომარე მ. ცხადება.

სრულიად საქართ. ცენტრ. აღმას. კომ. მდგვანი. პ. საბაშვილი.

1923 წ. მარტის 22.

ტფილისი—სასახლე.

გამოკვეყნებულია გაზ. „კომუნისტის“ №-66 №-ში 1923 წ. მარტის 24.

## 10.

### დ ე პ რ ე ც ი

სისხლის სამართლის კოდექსის 134 მუხლის გავრცელების შესახებ  
სახელმწიფოებრივი მიზნების განმახორციელებელ ორგანიზაციას  
თან დადგებული ხელშეკრულების შეუსრულებლობაზე.

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი  
კომიტეტი ადგენს:

სისხლის სამართლის კოდექსის 134 მუხლი გავრცელებულ იქნება  
ავრეთვე იმ ხელშეკრულებიდან გამომდინარე ვალდებულების შეუსრუ-  
ლებლობაზე, რომელიც დადგებული იქნება ზოგად — სახელმწიფოებრივ —  
სამეცნიერო, საგანმანათლებელო და სხვა მიზანთა განმახორციელებელ  
კონკრეტური და, საზოგადოდ, ყოველ გაერთიანებულ ორგანოსთან.

სრულიად საქ. საბჭ. ცენტრ. აღმ. კომიტეტის  
თავმჯდომარე მ. ცხაკაია.

სრულიად საქართ. ცენტრ. აღმასკომის მდივანი პ. ხაბაშვილი.

1923 წ. მარტის 26.

ტფილისი — სასაჩლე.

გამოქვეყნებულია გაზ. „კომუნისტის“ №-72 და №-73 1923 წ. მარტის 31.

## 11.

### დადგენილება № 35

სახელმწიფო დერბიანი ბეჭდის ხმარების შესახებ.

საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის რევოლუციონური კო-  
მიტეტის მიერ 1921 წ. მარტის 15 თარიღითა და 18 №-ით გამოცე-  
მული ბრძანების დასამატებლად და განსავითარებლად სრულიად სა-  
ქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი  
ადგენს:

1. სახელმწიფო დერბიანი ბეჭდის ხმარების უფლება აქვს:

ა) სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალურ აღმასრუ-  
ლებელ კომიტეტს, სახალხო კომისართა საბჭოს, ყველა სახალხო

კომისარიატს, გათ ცენტრალურ სამართველოებს (ან ამ უკანასკნელთა თანასწორ განყოფილებას), სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტსა და სახალხო კომისართა საბჭოს-თან დამოუკიდებლად არსებულ დაწესებულებას და სახალხო ბანკს;

ბ) რესპუბლიკებისა, სამხრეთ ოსეთის აგრძონომიური ოლქისა და მათი სახალხო კომისარიატების სრულუფლებიან წარმომადგენლობას;

გ) მაზრისა და ქალაქის აღმასრულებელ კომიტეტსა და მის დამოუკიდებელ განყოფილებას;

დ) რევოლუციონურ ტრიბუნალს, სახალხო სასამართლოს, სახალხო მოსამართლეთა საბჭოს, პროკურორს, გამომძიებელს, ნოტარიუსს, სასამართლო აღმასრულებელს, ფოსტა-ტელეგრაფის კინტორას, სახელმწიფო სასწავლებელს, სასინჯ დაწესებულებას, ზომისა და წონის პალატას და სახალხო ბანკის აღილობრივ განყოფილებას;

ე) ცალკე სამხედრო ერთეულს და მის შესატერ შტაბს, სამართველოს და დაწესებულებას, რომლის უფროსსაც მინენებული აქვს უფლება არა უმცირესი პოლკის უფროსისა;

ვ) თემის აღმასრულებელ კომიტეტს.

2. სახელმწიფო ტერიტორიული ბეჭედი შეიძლება დამზადებულ იქნეს ტფილისში მხოლოდ შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის ნებართვით და აღილობრივ კი (პროვინციაში) აღმასრულებელი კომიტეტის შინაგანი მართველობის განყოფილების ნებართვით. ყველა ამ დაწესებულებამ უნდა სისწორით აღნუსხოს ბეჭედის დასამზადებლად გაცემული ნებართვა.

3. ნებართვა სახელმწიფო ლერპიანი ბეჭედის დასამზადებლად გაცემულ უნდა იქნეს 1 მუხლის ა და ბ პუნქტები აღნიშნული დაწესებულებისათვის მხოლოდ სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა, სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარისა, მათი მოაღილისა ან მდივნის მოთხოვნით; სათანადო რესპუბლიკისა და აგრძონომიური ოლქის აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარისა, მისი მოაღილისა ან მდივნისა და სათანადო ცენტრალური დაწესებულების სათავეში მდგომი პირისა ან მისი მოაღილის მოთხოვნით; 1 მუხლის „გ“ და „ვ“ პუნქტები აღნიშნული დაწესებულებისათვის — სათანადო აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარის მოთხოვნით, ხოლო იმავე მუხლის „დ“ და „ე“ პუნქტები აღნიშნული დაწესებულებისათვის სათანადო დაწესებულების ხელმძღვანელი ორგანოს მოთხოვნით. ამასთანავე სამხედრო ერთეულისა და სახელმწიფო უწყების დაწესებულების ბეჭედის დასამზადებლად საქირო წინასწარი ვიზა კავკასიის ცალკე არმიის განსაკუთრებული განყოფილებისა

4. სახარატო (საგრავიორო) სახელოსნო აწარმოებს ცალკე დავთარს შეკვეთილი სახელმწიფო ღრუბანი ბეჭდების ჩასწერად და ამ დავთარში შეინახავს ყველა სათანადო გასამართლებელ საბუთს.

5. ყველა თანამდებობის პირი და დაწესებულება, რომელსაც ამა დადგენილების ძალით წევა არა აკვს იმპაროს სახელმწიფო ღრუბიანი ბეჭდი, ვალ დებულია, ერთი კვირის განმავლობაში დღიდან ამა დადგენილების გამოქვეყნებისა, წარუდინოს ყველა, რაც კი მას მოვალება, სახელმწიფო ღრუბიანი ბეჭდი შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატს მოსახლეობად.

6. დაევალოს შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატს ორი თვის განმავლობაში შეადგინოს სია ყველა უწყების იმ დაწესებულებებისა, განკუთვილებებისა და თანამდებობის პრინციპი, რომელთაც, ამა დადგენილების თანახმად, უფლებათ ექლევათ სახელმწიფო ღრუბიანი ბეჭდი, იმარობ, ავრეთვე შეიძლებავთ და გამოსცემის ინსტრუქციის ბეჭდის მმარებისა, შენახვისა და მოსპობის წესის შესახებ, ავრეთვე ბეჭდის დამზადებისთვის ნებართვისა გაცემისა და შეკვეთილი ბეჭდის დამზადების წესის შესახებ და სამისალო სახარატო (საგრავიორო) სახელოსნოს მიერ ანგარიშების წარმოების შესახებ.

7. დადგენილება ეს ძალაში შედის დღიდან მისი გამოქვეყნებისა.

სრულიად საქ. საბჭ. ცენტრ. აღმ. კომ.

თავმჯდომარე გ. ცხადია.

სრულიად საქართ. ცენტრ. აღმის. კომიტ.

მდივანი გ. საბაშვილი.

1923 წ. აპრილის 10.

ტფილისი—სახალევ.

გამოქვეყნებულია გაზ. „კომუნისტის“ №-81 № ში 1923 წ. აპრილის 12.

## 12.

### დადგენილება № 36

ხულიად საქართველოს მუშათა, წითელ-არმიელთა და გლეხთა დეპუტატების საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კამიტეტისა და სახალხო კომიტეტის საბჭოს.

1901 წ. დაბადებულ მოქალაქეთა ჯარში გაწყვევის შესახებ.

საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის რევოლუციონური კომიტეტის 1921 წ. 31 და 40 ნოემბრით გამოცემული დეკრეტის დამატებისა და განვითარებისათვის, სრულიად საქართველოს მუშათა, წითელ არმიელთა და გლეხთა დეპუტატების საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

1. გაწვეულ იქნენ ნამდვილ სამხედრო სამსახურში მოქავშირე სოციალისტურ საბჭოთა რესპუბლიკების 1901 წ. დაბადებული მოქალაქენი, რომელიც სცხოვრობენ საქართველოს სოც. ხაბჭ. რესპ. ტერიტორიაზე.

### 2. ამა გაწვევისაგან განთავისუფლებულ იქნენ:

- მოქალაქენი მაჰმადის სარწმუნოებისა,
- სექტანტები,
- მთიელი (ზევსურნი, ფშავენი, თუშენი), რომელიც სცხოვრობენ მთის ხეობაში — ყაზბეგის აღმოსავლეთი;
- ქრისტიანი აფხაზნი;
- მოქალაქენი, რომელთაც არ იციან არც ქართული და არც რუსული ენა;
- ის პირნი, რომელთაც თავისი ქლასიური მდგომარეობისა და საბჭოთა ხელისუფლების მიმართ აქტიური მტრული განწყობილებისა გამო არ შეიძლება მიენდოთ იარაღით ხელში საბჭოთა ხელისუფლების დაცვა;
- მასწავლებელნი, თანახმად საქართველოს რევოლუციონური კომიტეტის 1921 წ. მე-40 ნომრის დეკრეტისა;
- ფიზიკურ ნაკლულევანებათა და ავადმყოფობის გამო, თანახმად ამიერ-კავკასიის საბჭოთა ფედერატიული რესპუბლიკის სამხედრო და საზღვაო სახ. კომისარიატის 1922 წლ. მე-40 ნომრის ბრძანებისა და ავადმყოფობათა საგანგებო ნუსხისა, რომელიც გამოცემულ უნდა იქნეს ხელისუფლი ბრძანების დაბატებათ.

### 3. ჯარში გაწვევის ვადა გადაედოთ:

- ფიზიკურათ დაუვატყაცებელთ და ავადმყოფთ;
- 1) უბალეს სასწავლებელში მოსწავლეთ, თანახმად საქართველოს რევოლუციონური კომიტეტის 1921 წ. მე-40 ნომრის დეკრეტისა, 2) საშუალო სასწავლებლების მოსწავლეთ — კურსის დამთავრებამდე;
- გადმოსახლებულთ და განსახლებულთ, თანახმად ამიერ-კავკასიის სოც. ფედ. ხაბჭ. რესპუბლიკის სამხედრო და საზღვაო სახალხო კომისარიატის ამა 1923 წლის მარტის 8-ს თარიღისა და 63 ნომრის ბრძანებისა.

### 4. სრულიად არ უნდა იქნენ გაწვეულნი:

- იმ სახელმწიფოთა ქვეშევრდომი მოქალაქენი, რომელნიც არ შედიან სოც. საბჭ. რესპუბლიკების კავშირში;

8) ის პირნი, რომელიც სასამართლოს განაჩენით მოკლებულ არიან აქტიურ და პასიურ საარჩევნო უფლებას.

5. ამა დადგენილების მე-2 მუხლის ა, ბ, გ, დ, ე, ვ პუნქტებში ჩამოთვლილ მოქალაქეთ დაედგას ფულადი გარდასახადი, თანამშად ცალკე დადგენილებისა, რომელიც გამოიცემა დამატებით.

6. ჯარში გასაწვევი მოქალაქენი, რომელთაც არ იციან ქართული ენა, ხოლო რესული ენა კი იციან, გაიგზავნონ რესეტის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკის და სხვა საბჭოთა რესპუბლიკების წითელი არმიის ნაწილებისა და ტაშისებულებათა შესავსებად—ცალკე კავკასიის არმიის რევოლუციონური სამხედრო საბჭოს განკარგულების თანამშად.

7. 1901 წ. დაბადებულთაგან არც ერთი მოქალაქე, აღნიშნული ამა დადგენილების მე 2, 3 და 4 მუხ. არ განთავისუფლდება მიმღებ კომისიაში გამოცხადებისაგან შესაკრებ პუნქტზე.

8. 1901 წ. დაბადებული ყველა მოქალაქე, რომელიც თავს გაარიდებს შესაკრებ პუნქტზე მიმღებ კომისიაში გემოცხადებას, ან რომელიც სამსახურში მიღების შემდეგ დეზერტირად გავა, უნდა მიეცეს სათანადო სამართლება.

სასჯელის მოხდის შემდეგ ისეთი პირი მოვალე, იმსახუროს ჯარში ნამდვილი სამხედრო სამსახურისათვის დაწესებული ვადის გარდა, ფეხურტირობისა და გამოცხადებლობის დროს გატარებული ყოველი ერთი დღის ნაცვლად—ორი დღე; ამასთანავე სამსახურის ვადაში არ უნდა ჩაეთვალის სასჯელის შოსახდელად გატარებული დრო.

9. ნაძვილ სამხედრო სამსახურში გამოცხადებისაგან თავ-გარიდებულთა და დეზერტირების წინააღმდეგ ალკვეტის ზომათ აუცილებლათ მიღებულ უნდა იქნეს დამნაშავეთა დაპატიმრება.

10. 1901 წ. დაბადებულ მოქალაქეთა ჯარში გაწვევა მოხდეს ორ რიგთა ა. წ. აპრილისა და ოქტომბრის თვეების განმავლობაში საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სამხედრო კომისრისა და შინაგან საქმეთა სახილხო კომისარის განკარგულებისამებრ იმ პირობით, რომ მშრომელი ოჯახის ერთად ერთი მომუშავე, რომელიც ეწევა სასოფლო შეურნეობას, გაწვეულ იქნეს მეორე რიგში.

შენიშვნა. იმ მოქალაქეთა გაწვევა, რომელთაც არ იციან ქართული ენა, ხოლო იციან რესული ენა მოხდეს პირველ რიგში მთლიად, გარდა მშრომელი ოჯახის ერთადერთი მომუშავისა, რომელიც ეწევა სოფლის შეურნეობას, ამათი გაწვევა მოხდება მეორე რიგში.

11. დადგენილება ესე ძალაში შედის დღიდან მისი გამოქვეყნებისა.

სრულიად საქართველოს შეზათა, წითელ-არმიელთა და გლეხთა დეპუტატების საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე მ. ცხადია.

საქართველოს სოც. საბჭ. რესპ. სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე შ. ელიავა.

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მდივანი პ. საბაშვილი.

1923 წ. აპრილის 11.

ტფილისი — სასახლე.

გამოქვეყნებულია გაზ. „კომუნისტის“ №-81 № ში 1923 წ. აპრილის 12.

### 13.

## დ ე გ უ ლ ე ბ

მიწათმოწყობის შესახებ ქალაქებში.

საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის რევოლუციონური კომიტეტის მიერ მიწის შესახებ 1921 წლ. აპრილის 6-ს თარიღითა და 17 №-ით გამოცემული დეკრეტის განსავითარებლად, რომელი დეკრეტის ძალითაც გაუქმდებულია კერძო საკუთრების უფლება მიწაზე, სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი ზემოსენგბული დეკრეტის მე-3 და მე-18 მუხლის საფუძველზე ადგენს:

1. ამ დებულების გამოცემისათანავე ყოველი მიწა, რომელიც მდებარეობს მომქმედი საქალაქო მიჯნის შიგნით, ჩითვლება საქალაქო მიწად. გარდა ამისა, ქალაქების სარგებლობაში მტკიცდება ქვემოდ აღნიშნული სოფლად მდებარე მიწები. ქალაქის ტერიტორიის გაფართოება ახალი საქალაქო მიჯნის დამყარებით სასოფლო მოწებსების ამა დებულების მე-3 მუხლში აღნიშნულ საფუძველზე.

2. საქალაქო მიჯნად ჩითვლება გარეთი საზღვარი, როგორც შენობიანი ის უშენობო მიწებისა, რომელიც ამა დებულების გამოქვეყნების დღისათვის იქნება ქალაქის საბჭოს გამგებლობაში და აგრეთვე ქალაქის საზღვარზე მიკრული ყოფილი საქალაქო მიწები, უკეთუ იგი არ არის გლეხთა მოსახლეობის ან შეზათა ორგანიზაციების ფაქტიურ სარგებლობაში.

**შენიშვნა 1.** განსაზღვრა მომქედი საქალაქო მიჯნისა ადგილზე ან პლანზე, მთელი მისი სიგრძით ან ხატილობრივ შესრულებულ უნდა იქნეს, უკეთუ საჭირო იქნება, მიწათმოწყობის წარმოების საერთო წესისამებრ, როგორც საქალაქო საბჭოს, ისე ქალაქის მიღამოების მცხოვრებთა განცხადებით.

**შენიშვნა 2.** მუშაობა ამ მუხლში აღნიშნული საქალაქო მიჯნის განსაზღვრისთვის უნდა სწარმოებდეს პირველ რიგობრივ.

**3.** უკეთუ ქალაქის გაფართოებისათვის იუკილებელი იქნება არსებული საქალაქო მიჯნის შეცვლა და ახალის დამყარება, საკითხი ამის შესახებ უნდა აღმრას ქალაქის საბჭომ ან შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატში. ახალი საქალაქო მიჯნის დამყარების საქმე სწარმოებს მიწათმოწყობის საერთო წესისმებრ. უკეთუ შეთანხმება მიღწეული ვერ იქნება, საქმე საბოლოო გადაწყვეტისათვის გადაეცემა სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმს. ახალი საქალაქო მიჯნის დამტკმცებული პროექტი სისრულეში უნდა იქნეს მოყვანილი საღვილ-მამულო ორგანოების მიერ.

**4.** ყოველი მწა მდებარე მომქედი საქალაქო მიჯნის გარეთ, ვის სარგებლობაშიაც უნდა იყოს იგი, შედის სოფელის ტერიტორიაში, არის საადგილო-მამულო ორგანოების საერთო გამგებლობაში და ემორჩილება სათანადო კანონებს მიწის შესახებ; ამასთანვე, მიწა, რომელიც ფატერიურად გამოუყენებელია ქალაქის კომუნალურ საწარმოეთაგან (წყალსადენი, მორწყვის მინდვრები, საბჭოთა მეურნეობანი და სხვ.) მტკიცდება ამ საწარმოთა სარგებლობაში.

**5.** საქალაქო მიჯნის გარეთ მდებარე მიწები იმ დაწესებულებათა და საწარმოთა სარგებლობაში ქანებული, რომელნიც არ შედიან კომუნალურ სამართველოს შედგენილობაში, უკეთუ ეს მწები მათ კანონიერად გადაეცათ, მტკიცდება ამავე დაწესებულებათა და საწარმოთა სარგებლობაში.

**6.** რათა თავიდან აცილებულ იქნეს უწესრიგოთ აღნაგობა იმ მიწებზე, რომელიც მომავალში შეიძლება შევიდეს ქალაქის მიჯნაში, ქალაქის საბჭოს უფლება ეძლევა, მიუხედავად ახალი საქალაქო მიჯნის დამყარებისა შეაღინოს გეგმა და წესი საქალაქო მიჯნის გარეთ მდებარე მიწებზე აღნაგობისათვის.

დღიდან ამ გეგმისა და წესის დამტკიცებისა, არსებული წესისამებრ და მცხოვრებთათვის მათი განცხადებისა აკრძალულია ახალ შენობათა აგება, რასაც შეუძლია დაარღვიოს აღნიშნული გეგმა და წესი, — გარდა დროებითი და მსუბუქი შენობებისა — და აგრეთვე გაფართოება არსებულ შენობათა. აგებული ან გაფართოებული შენობა დაშლილ უნ-

Ը օյնես մի პորու ხարջուտ, զոնց պահանջմանը մասնաւոր մուշառածա, չկցու աշխալցեցլո օյնեթա, համ առնունուլո մովեծո զադացոյ յա-  
լայի նշմուսեցնցուլո ցացմուսամեծը.

7. Շաբախ յալայիս մոյշանց մոյշուլ մովեծո լատիցոյ առնացո-  
ծա ան ամ մովեծո լատիցոյ քամունալուրո լատիցոցնուլո ան սաֆարմո, —  
յալայիս մոյշանց գաճախուլ սնդա օյնես մովատմովուպոծու թարմոյցու սա-  
յրուու թյուսումեծը, հատա առնունուլո մովեծո մոյշուլ յալայիս մոյշա-  
նչու. ամ յանոնշու առնունուլ շյոմտեցցոցուսատցու մովատմովուպոծու թար-  
մոյցու սայմեթու մովցուլ սնդա օյնեթ հողուրու մեծարյունու: յալայիս սած-  
կուսա դա տյմու ամասրուլցեցլո քամուրուու թարմոմացցելոնո, պայլա  
դասին թյուրուցեցլու լատիցոցնուլո դատիցոցնուլո, որցանինչալու, սաֆարմո, սագուլ-  
մամուլո սահոցագոյցա դա պալու մոյնու մուսահցեցլունո.

8. Նշմունունուլո թյուսու զարկուլցեցլու սնդա օյնես ացրայու  
մի ժամանեցլու ացուլուն, հողուրու աշխալցուլո թյուսումեծը պնձու-  
լո օյնեթա յալայիսու ըստու ժամանեցլու ացուլուն.

9. Մովու նորմեցու լատիցոցուսատցու, սայարուցցուլու սուց. սած. հյեծ.  
պայլա յալայիսու զանուսուցնու սամ քարուցուրուու: Ցորչու քարուցուրուու  
մոյցունեծնու: Ծոյուլուսու, յուտասու դա ուոտու; Ցորչու: ցորչու, սունանու,  
տյուլացու, ախալցենայու, ախալցուն, յուտուրու դա ուուրուցու դա մեսամեց: պայլա  
դանարինու յալոյցեծու.

Եցուուցու քարուցուրուու յալայիսու տացու մանրու ուոտու նուլցեալ.

10. Ցորչու քարուցուրուու յալայիսու ուոտու սամ նուլաւ: Շուդա  
սնդանու, Շյա սնդանու դա ցարյու սնդանու.

Պայլաս, զոնց պալում մովաս, հողուրու նշենունու, ույ պայլու-  
նու լայտուցու նորմա:

Ծոյուլուսուս դա ծատոմու Շուդա սնդանու ցարյու սնդանու, հո-  
մելիցեցլու պայլունու նշենու, լայտուցու մովու նայցետո առա սնդերից 200  
տուկուտու սայենուս, եռլու յուտասուս դա ուոտունու առա սնդերից 300  
տուկուտու սայենուս.

Ծոյուլուսուս դա ծատոմու Շյա սնդանու լայտուցու առա սնդերից 400  
տուկու. Սայենուս, եռլու յուտասուս դա ուոտունու առա սնդերից 600  
տուկու. Սայ.

Ցորչու քարուցուրուու պայլա յալայիսու ցարյու սնդերից նու լայտուցու  
յուտու լայտունունու յուտունու լայտունունու մովու մուսամեցու, ույ հա  
մանուլուն լայտունունու մովու նայցետո պայլուրունու.

11. Ցորչու քարուցուրուու յալայիսու ցարյու սնդանու ու նուլաւ: Շո-  
ւդա սնդանու դա ցարյու սնդանու.

Ցորչու քարուցուրուու յալայիտա Շուդա սնդանու մովու մուլունունու դա-

ეტოვება ნორმად არა უმეტეს 600 ოთხ. საუნისა, ხოლო გარეთ უბანში არა უმეტეს ორი დღესტ.

12. მესამე კატეგორიის ქალაქებიც განიყოფება ორ ზოლად: შილა უბანი და გარეთ უბანი.

მესამე კატეგორიის ყველა ქალაქის შილა უბანში შესაკუთრებული დაეტოვება ნორმა არა უმეტესი 900 ოთხ. საკ., ხოლო გარეთ უბანში დაეტოვება ის ნორმა, რაც მეზობელ სოფლებისათვის დაწესებულია სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის 1922 წლის მაისის 26-ს დებულებით მიწათმოწყობის შესახებ.

13. ქალაქის გარეთ უბანში მიწის მესაკუთრებით მიწათმოწედ ოჯახს, რომლის არსებობის ერთად-ერთ წყაროს შეადგენს სოფლის მეურნეობა, უფლება აქვს დაეტოვოს მიწის ნაკვეთი იმ ნორმით, რაც დაწესებულია 1922 წლის მაისის 26-ს დებულებით.

14. ქალაქების დაყოფას ზოლებად იწრმოებს აღგილობრივი აღმასრულებელი კომიტეტი და ამტკიცებს შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატი.

15. იმ მიწების გარდა, რაც დატოვებულია ნორმად, ყველა დანარჩენი, ქალაქის ფარგლებში მდებარე მიწა გადადის აღგილობრივი აღმასრულებელი კომიტეტის განკარგულებაში და შეადგენს ქალაქის საადგილმამულო ფონდს.

**შენიშვნა.** თვითეული ქალაქის აღმასრულებელი კომიტეტი შეიმუშავებს საადგილმამულო ფონდის სარგებლობის სათანადო წესს, რომელსაც დამტკიცებს შინაგან საქმეთა სახ. კომისარიატი.

16. მიწის სარგებლობის უფლება მოისპობა:

ა) სასამართლოს განაჩენით კანონში განსაზღვრული დანაშაული-სათვის (კონფისკაცია);

ბ) მფლობელთა გადაშენებით;

გ) მიწის ჩამორთმევით სახელმწიფოს საკიროებისათვის. (გზისა და არხის გაყიდვა, სახელმწიფო და სამრეწველო დაწესებულებათა საკიროებანი და სხვ.).

**შენიშვნა 1.** საკითხი მიწის ჩამორთმევის შესახებ სახელმწიფო ფონდისათვის აღმორთმევის აღმრულ უნდა იქნეს სახალხო კომისართა საბჭოს წინაშე.

**შენიშვნა 2.** უკეთო ჩამორთმევა შეეხება კერძო მოსარგებლის ნორმას, მიწის პატრიონს ზარალი უნდა ინაზღაუროს და შეძლებისადაგვარად უნდა მიეცეს სხვა მიწა.

**შენიშვნა 3.** ზარალის ანაზღაურების წესს შეიმუშავებს ინსტრუქციის სახით შინაგან საქმეთა სახ. კომისარიატი მიწადმოწედებისა და იუსტიციის სახალხო კომისარიატებთან შეთანხმებით.

17. მიწის სარგებლობის უფლების გადაცემა (გაყიდვა, დაგირაცება, გაცელა) აკრძალულია.

დამნაშავე პასუხს აგებს სასამართლოს წინაშე თანახმად სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის 1922 წ. დეკემბრის 20-ს თარიღ. და 27 ნოემბრის დადგენილებისა.

18. უკეთე მესაკუთრე გაასხვისებს თავის შენობას, მით მიწის ნორმა გადაცემა ახალ მფლობელს იმავე უფლებით, რაც ჰქონდა შენობის გამასხვისებელ პირს.

19. უშენობი მიწის იჯარით გაცემა შეიძლება: 1) სტიქიური უბედურების გამო (მოუსავლობა, პირუტყვის გაწყვეტა და სხვ.), 2) მუშა-ხელის რიცხვის შემცირების გამო (მობილიზაციის დროს და სხვ.) და 3) ქვრივ-ობლებისა და მოხუცებულთათვის.

20. გავრცელებულ იქნეს სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრ. კომიტეტის მიერ მიწათმოწყობის შესახებ 1922 წ. მაისის 26-ს თარიღ. გამოცემული დებულების მე-11 და მე-13 მუხ. ქალაქის ფარგლებში მდებარე მიწებზე.

21. მიწის რეფორმის განხორციელება ქალაქიდ დაცემისება ქალაქის აღმასრულებელ კომიტეტებს.

22. მიწათმოქმედებისა და შინაგან საქმეთა სახ. კომისარიატებს უფლება ეძლევათ ურთიერთოთან შეთანხმებით გამოსცენ ხოლმე წესები და ინსტრუქციები ამა კანონის შეფარდებისათვის.

23. ძირითადი დებულებანი ქალაქებში მიწათმოწყვიბის დებულების იმ ნაწილისა, რაც შეეხება მიწათმოწყობისა და მიწების განაწილებას გავრცელებულ იქნეს აფხაზეთის შეპირებულ რესპუბლიკაზე, აჭარისტანის ავტონომიურ რესპუბლიკაზე და სამხრეთ-ოსეთის ავტონომიურ ოლქზე.

24. დებულება ესე ძალაში შედის დღიდან მისი გამოქვეყნებისა.

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრ. კომიტ. თავმჯდ. მ. ცხაკაია.

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალ. აღმასრ.

კომიტ. მდივანი პ. საბაშვილი.

1923 წ. აპრილის 12.

ტფილისი—სასახლე.

გამოქვეყნებულია გაზ. „კომუნისტის“ მე-82 ქ-ში 1923 წ. აპრილის 13.

## 14.

### დადგენილება № 37

სრულიად საქ. საბჭ. ცენტრ. აღმ. კომიტეტისა და საქ. სოც. საბჭ. რესპ. სახ. კომისართა საბჭოსი.

სასამართლოს და პროკურატურის მომუშავეთა დატუსაღების წესის ზესახებ.

იუსტიციის ორგანოთა მფრინავების განსამტკიცებლად და სა-  
თანადო სიმაღლეზე დასამყარებლად სრულიად საქართველოს საბჭოთა  
ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და საქართველოს სოც.  
საბჭ. რესპ. სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. ხელისუფლების ორც ერთ ორგანოს არ შეუძლიან დაატუსა-  
ლოს პროკურორი, ტრბუნალის თუ სახალხო მოსამართლეთა საბჭოს  
თავმჯდომარე თვინიერ რესპუბლიკის პროკურორის წინასწარი ნება-  
დართვისა; ხოლო პროკურორის თანაშემწე, რევოლუციონური ტრი-  
ბუნალისა და სახალხო მოსამართლეთა საბჭოს პრეზიდიუმის წევრი,  
სახალხო მოსამართლე და გამომძიებელი—თვინიერ უზენაესი ტრიბუ-  
ნალის პროკურორისა ან ოლქის პროკურორის—კუთვნილებისამებრ,—  
წინასწარი ნებადართვისა.

2. უაღრესად განსაკუთრებულ და გადაუდებელ შემთხვევაში შე-  
საძლებელია სასამართლოს და პროკურატურის მომუშავე, რომელიც  
დასახელებულია ამა დადგენილების 1-ლ მუხლში, დატუსაღებულ იქ-  
ნეს წინასწარ ნებადაუზრუნველადაც, ხოლო იმ პირობით კი, რომ და-  
ტუსაღება იმავე დროს ეცნობოს 1-ლ მუხლში აღნიშნულ საპროკუ-  
რორო ზედამხედველობის სათანადო პირს.

3. ამა დადგენილების დარღვევისათვის დამნაშავე პირი პასუხს  
ავგებს სასამართლოს წინაშე სისხლის სამართლის კოდექსის 115 მუ-  
ხლისამებრ.

სრულიად საქართველოს საბჭ. ცენტრ. აღმ. კომიტეტის  
თავმჯდომარე მ. ცხადია.

საქართველოს სოც. საბჭ. რესპ. სახ. კომ. საბჭ.  
თავმჯ. მთაღე. ს. გეგეტერი.

სრულიად საქართველოს საბჭ. ცენტრ. აღმასრ. კომიტეტის  
მდივანი საბაშვილი.

1923 წ. ოქტომბრის 13.

ტფილისი—სასახლე.

გამოქვეყნებულია გაზ. „კომუნისტის“ №-84 №-ში 1923 წ. აპრილის 15.

## 15.

### დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა № 38

პროკურატურის დებულების დამატების შესახებ.

პროკურატურის დებულების (დადგენილება 1922 წ. ნოემბრის 11 თარიღითა და 19 ქ-ით) დასამატებლად,—სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმსარულებელი კომიტეტი ადგენს:

1. ქართული მსროლელი დივიზიის სამხედრო რევოლუციონურ ტრიბუნალთან დაწესებულ იქნეს სამხედრო პროკურატურა, რომელიც შევა იუსტიციის სახალხო კომისარიატის შედგენილობაში.

2. ქართული მსროლელი დივიზიის სამხედრო რევოლუციონურ ტრიბუნალთან არსებული სამხედრო პროკურატურა განახორციელებს საოლქო პროკურატურის უფლებას ზედამხედველობისა და დანაშაულობასთან ბრძოლისათვის ქართული მსროლელი დივიზიისა და საქართველოს სამხედრო კომისარიატის დაწესებულებათა და თანამდებობის პირთა მიმართ.

3. სამხედრო რევოლუციონური ტრიბუნალის დებულების შე-8 მუხლი მიღებულ იქნეს შემდეგის რედაქციით:

„სამხედრო რევოლუციონურ ტრიბუნალთან იმყოფებიან სამხედრო პროკურორი და მისი თანაშემწენი, რომელთა რიცხვიც შტატით განისაზღვრება“.

სრულიად საქ. საბჭ. ცენტრ. აღმ. კომიტეტის  
თავმჯდომარე მ. ცხაკაია.

სრულიად საქართ. ცენტრ. აღმას. კომიტეტის  
მდიგარი პ. საბაშვილი.

1923 წ. აპრილის 10.

ტფილისი—სასახლე.

გამოქვეყნებულა გაზ. „კომუნისტის“ გვ-94 ქ-ში 1923 წ. აპრილის 27.

## 16.

### დ ე პ რ ე ტ ი

მემკვიდრეობის სამართლის შესახებ.

საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სამოქალაქო კოდექსის გამოცემამდე, სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი ადგენს:

1. კანონით და ანდერძით დამკვიდრება, ქვემომოყვანილი მუხლების თანახმად, შეიძლება სამკვიდრო ქონების საერთო ლირებულების იმ ფარგლებში, რაც გარდაცვალებულის ყველა ვალის გამოკლებით 10.000 ოქროს შანეთს არ აღმატება.

**შენიშვნა.** ის უფლება, რომელიც სახელმწიფო ორგანოს მიერ კერძო პირთან დადგებულ ხელშეკრულებიდან (საიჯარო, საკონცესიო, სააღნაგო და სხვ.) გამომდინარეობს, როგორც სამკვიდროს დამტოვებელის გარდაცვალების დროს, ისე შემდეგშიაც გადადის კანონით და ანდერძით დამკვიდრების წესისამებრ თვინიერ ამ მუხლში დაწესებული უკიდურესი ლირებულებისა.

2. უკეთუ სამკვიდროს საერთო ლირებულება 10.000 ოქროს მანეთს აღმატება, სახელმწიფო,—ფინანსთა სახალხო კომისარიატის ორგანოების სახით,—და კანონით ან ანდერძით სამეცნიეროდ გამოწვეულ კერძო პირთა შორის უნდა მოხდეს სახელმწიფოს დაინტერესებულ ორგანოს სასარგებლოდ გაყოფა ან—და ლიკვიდაცია სამკვიდრო ქონების იმ ნაწილისა, რომელიც სამკვიდროსათვის დაწესებულ უკიდურეს ლირებულებას აღმატება.

უკეთუ სამკვიდრო ქონების გაყოფა, ამ ქონების შემადგენელ ნაწილთა ხასიათის გამო მეურნეობის მხრით ხელსაყრელი არ არის და მოუხერხებელია, უნდა დამყარდეს სახელმწიფო ორგანოებისა და კერძო პირის საერთო მფლობელობა, ან დაწესდეს სათანადო ნაწილის გამოყიდვის უფლება სახელმწიფოს ან კერძო პირის სასარგებლოდ, თუ ეს სახელმწიფო ინტერესების თვალსაზრისით შესაძლებელია.

3. იმ პირთა წრეს, რომელიც კანონით ან ანდერძით სამეცნიერებულ უნდა იქნენ გამოწვეულნი, შეაღევნენ მხოლოდ პირდაპირი შთამომავალნი (შვილები და შვილის—შვილები), გარდაცვალებულის ცოცხალი მეუღლე, აგრეთვე შრომის უნარს და ქონებას მოკლებული პირნი, რომელთაც გარდაცვალებული ფაქტისურად და მთლად ინახავდა თავის სიკვდილამდე არა ნაკლებ ერთი წლის განმავლობაში.

**შენიშვნა.** მექვიდრედ შეიძლება იყოს მხოლოდ ის პირი, რომელიც, ცოცხალის სამკვიდროს დამტოვებელის სიკვდილის დროს, აგრეთვე მის სიცოცხლეში ჩასახული და მისი სიკვდილის შემდეგ დაბადებული შვილი.

4. კანონით დამკვიდრება ქონებისა, მისი ლირებულების იმ ფარგლებში, რაც პირველ მუხლშია აღნიშნული, შეიძლება ყოველთვის, როდესაც და რამდენადც იგი ანდერძით არ არის შეცვლილი.

5. კანონით დამკვიდრების დროს სამკვიდრო ქონება უნდა გაყოფილ იქნეს თანასწორ წილად და კაცის თავზე შესამე მუხლში აღნიშნულ ყველა პირთა შორის.

**შენიშვნა.** სახლის ჩეცულებრივი მოწყობილობა, ფულუნების საგნების გარდა, არ ჩაითვლება პირველ მუხლში საშკვიდროსათვის დაწესებულ უკიდურეს ღირებულებაში და გადადის ონაშწორად 3 მუხლში ჩამოთვლილ იმ მექვიდრეებზე, რომელიც გარდაცვალებულთან ერთად ცხოვრიდნენ, ან იმ პირებზე, რომელიც ანდერძში არიან აღნიშნულია.

6. ანდერძად ჩაითვლება სიკვდილის საშემთხვევოდ გაცემული წერილობითი განკარგულება, რომ ქონება მიეცეს მესამე მუხლში იღნიშნულთაგანს ერთს ან რამდენსამე პირს, ან იგი ქონება განაწილებული იქნეს კველა ამ პირსა ან მათგან რამდენსამე პირს შორის სხვა გარიწესით, და არა იმ წესით, რაც გათვალისწინებულია მე-5 მუხლში.

**შენიშვნა 1.** მოანდერძეს შეუძლიან კანონით მექვიდრეობის უფლება მოუსცოს 3 მუხლში აღნიშნულ პირთაგანს ერთს, რამდენიმეს ან ყველას. პირველ ორ შემთხვევაში იმითი წილი ვისაც მექვიდრეობის უფლება მოესპო, განაწილებულ უნდა იქნეს დანარჩენ პირთა შორის, ხოლო უკანასკნელ შემთხვევიში საშკვიდრო გადადის სახელმწიფოს ხელში.

**შენიშვნა 2.** მოანდერძეს უფლება აქვს ქონება, რომელიც პირველ მუხლში აღნიშნულ ღირებულებას არ აღემატება, ან ამ ქონების ნაწილი დასტოვოს კულტურული, განმანათლებელი ან სხვა კანონის არა საწინააღმდეგო საზოგადოებრივი ან-და სახელმწიფოებრივი დაწესებულების განკარგულებაში.

7. მოანდერძეს შეუძლიან იმას, ვისაც ანდერძით საშკვიდრო ქონება ეძლევა დააკისროს რაიმე ვალდებულების ასრულება ერთისა, რამდენიმესი ან ყველა დანარჩენი კანონიერი მექვიდრის სასარგებლოდ, რომელთაც, იმ განკარგულების ძალით, უფლება აქვთ მოსთხოვონ ანდერძით მექვიდრეს სათანადო ვალდებულების ასრულება.

8. შეიძლება დატოვება ისეთ ანდერძისა, რომელშიაც, იმ შემთხვევისათვის, უკეთ ანდერძით დანიშნული მექვიდრე მექვიდრეობის გახსნამდე გარდაიცვალა ან მექვიდრედ დანიშნულმა უარი სთქვა დამკვიდრებაზე მოანდერძე გამოიწვევს სამექვიდრეოდ სხვა რომელსამე კანონიერ მექვიდრეთაგანს.

9. ანდერძის პროექტი ხელმოწერილი უნდა იქნეს მოანდერძის მიერ და წარდგენილი სახალხო ნოტარიუსისათვის, ხოლო იქ, სადაც ნოტარიუსი არ არის, სახალხო მოსამართლისათვის სიგელთა დავთარში შესატანად და მოანდერძისა, ნოტარიუსისა ან მოსამართლის მიერ ხელმოწერილი ანდერძი დედანად ჩაითვლება.

უკეთ მოანდერძემ წერა არ იცის ან მოანდერძეს არ შეუძლიან ხელის მოწერა (ხელის ტკივილისა ან სხვა მიზეზისა გამო), მის მა-

გირ ანდერძს ხელი უნდა მოაწეროს მესამე პირმა. სიგელთა დავთრი-  
დან ამონაწერი დედნის სამაგიეროა.

10. შემდეგში შედგენილი ანდერძით გაუქმდება წინად შედგენილი  
ანდერძი იმდენად, რამდენადაც წინანდელი ანდერძი არ შეიცვას ისეთ  
განკარგულებას, რომელიც კი გათვალისწინებული არ იქნება შერმინ-  
დელ ანდერძში. მოანდერძეს შეუძლიან ახალი ანდერძის შეუდგრლადაც  
გააუქმის წინანდელი ანდერძი, ნოტარიუსისავოს ან სასამართლოში  
განცხადებით, რომელიც შეტანილ უნდა იქნეს სიგელთა დავთარში ან  
სასამართლოს ოქმში. ნოტარიუსი ან მოსამართლე სიგელის ან ოქმის  
პირს გაუქმავნის იმ ორგანოს, რომელთანაც გაუქმებული ანდერძი  
ქმნილ იყო.

11. ანდერძი სისრულეში უნდა მოიყვანონ ანდერძით დანიშნულ-  
მა მემკვიდრეებმა, უკეთუ მოანდერძემ თავისი ნების ასრულება არ  
შინაღო განსაკუთრებულ პირს, ანდერძის აღმასრულებელს, მისი თან-  
ხმიბით, რომელიც მან უნდა განაცხადოს თვით ანდერძშივე ან მას-  
თან დართულ ცალკე განცხადებაში.

12. უთანხმოება და დავი, კერძო პირებს შორის ან კერძო პი-  
რებას და სახელმწიფოს ორგანოთა შორის იმ საკითხების გამო, რო-  
მელიც შეეხება სამკვიდრო ქონების შეფასებასა, გაყოფასა და ანგარი-  
შის გასწორების წესს, უნდა გადაწყვიტოს სასამართლო.

**შენიშვნა.** სამკვიდრო ქონების შეფასება ქალაქში მოხდება იმ წე-  
სით, რომელიც აღნიშნულია სათანადო დადგენილებაში უსასყიდლოდ  
გადასასვლელ ქონებაზე სამკვიდროს ბაჟის გამოანგარიშების შე-  
სახებ.

13. მემკვიდრეობის გახსნისას სამკვიდრო ქონების დასაცავი ლონის-  
ძიება მიღებულ უნდა იქნეს იმ შემთხვევაში, როდესაც მემკვიდრეობის  
გახსნის აღვილას არ იქნება ერთი ან რამდენიმე მემკვიდრე ან, როდე-  
საც მემკვიდრენი არ ჩაიბარებენ სამკვიდრო ქონების მართვა-გამგებ-  
ლობას.

**შენიშვნა 1.** უარი დამკვიდრებაზე უნდა განცხადებულ იქნეს  
სათანადო სასამართლოსაღმი სამი თვეის განმავლობაში შემკვიდ-  
რეობის გახსნიდან. იმისი წილი, ვინც კანონით დამკვიდრებაზე  
უარს განაცხადებს, გადადის სხვა მემკვიდრეებზე 1 და 3 მუხლში  
აღნიშნული წესითა და ფარგალში.

**შენიშვნა 2.** თანამყოფ მემკვიდრეს შეუძლიან არ დაუცა-  
დოს სხვა მემკვიდრის გამოცხადებას და ჩაიბაროს სამკვიდრო ქო-  
ნების გამგებლობა; სხვაგან მყოფ მემკვიდრეს თავის დროზე გამო-  
ცხადებისას შეუძლიან მოიგაზოვოს სამკვიდრო ქონებიდან თავი-  
სივე წილი.

14. მემკვიდრეს, რომელიც არ იქნება მემკვიდრეობის გახსნის აღ-  
გილას, შეუძლიან ჩაიბაროს სამკვიდრო ქონება პირადად ან რწმუნე-  
ბულის მემკვეობით ექვსი თვის განმავლობაში მემკვიდრეობის გახსნის  
დღიდან ან, თუ დასაცავი ღონისძიება იქნა მიღებული, ამ ღონისძიე-  
ბის მიღების დღიდან.

**შენიშვნა.** იმ მემკვიდრის წილი, რომელიც მემკვიდრეობის  
გახსნის დროს ჯერ დაბადებული არ იქნება, დაცულ უნდა იქნეს  
და შეიძლება მისი კანონიერი წარმომადგენელის მიერ მოთხოვ-  
ნილ იქნეს სამი თვის განმავლობაში მემკვიდრის დაბადებიდან.

15. მემკვიდრეობის გამოწვევება პუბლიკურით ან სხვა საშეალებით  
არ უნდა მოხდეს, მაგრამ იმ ადგილის სახალხო სასამართლოში, სადაც  
მემკვიდრეობა გაიხსნება, როდესაც იგი ცნობას მიიღებს სამკვიდროს  
დამტოვებელის გარდაცვალების შესახებ, უკეთუ იქნება 13 მუხლას და  
14 მუხლის შენიშვნაში აღნიშნული პირობები, უნდა მიიღოს სამკვიდ-  
როს დასაცავი ღონისძიება. სამკვიდროს დაცვა გრძელდება მემკვიდრე-  
ობის გახსნის დღიდან არა უმეტეს ექვსი თვისა.

**შენიშვნა 1.** სამოქალაქო მდგომარეობის აქტების ჩამწერი  
განყოფილება იმ ადგილისა, სადაც სამკვიდროს დამტოვებელი  
უკანასკნელ ხანს ცხოვრობდა, მისი სიკვდილის ამბის გაგებისთა-  
ნავე, მოვალეა დაუყოვნებლივ აცნობოს ეს სათანადო სახალხო  
მოსამართლეს.

**შენიშვნა 2.** მემკვიდრეობის გახსნის ადგილად ჩაითვლება  
სამკვიდროს დამტოვებელის უკანასკნელი საცხოველებელი ადგილი,  
ე. ი. ის ადგილი, სადაც იგი სიკვდილის წინ მუდმივად ან უპი-  
რატებად ბინადრობდა თავისი სამსახურისა და მუდმივი მოსამე-  
ობის გამო, ან იმის გამო რომ იქ მისი ქონება იყო.

16. უკეთუ თანამყოფი მემკვიდრენი მომქმედი საწარმოსი (სავაჭრო ან  
სამრეწველო საწარმო, სახელოსნო და სხვ.), ადგილობრივ არ იქნებიან,  
სახალხო მოსამართლემ უნდა დანიშნოს განსაკუთრებული პასუხისმგე-  
ბელი მზრუნველი; მზრუნველი უნდა წარადგინოს ისეთმა სახელმწიფო  
ორგანომ, რომლის გამებლობაშიაც არის ამგვარივე საწარმო ან და-  
წესებულება.

17. უკეთუ მემკვიდრენი არ გამოცხელდებან ექვსი თვის განმავ-  
ლობაში მას შემდეგ, რაც სამკვიდრო ქონების დასაცავი ღონისძიება  
იქნა მიღებული, აგრეთვე უკეთუ მემკვიდრენი უარს იტყვიან დამკვი-  
დრებაზე (8 მუხლში გათვალისწინებული შემთხვევების გარდა), ქონება  
ბეითალმანად ჩაითვლება და სათანადო სახელმწიფო ორგანოს განკარ-  
გულებაში გადავა.

18. მექვიდრე, რომელიც სამკვიდროს ჩაიბარებს, და აგრეთვე სახელმწიფო, რომლის ხელშიაც ბეითალმანი გადაეა, პასუხს აგებენ სამკვიდროს ვალებისათვის, სამკვიდროს ქონების მხოლოდ ნამდვილ ღირებულების ფარგლებში.

**შენიშვნა.** სამკვიდროს დამტოვებელის კრედიტორი მოვალეა, რათა არ დაპერგოს მოთხოვნის უფლება, განაცხადოს თავისი პრეტენზია ექვსი თვის განმავლობაში მექვიდრეობის გახსნის დღიდან ან სამკვიდრო ქონების დასიცავი ლონისძიების მიღების დღიდან.

19. იმას, ვინც კანონით ან ანდერძით სამექვიდრეოდ იქნება გამოწვეული, შეუძლიან იღილობრივ სახილხო მოსამართლისგან მიიღოს მექვიდრეობის უფლების დამადასტურებელი მოწმობა.

20. ამა დეკრეტის წესები უნდა შეფარდებულ იქნეს სამკიდრო ქონებისათვის, რომელიც ამა დეკრეტის გამოცემამდე მექვიდრეებს თავისთვის ფაქტიურად არ ჩატარებათ, ან რომლის გამოც არა ყოფილა დადგენილება მექვიდრეობის უფლების დამტკიცების შესახებ.

**შენიშვნა.** იმ სამკვიდროს, რომელსაც შეაღებს მსხვილი მრეწველობის საწარმო, და რომელიც ჩაბარებულ იქნა საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების დღიდან (1921 წ. თებერვლის 25-დან) ამა დეკრეტის გამოცემის დღემდე, უნდა შეფარდოს ამა დეკრეტის წესი (1 და 3 მუხ.).

სრულიად საქ. საბჭ. ცენტრ. ოღმ. კომიტეტის თავმჯდ. მ. ცხაკაია.

სრულიად საქართ. ოღმ. კომიტეტი. მდივანი პ. საბაშვილი.

1923 წ. პრილის 18.

ტფილისი—სასახლე.

გამოქვეყნებულია ვაზ. „კომუნისტის“ №-87 №-ში 1923 წ. პრილის 19.

## 17.

### დ ე კ რ ე ტ ი

სავალდებულო დადგენილებათა გამოცემის წესისა და მათი დარღვევისათვის აღმინისტრატიული წესით დასჯის დებულების ძალაში შესვლის შესახებ.

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი აღენს:

1. ძალაში შესულად ჩაითვალოს გამოქვეყნების დღიდან, ამასთანავე დართული დებულება სავალდებულო დადგენილებათა გამოცემის

წესისა და ამ დადგენილებათა დარღვევისათვის აღმინისტრატიული წესით დასჯის შესახებ.

2. გაუქმებულ იქნეს საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოს მიერ 1922 წ. მაისის 2-ს თარიღით და 16 ქვე-ით და ივნისის 28-ს თარიღით და 30 ნოემბრით გამოცემული დადგენილებაზი.

სრულიად საქ. საბჭ. ცენტრ. აღმ. კომიტეტის  
თავმჯდომარე მ. ცხაკარ.

სრულიად საქართ. საბჭოთა ცენტრ.  
აღმასრ. კომიტეტის მდივანი პ. საბაშვილი.

1923 წ. მაისის 4.

ტფილისი — სასახლე.

## დ ე გ უ ლ ე გ ა

სავალდებულო დადგენილებათა გამოცემის წესისა და მათი დარღვევისათვის აღმინისტრატიული წესით დასჯის შესახებ.

1. მაზრისა და ქალაქის აღმასრულებელ კომიტეტს და მის პრეზიდიუმს უფლება აქვს, მისთვის მინისტრული კომპენტენტულის ფარგლებში, გამოსცეს თავისი რაიონის მცხოვრებთათვის სავალდებულო დადგენილებანი მართველობისათვის და წესირების დაცვისათვის, აგრეთვე იმ მოქმედი დეკრეტებისა და დებულებათა განვითარებისათვის, რომელიც შეეხება საზოგადოებრივ უშიშროებას და წესირებას, ხალხის ჯანმრთელობას, ვაჭრობის მოწესრიგებას, გადასახადთა აკრეფას, სტიკიურ უბედურებასთან ბრძოლას, სამშენებლო წესდებას და სხვ., ამასთანავე სავალდებულო დადგენილებაში აღნიშნულ უნდა იქნეს სასჯელი, რომელიც აღმინისტრატიული წესით დაიდება ამ დადგენილების აუსრულებლობისათვის.

2. სავალდებულო დადგენილება შეიძლება გამოცემულ იქნეს ერთ წლისაზე არა უმცირესი ვაღით.

3. სავალდებულო დადგენილებას ხელი უნდა მოაწეროს აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარებ ან მისი მოადგილემ და დამოწმოს მდივანში; სავალდებულო დადგენილება უნდა გამოქვეყნებულ იქნეს საყოველოა ცნობისათვის.

4. აღმასრულებელი კომიტეტის განყოფილებას და სხვა ადგილობრივ დაწესებულებას უფლება არა აქვს დამოუკიდებლად გამოსცეს სავალდებულო დადგენილება, მაგრამ თავისი მოსაზრება სავალდებუ-

лоп დადგენილების გამოკვების შესახებ უნდა წარუდგინოს სათანადო მაზრის ან ქალაქის ომასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმს; ამსთანავე პროექტი პრეზიდიუმს უნდა წარედგინოს მართველობის სათანადო განყოფილებასთან წინასწარი შეთანხმებით.

5. ყველა გამოცემული სავალდებულო დადგენილება მართველობის სათანადო განყოფილებამ უნდა წარუდგინოს შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიანულს.

6. მაზრისა და ქალაქის ომასრულებელი კომიტეტის სავალდებულო დადგენილება შეიძლება გაუქმდებულ იქნეს მხოლოდ სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმის მიერ.

7. სავალდებულო დადგენილების დარღვევისათვის აღმინისტრატიული წესით დამნაშავეს შეიძლება დაელოს:

- ჯარიმი ფულად არა უქმეტეს 100 მანეთისა ოქროთი;
- იძულებითი მუშაობა თაგისუფლების აღუკვეთლად ორ თვემდე;
- დატუსალება ორ თვემდე.

8. უკეთუ სავალდებულო დადგენილება დაპროცესულ იქნა, უნდა შედგეს ოქმი, რომელსაც ხელს მოაწერენ ოქმის შესაღენად უფლებამოსილი თანამდებობის პირი, აგრეთვე სავალდებულო დადგენილების დამრღვევი და მოწმები. უკეთუ დამრღვევი უარს იტყვის ხელის მოწერაზე, ეს გარემოება ოქმში უნდა აღინიშნოს და თანაც ნაჩვენები იქნეს უარის მოტივი.

9. ოქმი დაუყონებლივ უნდა წარედგინოს სათანადო ქალაქის ან გაზრის მმართველობის განყოფილებას, სადაც გამოიტანილ უნდა იქნეს დადგენილება სავალდებულო დადგენილების დამრღვევის აღმინისტრატიული წესით დასჯის შესახებ; დადგენილება ძალაში შედის მმართველობის განყოფილების გამგის მიერ დამტკიცების შემდეგ.

**შენიშვნა.** უკეთუ ოქმიდან სჩანს, რომ სავალდებულო დადგენილების დამრღვევს პპრალდება ისეთი ქმედობა, რომელიც სასამართლოს წესით უნდა იქნეს დევნილი, საქმე გადაეცემა სათანადო პროკურორის ან მის თანაშემწეს შემდგომი წარმართვისათვის.

10. აღმინისტრატიული წესით სასჯელის დადგების დროს დაცულ უნდა იქნეს შემდეგი:

- დადგენილებაში ნათლად უნდა იქნეს აღნიშნული დამრღვევის ვინაობა, მის მიერ ჩატვირთვის დრღვევა და აგრეთვე სასჯელის ოდენობა;
- დარღვევა, რომელიც დამრღვევს პპრალდება სისწორით უნდა შეეფერებოდეს იმ ქმედობას, რაც უწყებულ სავალდებულო დადგენილებაშია აღნიშნული;

გ) აღმინისტრატიული წესით სასჯელი შეიძლება დაედოს დამნაშავეს ორი თვის განმავლობაში დღიდან დანარღვევის გამოაშკარავებისა;

დ) უკეთუ აღმინისტრატიული წესით სასჯელის დადებამდე სავალ-დებულო დადგენილების აღნაშული დარღვევის საქმეს სასამართლო მიიღებს განსახილველად, დამრღვევი არ შეიძლება იმავე ქმედობისათვის აღმინისტრატიული წესითაც დაისჯოს.

11. დადგენილება, რომლითაც სასჯელია დადებული, წერილობითი უნდა იყოს და გამოცხადოს იმ პირს, ვისაც ეს სასჯელი უნდა გადახდეს.

12. აღმინისტრატიული წესით დასჯილს, უკეთუ იგი უქმაყოფილო იქნება, შეუძლიან სხთხოვოს სათანადო აღმასრულებელ კომიტეტს მის წინააღმდეგ გამოტანილი დადგენილების გადასინჯვა, ან ეს დადგენილება განასახიეროს შინაგან საქმეთა სახლოხო კომისარიატში შვიდი დღის განმავლობაში დღიდან დადგენილების გამოტანისა; საჩივრის შეტანა არ შეაჩერებს დადგენილების სისრულეში მოყვანას.

13. აღმინისტრატიული წესით აშკარად უკანონო დადება სასჯელისა გამოიწვევს არა მხოლოდ დადგენილების გაუქმებას, არამედ იმ თანამდებობის პირის პასუხისმგებლობასაც სასამართლოს წესით, რომელმაც სასჯელი დაადო.

14. უკეთუ სავალდებულო დადგენილებას დაარღვევს სამსედრო სამსახურში მყოფ პირი, მასზე დადებული სასჯელი სისრულეში მოყვანილ უნდა იქნეს სათანადო სამხედრო უფროსის მეშვეობით, რომელსაც უნდა გაეგზავნოს დადგენილება სასჯელის დადების შესახებ.

15. დებულება ეს არ გავრცელდება იმ ოფიციალურ სადაც სამედრო წესები იქნება შემოლებული.

სრულიად საქართვ. საბჭ. ცენტრ. აღმ.  
კომიტეტის თავმჯდ. მ. ცხაკაია.

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრ.  
აღმასრ. კომიტეტის მდივანი პ. საბაშვილი.

1923 წ. მაისის 4.

ტფილისი — სასახლე.

გამოქვეყნებულია გამ. „კომუნისტის“ №-102 №-ში 1923 წ. მაისის 8.

18.

## დ ა დ გ ე ნ ი ლ ე გ ა № 39

სრულიად საქ. საბჭ. ცენტრ. აღმ. კომიტ. პრეზიდიუმისა და საქართვ. ხოც. სოც. საბჭ. რესპ. სახ. კომისართა საბჭოსი.

ადგილობრივი აღმასრულებელი კომიტეტების სასარგებლოდ სახელმწიფო გადასახადებზე პროცენტულ ჰედნართის შემოლების წესის შესახებ.

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმი და საქართველოს სოც. საბ. რესპ. სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

1. განხილვა და დამტკიცება ადგილობრივ ორგანოთა შეუძლებლობისა, რომ მათ სასარგებლოდ დაწესებულ იქნეს პროცენტული ზედნართი ამიერკავკასიის საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და ამიერკავკასიის სახალხო კომისართა საბჭოს მიერ 1923 წლის პარილის 2 თარილით გამოცემული დეკრეტის მე-II განყოფილების მე-III თავის მე-3 მუხლით გათვალისწინებულ სახელმწიფო გადასახადებზე,—მიენდოს ამიერკავკასიის ფინანსთა სახალხო კომისრის რწმუნებულს საქართველოში.

2. მიმდინარე წლისათვის, თვინიერ ადგილობრივ ორგანოთა განსაკუთრებულ შეუძლებლობისა, დაწესებულ იქნეს მთლად საქართველოში შემდეგი პროცენტული ზედნართი:

- სახელმწიფო სატერიტო გადასახადზე—როგორც ძირითად სასარეწაო მოწმობისა, ისე ფუფუნების საგნების წარმოებისა და ვაჭრობისათვის არსებული დანამატი სასარეწაო მოწმობის ფასის—ასი პროცენტი ( $100\%$ ) და იგრეთვე ოცდახუთი პროცენტი ( $25\%$ ) დამატებითი გადასახადის შენაწერისა.
- სამეცნიერო და თამაჯოს ნაკეთობის გაყიდვისათვის არსებულ პატენტის ფასზე—ასი პროცენტი პატენტის სახელმწიფო ფასისა.
- სასამართლოს ბაზზე—ასი პროცენტი.
- სანოტარიონ ორგანოების მიერ გარიგებისა, ხელშეკრულებისა და სხვ. იქტების შედეგისა და შემოწებისათვის არსებულ სახელმწიფო სასყიდელზე—ამა სასყიდლის ასი პროცენტი.

სრულიად საქ. საბჭ. ცენტრ. აღმ. კომ. თავმჯდომარე მ. ცხაკაია.

საქ. სოც. საბჭ. რესპ. სახ. კომ. საბჭოს თავმჯ. მოად. ა. გეგევეკორი.

სრულიად საქართ. ცენტრ. აღმას. კომიტ. მდვიანი პ. საბაშვილი.

1923 წ. მაისის 8.

ტფილისი—სასახლე.

გამოქვეყნებულია გაზ. „კომუნისტის“ მე-104 №-ში 1923 წ. მაისის 10.

## 19.

# დადგენილება № 40

სრულიად საქ. საბჭ. ცენტრ. ოლმასრ. კომ. პრეზიდიუმისა.

1922 წლის შარაგზით ტვირთზიდვის ხარკის მოუხდელობისათვის პასუხისმგებლობისაგან განთავისუფლების შესახებ.

რადგანაც შარაგზით ტვირთზიდვის გადასახადის ნატურით შესრულება 1923 წლიდან შეცვლილ იქნა ფულადი გადასახადით (საქართველოს სოც. საბჭ. რესპ. სახალხო კომისართა საბჭოს დადგებილება 1923 წ. მარტის 17 თარიღით და 89 ქ-ით), სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმი, — საქართველოს სახალხო კომისართა საბჭოს მიერ 1922 წლის დეკემბრის 23 თარიღითა და 63 ქ-ით გამოცემული დადგებილების შესაცვლელად, — ადგენს:

1. განთავისუფლებულ იქნეს სოფლის მოსახლეობა 1922 წელს მოუხდელი შარაგზით ტვირთზიდვის ხარკის სანაცვლო ფულადი გადასახლისაგან.

2. მოსპობილ იქნეს ყველა, — საგამომჩებლო ორგანოსა და სასამართლო და საადმინისტრაციო დაწესებულებებაში წარმოებული საქმე შარაგზით ტვირთზიდვის გადასახადის შეუსრულებლობის შესახებ.

3. სასამართლო დაწესებულების ყველა განაჩენი და საადმინისტრაციო ორგანოს ყველა დადგებილება, რომელიც ჯერ წარმართული არ არის აღსასრულებლად, არ უნდა იქნეს აღსრულებაში მოყვანილი.

4. განთავისუფლებულ იქნენ დანარჩენი სსჯელის მოხდისაგან შარაგზით ტვირთზიდვის გადასახადის შეუსრულებლობისათვის თავისუფლების აღვეთით ან იძულებითი მუშობით დასჯილი პირნი; აგრეთვე განთავისუფლებულ იქნენ ფულადი გადასახდისაგანაც.

5. ამ დადგენილების მოქმედება არა ვრცელდება იმ ქონებრივ გადასახდელზე, რაც უკვე აღსრულებაში მოყვანილია ამა დადგენილების გამოქვეყნების დღემდე.

6. ამ დადგენილების შეფარდება იმ პირთა შესახებ, რომელიც უკვე იხდიან სსჯელს, დაეკისროს იმ სასამართლო ან სხვა დაწესებულებას, რომლის განაჩენითაც თუ დადგენილებით ზემოხსენებული პირნი სსჯელს იხდიან.

7. დადგენილება ესე ძალაში შედის დღიდან მისი გამოქვეყნებისა.

სრულიად საქ. საბჭ. ცენტრ. ოლმას. კომიტ. თავმჯდომარე მ. ცხაკათა.

სრულიად საქართ. ცენტრ. ოლმას. კომიტ. მდინარი პ. საბაშვილი.

1923 წ. მაისის 17.

ტფილისი — სასახლე.

გამოქვეყნებულია გაზ. „კომუნისტის“ მე-119 ქ-ში 1923 წ. მაისის 27.

## 20.

### დ ე პ რ ე ც ი

სრულიად საქ. საბჭ. ცენტ. აღმასრ. კომიტეტისა და საქართ სოც. საბჭ. რესპ. საბ. კომ. ხაბჭოსი.

1921—1922 წ. სასურსათო გადასახადის ნარჩენის გადახდევინების მოსპობის შესახებ.

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და საქართველოს სოც. საბჭ. რესპ. სახალხო კომისართა საბჭო აღგენებ:

1. მოსპობილ იქნეს სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და საქართველოს სოც. საბჭ. რესპ. სახალხო კომისართა საბჭოს მიერ 1922 წლის ივნისის 20-ს თარიღითა და მე-7 №-ით გამოცემული დეკრეტით გონისაზღვრული გადახდევინება 1921—1922 წლ. სასურსათო გადასახადის ნარჩენისა.

2. დადგენილება ესე ძალაში შედის დღიდან მისი გამოქვეყნებისა.

სრულიად საქ. საბჭ. ცენტრ. აღმ. კომ.  
თავმჯდომარე მ. ცხაკაიძ.

საქ. სოც. საბჭ. რესპ. საბ. კომ.  
საბჭ. თავმჯ. მოადგ. ხ. გეგეჭიორი.

სრულიად საქართ. ცენტრ. აღმ. კომ.  
მღივანი პ. საბაშვილი.

1923 წ. მაისის 23.

ტფილისი—სასახლე.

გამოქვეყნებულია გაზ. „კომუნისტის“ №-116 №-ში 1923 წ. მაისის 24.

## 21.

### დადგენილება № 41

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმში დეკრეტებისა და დადგენილებების პროექტების განხილვის წესის შესახებ.

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი აღგნებ:

1. სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტში დეკრეტების და დადგენილებების პროექტები განხილულ უნდა იქნეს ათი დღის შემდეგ დღიდან ხსნებული პროექტების

ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის სეკრეტარიატში შეტანისა, ხოლო განსაკუთრებულ შემთხვევაში — ამა კომიტეტის პრეზიდიუმის მორიგ სხდომამდე სამი დღით აღრე (საშაპათობით).

**შენ შენ.** კომიტეტში დეკრეტების და დადგენილებების პროექტების ვანხილვის დროს სათანადო სახალხო კომისარის ან მისი მიადგილის დასწრება სავალდებულოა.

2. დეკრეტებისა და დადგენილებების ცველა პროექტი, სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის სეკრეტარიატში წარმოდგენილი ორ ენაზე (ქართულსა და რუსულზე), განმარტებითი ბარათით და ცველა მასალით, რაც მას შეეხება, წინასწარ განხილულ უნდა იქნეს იუსტიციის სახალხო კომისარიატის საკანონმდებლო განყოფილებაში, 4—6 დღის განმავლობაში (იმისდა მიხედვით, თუ რამდენად შეიშვნელოვანია პროექტი) დღიდან პროექტის საკანონმდებლო განყოფილებაში შეტანისა.

3. იუსტიციის სახალხო კომისარიატის საკანონმდებლო განყოფილების მიერ განხილული პროექტი დეკრეტისა და დადგენილებისა უკანვე უნდა გაეგზავნოს სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის სეკრეტარიატს 11 ცილიდ ორ ენაზე, ქართულსა და რუსულზე. კომიტეტის სეკრეტარიატმა პრეზიდიუმის მორიგ სხდომამდე სამი დღით აღრე პრეზიდიუმის შევრებს უნდა გაუგზავნოს დეკრეტისა ან დადგენილების პროექტის თითო ცალი.

4. რათა თვითული საკანონმდებლო აქტი შეთანახმებულ იქნეს მთლიად საბჭოთა საქართველოს კანონმდებლობასთან და ამასთანავე დამყრდეს თანაბარი წესი ამა აქტების ტენიკური შემუშავებისათვის, — ამა დადგენილების 1—3 მუხ. აღნიშნული წესი დეკრეტებისა და დადგენილებების განხილვისა გავრცელდება აგრეთვე საქართველოს სახალხო კომისართა საბჭოზედაც.

5. როგორც სახალხო კომისართა საბჭოს, აგრეთვე ცალკე სახალხო კომისარიატთა სადეკრეტო ხასიათის განკარგულებათა ასლი უნდა გაეგზავნოს იუსტიციის სახალხო კომისარიატის საკანონმდებლო განყოფილებას გამოქვეყნებამდე სამი დღით აღრე.

6. უკეთუ სახალხო კომისარიატების მიერ გამოცემული განკარგულება ეწინააღმდეგება კანონთა არსებულ კოდექსებს ან უკვე გამომცემულ დეკრეტებს, საკანონმდებლო განყოფილებამ, იუსტიციი, სახალხო კომისარის მეშვეობით, უნდა სთხოვოს სათანადო სახალხო კომისარიატს, ვისგანაც ამგვარი განკარგულება მიღებული, შეაჩეროს იგი, ხოლო უკეთუ ეს აუკანასკნელი შეწირებაზე უარს განაცხალებს, იუსტიციის სახალხო კომისარი აღძრივს შუამდგომლობას საქართველოს ცენტრალუ-

რი აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმის წინაშე, რათა მან შეაჩეროს განკარგულების მოქმედება.

7. ყოველი საკანონმდებარებული აქტი ძალაში შედის დღიდან შისი გამოქვეყნებისა ვაშ. „კომუნისტში“, უკეთუ თვით აქტის ტექსტშივე აღნიშნული არ არის ვალა მისი ძალაში შესვლისა და გამოქვეყნების წესი.

სრულიად საქართ. საბჭ. ცენტრ. აღმ. კომ.  
თავმჯდომარე მ. ცხაკაია.

სრულიად საქართ. ცენტრ. აღმას. კომიტ. მდივანი პ. საბაშვილი.

1923 წ. მაისის 26.

ტფილისი — სასახლე.

გამოქვეყნებულია გაზ. „კომუნისტის“ მე-121 №-ში 1923 წ. მაისის 30.

## 22.

### დ ა დ გ ე ნ ი ლ ე გ ა № 42

საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკაში ფიზიკური განვითარების  
საქმის მოწყობის შესახებ.

მუშათა და გლეხთა მოზარდი თაობის ფიზიკური განვითარების  
საქმის წესიერად დაყენებასათვის და ამ დაზღვი როგორც სახელმწიფო ო-  
ბრივი, ისე საზოგადოებრივი ორგანიზაციებისა, ფაბრიკებისა, ქარხნებისა,  
პროფესიონალური კავშირებისა, წითელი არმიის ერთეულებისა და  
კომუნისტური ახალგაზრდობის კავშირის ძალთა გაერთიანებისათვის,  
სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კო-  
მიტეტი აღვენს:

1. დაარსებულ იქნეს სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრა-  
ლურ აღმასრულებელ კომიტეტთან ფიზიკური კულტურის საბჭო,  
რომელიც იმოქმედებს ამასთანავე დართული დებულების თანახმად.

შენიშვნა. ფიზიკური კულტურის საბჭო პასუხისმგებელია  
სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის  
პრეზიდიუმის წინაშე.

2. ფიზიკური კულტურის საბჭო შესდგება კომუნისტური ახალ-  
გაზრდობის კავშირის ცენტრალური კომიტეტისა, საქართველოს პრო-  
ფესიონალური კავშირის საბჭოს (მდივანი), განათლების სახალხო კო-  
მისარიატისა (სახალხო კომისარი), ჯანმრთელობის სახალხო კომისა-

ჩიატისა (სახალხო კომისარი), სამხედრო უწყებისა (ქართული დივიზიის პოლიტიკური განყოფილება), „სპარტაკის“ წარმომადგენელთაგან — გადამწყვეტი ხმის უფლებით, და მეცნიერი-სპეციალისტებისა და სპორტ-სმენებისაგან — სათათბირო ხმის უფლებით.

3. ფიზიკური განვითარების მთელი საქმე საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკაში სამხედრო საქმის სავალდებულო სწავლების ორგანიზაციიდან გადაეცეს სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტთან არსებულ ფიზიკურ კულტურის საბჭოს; მასევ გადაეცეს სასპორტო კლუბები, მოედნები და მთელი სასპორტო ქონება, რაც კი რომ საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკაში სამხედრო სავალდებულო სწავლების ორგანიზაციის კეთვენის.

4. სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალურ აღმასრულ ფეხბურთის არსებულ ფიზიკური კულტურის საბჭოს სახელის შეადგენს: 1) ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის სუბსიდიები, 2) ის თანხები, რასაც გადასცებენ ამა დებულების შეორე მუხლში იღნიშვნული სახელმწიფო დაწესებულებები და ორგანიზაციები აღრიცხვის წესით და 3) აღვილებიდან მიღებული ანარიცხი კუთვნილებისამცერ.

5. დადგენილება ესე ძალაში შედის დღიდან მისი გამოქვეყნებისა.

სრულიად საქ. საბჭ. ცენტრ. აღმ. კომ. თავმჯდომარე მ. ცხაკაია.

სრულიად საქ. საბჭ. ცენტრ. აღმ. კომ. მდივანი პ. საბაშვილი.

1923 წ. ივნისის 23.

ტფილისი — სასახლე.

## დ ე გ ე ლ ე გ ბ

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტთან არსებულ ფიზიკური კულტურის საბჭოს.

1. ფიზიკური კულტურის საბჭო არის მთავარი ხელმძღვანელი სახელმწიფო თარგანო, რომელიც ფიზიკური განვითარების საქმეში იერთობის და ათანაბებს საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის ყველა უწყებისა და ორგანიზაციის მოქმედებას.

2. საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკაში ფიზიკური კულტურის ყველა აღგილობრივი ორგანიზაცია, — მეცნიერებისა, მეთოდებისა და ორგანიზაციის მხრით, — ექვემდებარება სრულიად საქართველოს ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტთან არსებულ ფიზიკური კულტურის საბჭოს. საბჭო დამტკიცებს ფიზიკური კულტურის ყველა ორ-

განიზაციას, რაც კი ოდგილობრივად იქნება დაწესებული და მასვე უფლება აქვს დაშალოს ეს ორგანიზაცია, უკეთუ მისი მოქმედება არ ჟეფერება პროლეტარიატის ფიზიკური კულტურის მიზანსა და საკინა.

3. ფიზიკური კულტურის საბჭოს აქვს თავისი ბეჭედი, რომელზე დაც გამოხატულია საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის ღერბი. საქმის წარმოებისათვის საბჭოს საკუთარი ტეხნიკური პარატი არა ჰყავს და კომიუნისტის სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პარატი.

4. ფიზიკური კულტურის საბჭოს უფლება აქვს გამოსცეს თავისი ხელმძღვანელი ორგანო „ფიზიკური კულტურის საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკუში“.

5. ფიზიკური კულტურის საბჭოს უფლება აქვს, —პროფესიონალური განათლების მთავარი სამმართველოს წარმომადგენელთან შეთანხმებით და მისივე დამტკიცებით, —დააარსოს ფიზიკური კულტურის მოსამზადებელი და უმაღლესი სასწავლებლები.

**შენიშვნა.** სათანადო სასწავლებლების ორგანიზაცია მოხდება მიერკავკასიის ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტთან არსებულ ფიზიკური კულტურის უმაღლეს საბჭოს წინასწარი თანხმობით და დამტკიცებით.

6. ფიზიკური კულტურის საბჭოს ექვემდებარება: а) ფიზიკური კულტურის მეთოდების შეცნიერული შემუშავება, ფიზიკური განვითარების შეცნიერული კონტროლი და ამა თუ იმ ორგანიზაციაში საქმის დაყრდნება (შემუშავება ყოველგვარი პროგრამისა, სასწავლო გეგმის პროექტებისა, ნახატებისა და სხვ.); б) სოორგანიზაციონ მუშაობა: სასპორტო ორგანიზაციათ დებულებებისა და წესდებების დამტკიცება, ოლიმპიადების ორგანიზაცია, სტადიონების მოწყობა, ფიზიკური განვითარების ინსტრუქტორთა მოსამზადებლივ სკოლების დაარსება.

7. საბჭო შეინიშვავებს სახელმძღვანელო ღონისძიებათ, რაც მიმართული უნდა იქნეს ფიზიკური კულტურის ადგილობრივად დანერგიისა, ფიზიკური კულტურის პროლეტარული უჯრედების ორგანიზაციისა და აგრეთვე ფულის და ნივთიერი სახსრის გამოძებნისათვის.

8. ყველა პროექტი და ონისძიება, რაც წარმოიშობა ფიზიკური კულტურის ადგილობრივ ორგანიზაციაში, დამტკიცებულ უნდა იქნეს ფიზიკური კულტურის საბჭოს მიერ.

9. ფიზიკური კულტურის საბჭოში გადამზუვეტი ხმის უფლებით შედიან წარმომადგენელნი კომუნისტური ახალგაზრდობის კავშირის ცენტრალური კომიტეტისა, საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისა, საქართველოს პროფესიონალური კავშირის საბჭოსი (მდივანი), განათლების სახალხო კომისარიატისა (სახალხო

კომისარი), ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატისა (სახალხო კომისარი), სამხედრო უწყებისა (ქართული დივიზიის პოლიტიკური განყოფილება), „სპარტაკისა“ და სათათბირო ხმით—მეცნიერი-სპეციალისტები და სპორტსმენები.

10. ფიზიკური კულტურის საბჭოს საზოგადი სლგას პრეზიდიუმი, რომელსაც პლენური ინტენსიური სუთი კაცისაგან—თავმჯდომარისა და 4 წევრისაგან; შემ დაამტკიცებს სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური ორგანიზაციების კომიტეტის პრეზიდიუმი.

11. ფიზიკური კულტურის საბჭოს სახსარი შესდგება სახელმწიფოს სუბსიდიისა, ფიზიკური განვითარების საქმეში დაინტერესებულ ცალკე უწყებითა მიერ აღრიცხვით გადადებული თანხმებისა და ადგილებიდან მიღებული ანარიცხიდან.

12. სამაზრო აღმასრულებელ კომიტეტთან (ტფილისში—ტფილისის აღმასრულებელ კომიტეტთან, ბათომსა და ფოთში—ქალაქის აღმასრულებელ კომიტეტთან) უნდა მოეწყოს ფიზიკური კულტურის აღვილობრივი საბჭოები, საღაც შევლენ ამა დებულების 9 მუხლში აღნიშნულ დაწესებულებათა და ორგანიზაციათა აღვილობრივ არსებული განყოფილებების წარმომადგენლინი.

**შენიშვნა.** ფიზიკური კულტურის აღვილობრივი საბჭო მოქმედობს, ამა დებულებისა და იმ ინსტრუქციების ძალით, რომაც მიღებს სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტთან ორსებულ ფიზიკური კულტურის საბჭოსაგან.

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტ. აღმასრ.

კომ. თავმჯდ. მ. ცხადაი.

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტ. აღმასრ.

კომ. მდგანი პ. საბაშვილი.

1923 წ. იქნისი 23.

ტფილისი—სახახლე.

გამოქვეყნებულია გაზ. „კომუნისტის“ №-146 და 1923 წ. იქნისი 28.

## 23.

### დ ე პ რ ე ტ ი

წითელარმიელთა და მათი ოჯახების უზრუნველყოფის შესახებ.

1922 წლის პრილის 25-ს თარიღითა და 3 ნოემბრით გამოცემული დეკრეტის შესაცვლელად და გასაუქმებლად სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი აღენს:

რათა წითელარმიელთა და წითელი არმიის მოსამახურეთა თავგანწირული და ნაყოფიერი მუშაობისათვის დამყარდეს საუკეთესო პირო-

ბები—შემოღებულ იქნეს წითელარმიელთა (წითელფლოტელთა) და ვა-  
თო ოჯახების სახელმწიფო ბრივი უზრუნველყოფა შემდეგ საფუძველზე:

1. უზრუნველყოფილ იქნეს ცველა, ვინც საქართველოს ხელი.  
საბჭ. ჩესპერბლიუს ტერიტორიაზე გაწვეულია წითელ არმიაში და ჩა-  
რიცხული საკომანდო და სააღმინისტროციო-სამეცნიერო შედეგნილო-  
ბაში, აგრეთვე ცველა სამხედრო მოსამსახურე, როგორც სავალდებულო  
სამხედრო ბეგარის მომზღველი, ისე მობილიზაციით გაწვეული და მო-  
ბილიზაციის დროსვე წითელ არმიაში მოხალისედ შესული და აგრეთვე  
მათი ოჯახების შრომის უნარმოკლებულნი წევრნი.

**შენიშვნა.** ამის ქვევით წითელი არმიისა და ფლოტის მთე-  
ლი შედგენილობა როგორც საკომანდო, ისე არა-საკომანდო  
წოდებულ იქნებინ წითელარმიელებად.

2. წითელ არმიაში მობილიზაციით გაწვევის ან მობილიზაციის  
დროსვე არმიაში მოხალისედ შესვლის დროს ცველა მუშა და მოსახ-  
სახურე, როგორც სახელმწიფო და კერძო დაწესებულებისა, ისე კერძო  
პირთან მომუშავე—მიიღებს მაშინვე სრულ ანგარიშს და გარდა ამისა  
ორი კვირის გასამრჯელოს.

3. არმიიდან დემობილიზაციის გამო დაბრუნებისას I-ლ მუხლში  
აღნიშნული პირი მიიღებს ხელახლად იმ თანამდებობას, რაც მას მო-  
ბილიზაციამდე ეჭირა, უკეთუ ეს თანამდებობა გაუქმებული არ არის.

4. წითელარმიელს, რომელიც არმიაში შესვლამდე სასოფლო მე-  
ურნეობას ეწეოდა, შეენახება მიწის სრული ნორმა, თანახმად მიწათ-  
მოწყობის დებულებისა.

5. წითელარმიელსა და მის ოჯახს, სასოფლო-სამეცნიერო გადასა-  
ხადის გასტუმრების გასაადვილებლად, მიეცეს შემდეგი შედაგათი:

ა) წითელარმიელი, რომელიც ნამდვილ სამსახურშია და აქვს სხვა-  
დასხვა სანახი ორ დესიატინამდე ან ორ დესიატინაზე შეტი სახნავზე  
ვადატანით—სრულიად განთავისუფლდება გადასახადისაგან პირველი  
ორი დესიატინისათვის.

ბ) „ა“ პუნქტში აღნიშნულ პირთა ოჯახი, უკეთუ მათ მეურნეო-  
ბაში არ არის შრომისუნარიანი წევრი, აგრეთვე სრულიად განთავისუ-  
ფლდება გადასახადისაგან პირველი ორი დესიატინისათვის, ხოლო და-  
ნარჩენი დესიატინისათვის გაიღებს გადასახადის ნახევარს.

გ) სამოქალაქო ომის ინვალიდთა ოჯახებს და ტუვეობაში მყოფ  
წითელარმიელთა ოჯახებს ერთანი სასოფლო-სამეცნიერო გადასახადი-  
სათვის მიეცემათ იგივე შედაგათი, რაც ნამდვილ სამსახურში მყოფ წი-  
თელარმიელის ოჯახს.

6. წითელარმიელი არ შეიძლება გამოსახლებულ იქნეს მის მიერ  
დაჭრილი ბინიდან, ვიღრე სათანადო სადგომი არ მიეცემა.

7. დეზერტის წითელარმიელს ან მტრის ბანაკში გადასულს და მის ოჯახს მოესპობა ამა დეკრეტით დაწესებული უფლება უზრუნველყოფისა.

8. წითელარმიელის ოჯახს, უკეთუ იგი ერთად-ერთი მჩჩენელია თავისი ოჯახისა, ეძღვევა ყოველთვიური დახმარება.

9. ამ დახმარების მიღების უფლება აქვს წითელარმიელის ოჯახის შრომის უნარმოკლებულ წევრს, რომელსაც ის ინახავდა სამხედრო სამსახურში შესვლამდე.

10. შრომის უნარმოკლებულად ჩაითვლება:

ა) წითელარმიელის ცოლი, რომელსაც ჰყავს ბავში ჰასაკით 8 წლამდე, ან რომელიც თითონ 45 წლისაზე უმცროსი არ არის;

ბ) შვილი 16 წლამდე.

გ) წითელარმიელის ძმა და და, უკეთუ ის 16 წლისაზე მეტია სა არ არის ან მთლად ობოლია ან და მისი მშობლები ცნობილ არიან შრომის უნარმოკლებულად;

დ) დედა 45 წლისაზე უფროსი;

ე) ვამა 55 წლისაზე უფროსი და ბებია და პაპა, უკეთუ მათ არა აქვთ პირადი შრომის საშოგარი 13 მუხლში აღნიშნულ რაოდენობაზე მეტი.

11. ოჯახის წევრად, რომელსაც დახმარების მიღების უფლება აქვს, ჩაითვლება აგრეთვე ქორწინების გარეშე შობილი და ნაშვილები.

12. წინა მუხლებში აღნიშნულ პირთ დახმარების მიღების უფლება აქვთ მიუხედავად მათი წლოვანებისა, უკეთუ მათი შემოწმებით არსებული წესისმებრ ცნობილ იქნება, რომ ისინი შრომის უნარმოკლებული არიან; ამასთანვე შრომის უნარმოკლებულად ჩაითვლება ის, ვისაც სამუდამოდ დაკარგული აქვს შრომის უნარიანობის არა ნაკლებ  $75\%$ -სა.

13. დახმარება ეძღვევთ შემდეგი რაოდენობით: ოჯახის ერთს შრომის უნარმოკლებულს წევრს—აღილობრივი მინიმალური სატარიფო განაკვეთის  $40\%$ , ორს— $70\%$ , სამს და მეტს—მთელი აღნიშნული განაკვეთის რაოდენობით.

14. წითელარმიელის ოჯახს დახმარების უფლება. (მუხლი 9) ეძღვევა იმ თვის პირველი რიცხვიდან, რომელიც მოსდევს ოჯახის უფროსის არმიაში შესვლის თვეს.

15. 8 მუხლში გათვალისწინებული დახმარების უფლება აქვს იმ წითელარმიელის ოჯახს, რომლის ჯამაგირიც არ აღემატება წითელარმიელთა სამსახურის აღგილას არსებულ მინიმალურ განაკვეთს.

16. საკომანდო და საადმინისტრაციო-სამეცნიერო შედგენილობის პირს, რომელიც ოჯახის წევრისათვის ულუფას ღებულობს,—ჩამოქრ-

თბევა ამა დეკრეტის 8 მუხლში გათვალისწინებული დახმარების უფლება.

17. დახმარების მიცემა დაევალება სოციალური უზრუნველყოფის სახალხო კომისარიატს, რომელიც ამა საჭიროებისათვის გამოითხოვს სათანადო კრედიტს დადგენილი წესით.

18. უკეთო საქართველო იქნება სამედიკო შემოწმება იმ პირისა, რომელი წითელარმიაში მიღებული პირის ჩენიაზე იმყოფებოდა, — ასეთი შემოწმება უნდა მოხდეს მაზრის სამხედრო კომისარიატთან.

19. სამხედრო ვალდებული და მობილიზაციით გაწვეული წითელარმიაში მჯამას, რომელიც სასოფლო მეურნეობას ეწევა, უულადი დახმარების გარდა უფლება ეძლევა — მისი მიწები შემუშავებულ იქნეს საზოგადოების საშუალებით და აგრეთვე ეძლევა უფლება უპირატესი დაქმაყოფილებისა საფარიკო-საქართველო მრჩეველობის პროდუქტებით, რაც სოფელს გადაეცემა ხოლმე.

20. წითელარმიაში სიკვდილისა ან დასახიჩრების შემთხვევაში მისი ოჯახი ან თითონ დასახიჩრებული უზრუნველყოფილ უნდა იქნეს იმ წესით, რომელიც დადგენილ იქნება სპეციალური დეკრეტით.

21. ამა დეკრეტის აღსრულება სასოფლო-სამეურნეო დახმარების სფეროში დაევალება მიწათმებელების სახალხო კომისარიატს.

22. დაევალოს სოციალური უზრუნველყოფის სახალხო კომისარიატს, შეიმუშაოს დახმარების გაცემის წესი.

23. ყველა პირს, ვისაც, 1922 წლის აპრილის 25-ს თარიღითა და 3 ნომრით გამოცემული დეკრეტის თანაბაზად, აქვს დახმარების მიღების უფლება, ეს დახმარება, რომელიც მას ამა დეკრეტის გამოქვეყნებამდე ერგება — მიეცემა 1922 წლის ოქტომბრის განაკვეთით.

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრ.

აღმასრ. კომ. ოფიციალ. მ. ცხაკარია.

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრ.

აღმასრ. კომ. მდივანი პ. საბაშვილი.

1923 წ. ივნისის 28.

ტურილისი — სასახლე.

გამოქვეყნებულია გაზ. „კომუნისტის“ №-149 №-ში 1923 წ. ოქტომბრის 1.

24.

## დადგენილება № 43

სრულიად საქ. საბჭ. ცენტ. ოფიციალულებელი კომიტეტისა და სა-  
ქართველოს სოც. საბჭ. რესპ. სახ. კომ. საბჭოს.

„შოგის“ სანატორიუმის და ქურთორის მთხუთად ეყველგან საქართველოში  
საფაქტო-სამრეწველო საწარმოთ მიერ ერთდღიური გატრიალის შეფერი შემთ-  
ხადის 10% ანარიცხის გადადების შესხებ.

რადგანაც საკურორტო ადგილს „შოგს“ (რაჭის მაზრაში) და მის  
სამკურნალო წყლებს განსაკუთრებული მიზნებისა და იქ სა-  
ნატორიუმისა და კურორტის მოწყობა აუცილებელ სტიკორების წარ-  
მოადგინს, — სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრუ-  
ლებელი კომიტეტი და საქართველოს სოც. საბჭ. რესპ. სახალხო კო-  
მისართა საბჭო, — სენატორიუმისა და კურორტის მოწყო-  
ბისათვის სათანადო სახსრის აღმოსაჩენად, — ადგენს:

1. დაევალოს საქართველოს სოც. საბჭ. რესპ. კუველა სახელმწიფო  
სამეცნიერო, საზოგადო და კერძო სავაჭრო დაწესებულებას, აგრეთვე  
იმ დაწესებულებას, რომელიც სხვა და სხვა სათამაშოებსა და სინა-  
ხობას ჰქონთავს, — გადასდომს სავაჭრო-სამრეწველო საწარმოთა ერთ-  
დღიური ვაჭრობის მთელი შემოსავლის 10%, ანარიცხი, — „შოგის“  
სანატორიუმისა და კურორტის მოწყობის საქმისათვის.

2. ამ დადგენილების პირველ მუხლში აღნიშნული ანარიცხი  
გადადებულ იქნება: ტფილისში — ამ 1923 წლ. ივნისის 21-ს, ბათუმ-  
ში — ივნისის 24, ხოლო კუველა დანარჩენ ადგილის — ივნისის 26-ს.

3. ანარიცხით გადადებულ თანხების „შეგროვება მოწყობა ტფი-  
ლისში და ბათუმში, „შოგის“ სანატორიუმისა და კურორტის მომწ-  
ყობი კომისიის მიერ ცალკე ჩტენებულ პირთა მეშვეობით, ხოლო  
დანარჩენ ქალაქებსა და ადგილობრივი აღმასრულებელი კომიტეტის მიერ — პარტიული კომიტეტისა და პროფესიონალური ბიუროს მდივ-  
ნების მეშვეობით. ანარიცხით შემოსავლი თანხები უნდა გადაეცეს  
„შოგის“ სანატორიუმისა და კურორტის მოწყობი კომისიის მიერ  
აწმენებულ პირს.

სრულიად საქ. საბჭ. ცენტ. ოღ. კომ. კომ.

თავმჯდომარე მ. ცხაკაია.

საქ. სოც. საბჭ. რესპ. სახ. კომ. საბჭოს

თავმჯდ. შ. ელიაშვილი.

სრულიად საქ. საბჭ. ცენტ. ოღ. კომ. კომ.

მდივანი პ. საბაშვილი.

1923 წ. ივნისის 29.

ტფილისი — სასახლე.

გამოქვეყნებულია გან. „კომუნისტის“ მგ-149 №-ში 1923 წ. ივნისის 1.

25.

## დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა № 44.

ფიზიკურ კულტურის საბჭოს დებულების მე-5 მუხლის შენიშვნის  
გაუქმების შესახებ.

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური ორგანიზაციული  
კომიტეტი აღგნენ:

1. საქართველოს სოც. საბჭ. ოქსპუბლიკაში ფიზიკური განვითა-  
რების საქმის მოწყობის შესახებ სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტ-  
რალური ორგანიზაციული კომიტეტის მიერ 1923 წ. ივნისის „23“  
თარიღით და 42-რით გამოცემულ დადგენილებასთან დართული ფი-  
ზიკური კულტურის საბჭოს დებულების მე-5 მუხლის შენიშვნა გაუქ-  
მებულ იქნეს.

2. დადგენილება ესე ძალაში შედის დღიდან მისი გამოქვეყნებისა.

სრულიად საქ. საბჭ. ცენტ. ორგანიზაციული კომიტეტის  
თავმჯდომარე მ. ცხაკია.

სრულიად საქ. საბჭ. ცენტ. ორგანიზაციული კომიტეტის  
მდივანი პ. საბაშვილი.

1923 წ. ივნისის 30.

ტფილისი—სასახლე.

გამოქვეყნებულია გაზ. „კომუნისტის“ მე-150 ჟ-ში 1923 წ. ივნისის 3.

---

## ସାହାରତପ୍ରେସ୍

କୋଡ଼ିବାଲ୍ଲିକ୍ ପ୍ରକାଶନ କେନ୍ଦ୍ର ରେସଟର୍ଡ୍ ଲିମିଟ୍ୟୁସନ୍

## ନାନାର୍ଥିତ ପତ୍ରମିଳିଷା ନାନାକର୍ତ୍ତା

ଅଧିକାରୀତିଥିରେ ଏକାଧିକାରୀତିଥିରେ ଏକା ଅଧିକାରୀତିଥିରେ.

1.

## დადგენილება № 67

წარმოებაში მოზარდთა სავალდებულო რიცხვის დაწესების  
შესახებ.

საქართველოს სოკ. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბ-  
ჭო აღენა:

1. რაღაცანაც შტატების შემცირების დროს სხვადასხვა წარმოება-  
ში ხდება მოზარდთა რიცხვის არა პროპრიონალური შემცირება, რაიც  
საფრთხეს წარმოაღების კვალიფიკაციური მუშა ძალის სწორი აღდგე-  
ნისათვის, ამიტომ ქვემოდ ჩამოთვლილ სამრეწველო დარგებისათვის  
სათანადო წარმოებაში ყველა მომუშავეთა რიცხვთან შეფარდებით,  
დაწესებულ იქნეს სავალდებულო პროცენტი, რომელზე ნაკლები არ  
შეიძლება იყოს ამ წარმოებაში რიცხვი 15—16 და 17 წლიან მოზარ-  
დებისა.

2. მრეწველობის დარგები, რომლისთვისაც წესდება მოზარდთა ეს  
სავალდებულო და მინმალური პროცენტი და ამ მინიმუმის რაოდენო-  
ბა ოვითეულ ცალკე დარგ ში წესდება შემდეგი ცხრილის მიხედვით:

მეტალურგია და მეტალის დამუშავება 8 პროც., ბაზის დამუშა-  
ვება—6 პროც., მატებულის—8 პროც., ბარეშუმის—5 პროც., ბოჭკის  
(ვილოვნო) შერეულ ნივთიერებათა დამუშავება—5 პროც., პოლიგრა-  
ფიული წარმოება—13 პროც., ხე-ტყის სახერხი წარმოება—5 პროც.,  
ფირფიცარის (ფანჯრნაია) წარმოება—6 პრ., ხის დამუშავების წარმოე-  
ბა—10 პრ., შუშის წარმოება—15 პრ., ცემენტისა და ცეცხლ-შეუ-  
პოვარი აგურის წარმოება—5 პროც., კირისა და ილიბასტრის წარმოე-  
ბა—4 პრ., მსხვილი ტუფეულობის ქარხანა—3 პროც., წვრილი ტყა-  
ვეულობის ქარხნები—5 პროც., სხარატო და უნაგირ-ფეხსაცემელების  
ქარხნები—20 პროც., ბეწვეულის (მეხვივია) მრეწველობა—5 პროც.,  
საკანდიტრო—10 პროც., წისქვილები—4 პროც., საკონსერვო (თუ-  
ნუქისა და კანსერვების განკოფილების და დამხმარე სამუშაოების თან-  
დართყით) წარმოება—5 პროც., ზეთის სახდელის (მცენარეულობის)  
წარმოება—5 პროც., თამბაქისა და გილზის წარმოება—7 პროც.,  
ძირითადი ქიმიური მრეწველობა—5 პროც., ნახშირისა—6 პროც.  
ტანისამოსისა და ტუალეტის—7 პროც., ჩიის წარმოება—5 პროც.

3. მეორე მუხლში აღნიშნული მოზარდთა რიცხვის განსაზღვრუ-  
ლი მინიმალური ნორმა სავალდებულოა ჩოგორუ სახელმწიფო, ისე  
კერძო წარმოებისათვის.

4. ყველა წარმოება, საღაც 15—16 და 17 წლიან მოზარდთა



რიცხვი მე-2 მუხლში აღნიშნულ პროცენტზე ნაკლებია, ვალდეაულია გააღიდოს მოზარდთა რიცხვი დაწესებულ ნორმამდე არა უგვიანეს 1923 წლ. თებერვლის 1-სა.

5. იმ წარმოებაში, სადაც მოზარდთა რიცხვი მე-2 მუხლში დაწესებულ ნორმას აღემატება, არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება მათი შემცირება.

**შენიშვნა.** უკეთე მოზარდა რიცხვის შემცირება აუცილებელ საჭიროებას წარმოადგენს, ასეთი შემცირება შეიძლება მოხდეს მსოფლიო შრომის სახალხო კომისარიატის, საქ. პროფესიული საბჭოს და საქ. ახალგაზრდა კომისარიატის კავშირის ორგანოების დასტუროთ.

6. შრომის სახალხო კომისარიატს — საქ. პროფესიული საბჭოსა, საქ. ახალგაზრდა კომისარიატთა კავშირისა და სათანადო სახალხო კომისარიატთან შესახებმიზის უფლება აქვს: ა) დაწესოს სავალდებულო პროცენტული მინიმუმი მეტენების იმ დარგებში, რომელიც ამა დადგენილებით გათვალისწინებული არ არის; ბ) წარუდგინოს ხოლმე სახალხო კომისართა საბჭოს განცხადება დაწესებული ნორმის შეცვლის შესახებ.

7. დაევალოს შრომის ინსპექტის განსაკუთრებული თვალ-ყური აღეცნის ამ დადგენილების აღსრულებას როგორც სახელმწიფო, ისე ქრძო წარმოებათა მიერ.

საქ. სოც. საბჭ. რესპ. სახ. კომ. საბჭოს თავმდომარის  
მოადგილე მ. ორახელაშვილი.

ამიერ-კავკასიის რესპ. შრომის სახ. კომის. რწმუნებული  
საქაოთველოში ა. იაშვილი.

სახ. კომისართა საბჭოს მდივანი ალ. ხალარიძე.

1923 წ. იანვრის 2. ტურნირი დაწესებული განვითარებული კულტურული ცენტრის — სასახლე.

გამოქვეყნებულია გაზ. „კომუნისტი“ მე-4 ქ. ზ. 1923 წ. იანვრის 6.

## 2.

# დ ა დ გ ე ნ ი დ ე ბ ა № 68.

საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭო იშიარებს რა სურვილს საქართველოს მუშათა და გლეხთა ახალგაზრდობისას, რომელიც ამა იანვრის 6—7 მიმართა ყველგან სათანადო

ხელისუფლებას თხოვნით, რათა სამხედრო ტაძრები გადაქცეულ იქნეს მოზარდი თაობის საკულტურო-საგანმანათლებლო მუშაობის კერად და, მიაჩნია რა მიზანშეწონილად ასეთი გამოყენება ხსნებული ტაძრებისა, რომელიც აშენებულია მეფის მთავრობის მაერ საქართველოს დაპყრობის ნიშანად და მუშათა და გლეხთა შეიღების სულიერი დამონებისათვის — ადგნება:

1. ყველა სამხედრო ტაძარი, რამელიც საქართველოს ტერიტორიაზე, — ყაველვარი თავისი საეზოვო შენობებით, — გადაეცეს საქართველოს კომისიის ტური ახალგარებულობის კავშირს ამ მიზნით, რათა მან, — მუშათა და გლეხთა წითელ-არმიასთან ერთად, — გამოიყენოს ეს ტაძრები საკულტურო-საგანმანათლებლო მუშაობისათვის ახალგარებულობისა და წითელ-არმიელთა შორის.

2. იმ ქალაქების კომისიალური მეურნეობის განყოფილებათ, საღაც სამხედრო ტაძრებია, უნდა მიიღონ თავიანთ გამგებლობა ში ეს ტაძრები და უზრუნველობელ განათებითა და გათბობით.

საქ. სოც. საბჭ. რესპ. სახ. კომ. საბჭ. თავმჯდომარეს მოადგილე მ. ორანგელა შვილი.

სახ. კომ. საბჭოს მდივანი ალ. სალარიძე.

1923 წ. იანვრის 8.

ტფილისი — სასახლე.

გამოქვეყნებულია გაზ. „კომუნისტის“ №-7 და №-8 1923 წ. იანვრის 11.

### 3.

## დ ე პ რ ე ტ ი

ამიერკავკასიის ერთიანი ფულის ნიშნების გამოცემის თაობაზე — ამიერ-კავკასიის სოც. საბჭ. რესპუბლიკის საკავშირო საბჭოს მიერ ამა 1923 წლის იანვრის 10-ს გამოცემული დეკრეტის საყოფალო თაო ცნობისა და აღსრულებისათვის გამოქვეყნების შესახებ.

ამასთანავე საყოფალო ცნობისა და აღსრულებისათვის გამოქვეყნდება — ამიერ-კავკასიის სოც. საბჭ. რესპუბლიკის საკავშირო საბჭოს დეკრეტი — ამა 1923 წლის იანვრის 10 თარიღითა — ამიერ-კავკასიის ერთიანი ფულის ნიშნების გამოცემის შესახებ.

საქართველოს სოც. საბჭ. რესპ. სახ. კომისართა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე მ. ორანგელა შვილი.

სახალხო კომისართა საბჭოს მდივანი ალ. სალარიძე.

1923 წ. იანვრის 10.

## დ ე პ რ ე ტ ი

ამიერ-კავკასიის ხოც. საბჭ. ოფებ. საკავშირო ხ.ბჭონი.

ამიერ-კავკასიის ერთიანი ფულის ნიშნების გამოცემის შესახებ.

იმ მიზნით, რათა განტკიცებულ იქნეს ეკონომიკური მდგრადირება ამიერ-კავკასიის რესპუბლიკებით, რომელთაც შექმნეს ამიერ-კავკასიის სოციალისტური ფადერატული საბჭოთა რესპუბლიკა და აკრეთებ, რათა გაადგილებულ იქნეს უკვე არსებული მცირდო ეკონომიკური ურჩის რთობა ამიერ-კავკასიის ფედერაციისა საბჭოთა რესპუბლიკების კავშირთან, ამიერ-კავკასიის საკავშირო საბჭო აღვენს:

1. შეკვენას ერთი მთლიანი სისტემა მთლად ამიერ-კავკასიის ტერიტორიაზე ამა 1923 წლის იანვრის 10-დან, რისთვიაც გამოცემულ იქნეს სახმარებლად ერთიანი ამიერ-კავკასიის ფულის ნიშანი.

2. ერთიანი ამიერ კავკასიის ფულის ნიშანი გამოცემულ იქნეს — 1.000, 5.000, 10.000, 50.000, 100.000, 500.000 და 1.000.000 მანეთის კუპიურებად ქართული ფულის ნიშნის თანაბრობით: (პარატეტობით) ერთი მანეთი ამიერ-კავკასიის ფულის ნიშნისა ეთანასწორება ერთ მანეთს ქართული ფულის ნიშნისას

3. აზერბაიჯანის ფულის ნიშნების მიმართ — ერთი მანეთი ამიერ-კავკასიის ფულის ნიშნისა ეთანასწორება 100 მანეთს აზერბაიჯანის ფულის ნიშნებისას, ხოლო სომხეთის ფულის ნიშნების მიმართ — ერთი მანეთი ამიერ-კავკასიის ფულის ნიშნისა ეთანასწორება 150 მანეთს სომხეთის ფულის ნიშნისას; ამასთანავე ეს სალიკვიდაციო კურსი მიღებულ იქნეს უცვლელად მთელი გაცვლა-გამოცვლის პერიოდის განმავლობაში.

4. ამიერ-კავკასიის ერთიან ფულის ნიშანს მსვლელობა აქვს ყველგან მთლად ამიერ-კავკასიის ტერიტორიაზე და მისი მიღება სავალ-დებულო ყველა სახელმწიფო დაწესებულებებთა და საწარმოთათვის, საზოგადო ორგანიზაციისათვის და კერძო პირთათვის.

5. ამიერ-კავკასიის ერთიანი ფულის ნიშნის გამოცემის დღიდან, ე. ი. 1923 წლის იანვრის 10 დან, მოისპოს დამოუკიდებელი ემისია საქართველოში, აზერბაიჯანში და სომხეთში.

6. აღვილობრივი ფულის ნიშნები საქართველოს, აზერბაიჯანისა და სომხეთისა დარჩება ხმარებაში მხოლოდ ორი თვის განმავლობაში ამიერ-კავკასიის ერთიანი ფულის ნიშნის გამოცემის დღიდან, ე. ი. 1923 წლის მარტის 10-მდე (ამ რიცხვითურთ), რომელი ვადის განმავლობაშიც ეს ფულის ნიშნები გამოცვლილ უნდა იქნეს ამიერ-კავკასიის ფულის

ნიშნებზე, ამა დეკრეტის მე-2 და 3 მუხლები აღნიშნული კურსის მიხედვით, ამიერ-კავკასიის მთავრობის ცველა კასებში, რ. ს. ფ. ს. რ. ანტონოვგვარდი და განყოფილებებში და ავრეოვე რესპუბლიკის აღილობრივ ბანკებში.

7. აღილობრივი ფულის ნიშნები, რომელიც 1923 წლის მარტის 10-ს გამოუცვლელი დარჩება, ჰერგავს ძალას და იღარ მიიღება სახელმწიფო დაწესებულებათა, საწარმოთა და ბანკების მიერ ფულის ბადლად და გამოსაცვლელიდა.

8. ამიერ-კავკასიის ერთიანი ფულის ნიშანი უზრუნველყოფილია ამიერ-კავკასიის სოციალისტური ფედერატიულ საბჭოთა რესპუბლიკების აკადიდებით და ყალბი ფულის გაკეთებისათვის, დამაზარე პასუხს აგებს სისხლის სამართლის წინაშე.

9. ამა დეკრეტის განხორციელება დაეკისროს ამიერ-კავკასიის სოციალისტური ფედერატიულ საბჭოთა რესპუბლიკების ფინანსთა სახალხო კომისარიატს და მიეცეს მას უფლება ამა დეკრეტის განვითარებისათვის გამოსცეს სათანადო ინსტრუქციები.

10. დეკრეტი ესე ძალაში შედის ღლიდან მისი გამოქვეყნებისა.

ამიერ-კავკასიის სოც. საბჭ. რესპუბლიკების	6. ნარიმანოვი.
საკავშირო საბჭოს პრეზიდიუმი	7. მიასნიკოვი.
	8. ელიაშვილი.

ვამოქვეყნებულია გაზ. „კომუნისტის“ მე-6 ქ-ში 1923 წ. იანვრის 10.

## 4.

### დ ე კ რ ე ტ ი

ამიერ-კავკასიის ერთიანი ფულის ნიშნების მიხედვით ანგარიშის წარმოების თაობაზე ამიერ-კავკასიის სოც. საბჭოთა რესპუბლიკის საკავშირო საბჭოს მიერ ამა 1923 წლის იანვრის 10-ს გამოცემული დეკრეტის საყოველთაო ცნობისა და აღსრულებისათვის გამოქვეყნების შესახებ.

ამასთანავე გამოქვეყნდება საყოველთაო ცნობისა და აღსრულებისათვის ამიერ-კავკასიის სოც. საბჭოთა რესპუბლიკების საკავშირო საბჭოს მიერ 1923 წლის იანვრის 10-ს გამოცემული დეკრეტი—ამიერ-კავკასიის ერთიანი ფულის ნიშნების მიხედვით ანგარიშის წარმოების შესახებ.

საქართ. სოც. საბჭ. რესპუბ. სახალხო კომისართა  
საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე მ. ორანელაშვილი.

სახალხო კომისართა საბჭოს მდგრანი ალ. სალაჩიძე.

1923 წ. იანვრის 10.

## დ ე პ რ ე ტ ი

ამიერ-კავკასიის სოციალისტური საბჭ. რესპუბ. საკავშირო საბჭოსი.

აშინერ-გვერდის ერთანთ ფულის ნიშნების შიხედვით ანგარიშის წარმოების შესახებ.

ამიერ-კავკასიის ერთანთ ფულის ნიშნების ჩარებაში შემოღების შესახებ დღევანდელი თარიღით გამოცემული დეკრეტის დამატებად საბჭ. კო აღვნის:

1. შემოღებულ იქნეს დღიდან ამ დეკრეტის გამოქვეყნებისა მთავრობის უკელა დაწესებულებაში და სახელმწიფო სწარმოში, საზოგადო და კომისარიულ ორგანიზაციებში ამიერ-კავკასიის სოც. ფედერატ. საბჭ. რესპუბლიკების ტერიტორიაზე მთელი ანგარიშის წარმოება, აგრძოვ ხელშეკრულების დადგება და ყოველგვარი მიმღინარე საკაროგარიგება და გასწორება ახალ ერთანთ ამიერ-კავკასიის ფულის] ნიშნებით.

შენიშვნა. ზემოაღნიშნული გადასცლა ამიერ-კავკასიის ფულის ნიშნებზე სავალდებულოა ყველა ზემოხსნებული დაწესებულებისათვის. ყველა იმ შემთხვევაში, სადაც ამ რეფორმის განხორციელების დროს მიღებულ იყო ამიერ-კავკასიის რესპუბლიკების ძევლი ფულის ნიშნები.

2. 1923 წლის იანვრის 10-მდე დადგებული და შესრულებელი ყველა ხელშეკრულება დარჩება ძალაში ახალი ფულის ნიშნების თანახმად ანგარიშის გასწორების უფლებით.

შენიშვნა. ფულის გაცემისათვის დადგებულ ორი თვის ვადის გასცლის შემდეგ, იმ ხელშეკრულებისა და გარიგების ანგარიშის გასწორება, რომელიც დადგებულია აღილობრივ ფულის ნიშნების მიხედვით, სავალდებულოა მხოლოდ ამიერ-კავკასიის ფულის ნიშნებით.

3. ამიერ-კავკასიის ფინანსთა სახალხო კომისარს ნება აქვს მისცეს სათანადო განმირტება დაინტერესებულ დაწესებულებათ და ორგანიზაციათ ამა დეკრეტის შეფარდებისათვის.

ამიერ-კავკასიის საკავშირო საბჭოს თავმჯდომარე შ. ელიავა.

ამიერ-კავკასიის საკავშირო საბჭოს  
მდივნის მოადგ. ორლოვ-მალახოვი.

გამოქვეყნებულია გაზ. „კომუნისტის“ მე-6 ქ. 1923 წ. იანვრის 10-

5.

## დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა № 69

საქართველოს წითელ ჯგუფის საზოგადოების წესდების შეცვლის შესახებ.

წითელი ჯგუფის საზოგადოების რეორგანიზაციის შესახებ საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის რევოლუციონური კომიტეტის მიერ 164 №-რით გამოცემულ დადგენილების დამატებად საქართველოს სოც. საბჭ. რესპ. სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

აღნიშვნული საზოგადოების წესდების 22, 24 და 26 წ.ი შეცვლილ იქნეს შემდეგნაირად:

1. § 22: ცენტრალური კომიტეტი შესრგება საზოგადო კრების მიერ არჩეული 7 წევრისაგან და 3 კანტიდატისაგან, ცენტრალური კომიტეტი თავისი წრიდან აირჩევს პრეზიდიუმს, ერთი წლის ვადით, თავმჯდომარეს, თავმჯდომარის ამხანაგს და პრეზიდიუმის წევრს — შემადგენლობით.

§ 24: ცენტრალური კომიტეტის არჩევა მოხდება ხმის აშკარა მიცემით და ხმის უბრალი უმეტესობით.

§ 26: განყოფილების კომიტეტი შესრგება 5 წევრისაგან, რომელთაც აირჩევს განყოფილების ნამდებილ წევრთა კრება. კომიტეტი აირჩევს თავის წრიდან, ერთი წლის ვადით, თავმჯდომარეს, თავმჯდომარის ამხანაგს და მდივანს.

2. დადგენილება ესე ძალაში შედის დღიდან მისი გამოქვეყნებისა.

საქ. სოც. საბჭ. რესპ. სახ. კომის. საბჭ. თავმჯდომარის მოადგილე მ. ოჩახელაშვილი.

სახ. კომ. საბჭოს მდივანი ალ. სალარიძე.

1923 წ. იანვრის 10.

ტფილისი — სასახლე.

გამოქვეყნებულია გაზ. „კომუნისტის“ მე-8 №-ში 1923 წ. იანვრის 12.

6.

## დ ე გ უ ლ ე ბ ა

საქართველოს სოც. საბჭოთა რესპუბლიკის ლიტერატურისა და გამომცემლობის საქმის მთავარი მართველობის შესახებ.

1. ბეჭვდითი ნაწარმოების ყოველგვარი ცენტრის გაერთიანების შინით განათლების სახალხო კომისარიატთან არსდება, — განათლების სახალხო კომისარის ხელმძღვანელობისა და ზედამხედველობის ქვეშ, — ლიტერატურისა და გამომცემლობის საქმის მთავარი მართველობა და

მისი ადგილობრივი ორგანოები საქართველოს სოც. საბჭოთა რესპუბ-  
ლიკის სამაზრო აღმასრულებელი კომიტეტის სახალხო განათლების-  
განყოფილებებთან.

2. ლიტერატურისა და გამომცემლობის საქმის მთავარ მართვე-  
ლობას და მის ადგილობრივ ორგანოებს დაკავშირდება:

ა) წინასწარი განხილვა ყველა გამოსაქვეყნებლად და გასაერ-  
ელებლად დანიშნული ნაწარმოებისა, როგორც ხელთანაწერისა-  
სე დაბეჭდილისა, პერიოდული და არა პერიოდული გამოცემისა,  
სურათებისა, ნახატებისა, რუქების და სხვ.;

ბ) ცალკე ნაწარმოებისა, აგრძელებული პერიოდული და ირაპ-  
რიოდული ბეჭდითი ორგანოს გამოცემის ნებართვის მიუმა;

გ) გასაყიდათ და გასავრცელებლად ცკრძალულ ნაწარმოებთა-  
სიების შედეგნა;

დ) ბეჭდითი საქმის შესახებ ყველა ბეჭდითი ორგანოები-  
სათვის, გამომცემლობისათვის, სტაბებისათვის, ბიბლიოთეკები-  
სათვის და წიგნის მაღაზიებისათვის სავალდებულო წესების, გან-  
კარგულებების და ინსტრუქციების გამოცემა.]

3. ლიტერატურისა და გამომცემლობის საქმის მთავარი მართვე-  
ლობა და მისი ადგილობრივი ორგანოები ცკრძალავენ იმ ნაწარმოების-  
გამოცემას და გავრცელებას:

ა) რომელიც შეიცავს აგიტაციას საბჭოთა ხელისუფლების-  
წინააღმდეგ;

ბ) რომელიც ააშკარავებს რესპუბლიკის სამხედრო საიდუმ-  
ლოებას;

გ) რომელიც ტურილი ცნობების გავრცელებით აღელვებს-  
საზოგადოებრივ აზრს;

დ) რომელიც აღვივებს შოვინისტურსა და რელიგიურ ფა-  
ნატიზმს;

ე) რომელსაც პორნოგრაფიული ხასიათი აქვს.

4. რესეთის კომუნისტური პარტიის ამიტრ-კავკასიის საოლქო-  
კომიტეტისა, საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური და-  
სამაზრო კომიტეტების გამოცემანი და საერთოდ პარტიული კომუნი-  
სტური ლიტერატური, აგრძელებს საქართველოს ს. ს. რ. სახელმწიფო  
და პოლიტიკური განათლების მთავარი მართველობის გამოცემანი-  
თავისუფალია ცენტურისაგან; იმ გამოცემათ მიმართ ლიტერატურისა-  
და გამომცემლობის მთავარ მართველობას და მის ორგანოებს ეკისრება-  
ლონისძიების მიღება სამხედრო ცენტურის ინტერესების უზრუნველსა-  
ყოფად. უწყებათა სპეციალური გამოცემანის განთავისუფლდება ცენ-

ზურისაგან ლიტერატურისა და გამოცემლობის საქმის მთავარი მართველობის და სათანადო სახალხო კომისარიატის შეთანხმებით.

5. ჩესპებლიკაში გამოცემულ ყველა ბეჭედითი ნაწარმოებს, გარდა მეოთხე მუხლში აღნიშნულისა, უნდა ჰქონდეს ლიტერატურისა და გამოცემლობის საქმის მთავარი მართველობის და მისი აღილობრივი ორგანოების კიზა.

6. ლიტერატურისა და გამოცემლობის საქმის მთავარი მართველობის სათვეში სდგას გამგე, რომელსაც ჰნიშნავს იგივე კოლეგია, და მისი ორი თანაშემწე, რომელთაც ჰნიშნავს იგივე კოლეგია საქართველოს სოც. საბჭ. ჩესპ. სამხედრო სახლვაო სახალხო კომისარიატთან და საქართველოს საგანგებო კომისიასთან შეთანხმებით და, რომელიც ექვემდებარებიან, როგორც გამგეს, ისე კუთვნილებისამებრ, სათანადო ორგანოს.

7. ქალ. ქუთაისსა, ბათომსა და სოხუმში მოქადაგი ლიტერატურისა და გამოცემლობის საქმის მთავარი მართველობის განყოფილებანი, ხოლო სხვა სამაზრო ქალაქებში დაინიშნებიან, საჭიროებისადა მიხედვით ცენზორი. განყოფილებათა შესაცემის და იმ სამაზრო ქალაქების განაწერს, სადაც ცენზორი უნდა იმყოფებოდნენ, განსაზღვრავს განათლების სახალხო კომისარიატი—სამხედრო სახლვაო სახალხო კომისარიატსა და საქართველოს საგანგებო კომისიასთან შეთანხმებით; ცენზორებს დაინიშნავს მთავარი მართველობა.

8. იმისდამიუხედავად, თუნდაც ამა თუ იმ ადგილის გამოცხადებული არ იყოს სამხედრო მდგომარეობა,—ცენზორის ორგანოები უწყებული ადვილისა,—სამხედრო აუცილებლობის მოსაზრებით და სამხედრო-სახლვაო სახალხო კომისარიატისა, ლიტერატურისა და გამოცემლობის საქმის მთავარი მართველობასთან შეთანხმების წესით,—გადადინ სამხედრო უწყების ქვემდებარეობაში, ან იმ უკანასკნელს ნება ეძლევა გაგზავნოს იმ ადგილს სპეციალური ცენზორი.

9. სახახოებისა და თეატრალური წარმოდგენების ზედამხედველობა ტფილისში ეკისრება მთავარ მართველობას, ქალ. ქუთაისსა, ბათომსა და სოხუმში—მთავარი მართველობის განყოფილებათ,—ხოლო სხვა აღგილებში—მისივე ორგანოებს.

**შენიშვნა.** იმ ადგილას, სადაც ცენზორი არ იქნება, ფუნქციებს შეასრულებს მახლობელი ცენზორი.

10. საჩივარი ცენზორის დადგენილების გამო შეტანილ უნდა იქნეს მთავარ მართველობაში ორი კვირის ვადაზე დაინტერესებული პირისათვის გამოცხადების დღიდან.

11. ბეჭედითი დანაშაულებრივი მოქმედებისათვის დამნაშავე პასუხს

აგებს საქართველოს სოც. საბჭ. რესტუბლიკის სისხლის სამართლის კოდექსის 230 და 231 მუხ. თანახმად.

12. საქართველოს საგანგებო კომისიის ორგანოებს დაეკისხებათ ბრძოლა მთავარი მართველობის მიერ ნებადაურთველ ნაწილმოებთა გაფრცელების წინააღმდეგ; აგრეთვე—შემდეგი ზედამხელველობა სანახაობისა, სტამბებისა, საბაჟო და სანაპირო მუნჯერებისათვის; აგრეთვე—ბრძოლა აზალეგალური გამოცემებისა და მათი გაფრცელების წინააღმდეგ; ბრძოლა—ნებადაურთველი ლიტერატურის საზღვარგარეთიდან საქართველოს სოც. საბჭ. რესტუბლიკის ტერიტორიაზე გასავარცელებლად შემოტანის წინააღმდეგ, მეთვალყურეობა რუსეთისა და უცხოეთის ლიტერატურის ყიდვა-გაყიდვისათვის და მთავარი მართველობისა და მისი ორგანოების მიერ ნებადაურთველი წიგნების ჩამორთმევა მე-2 მუხ. „გ“ პუნქტში აღნიშნული სის თანახმად.

**შენიშვნა:** მთავარი მართველობის მიერ გამოცემული სიებით სისწორითა და გაღუნევევად ხელმძღვანელობა სავალდებულოა საგანგებო კომისიის ორგანოებისათვის, ცალკე ნაწილმოების გამო, რომელიც შეტანილი არ იქნება აღნიშნულ სიებში, საგანგებო კომისიის ორგანოები, ყოველ ცალკე შემთხვევაში, მიმართავენ მთავარ მართველობას მათი ნებართვის ან აკრძალვის შესახებ.

13. სტამბისა და ლიტოგრაფიის გაზვანი—სასამართლო წესისამებრ პასუხისმგებლობით—მოვალეა ურყყვად ადენოს თვალყური, რათა სტამბაში და ლიტოგრაფიში დასაძევებ ნაწილმოებს, გარდა მე-1 მუხლის აღნიშნულისა ქვენდეს მთავარი მართველობის და მისი ორგანოების სანებართვო ვიზა.

14. სტამბისა და ლიტოგრაფიის პატრონი და გამგე მოვალეა წარადგინოს ცენტურის ორგანოებში ყოველგვარი დაბეჭდილი ნაწარმოების ხუთასუთი ცალი დაუყოვნებლივ დაბეჭდისათანავე.

15. ლიტერატურისა და გამომცემლობის საქმის მთავარ მართველობის შტატი დამტკიცებულ იქნება 7 პირის შედგენილობით.

16. დებულება ესე ძალაში შედის დღიდან მისი გამოქვეყნებისა, საქართველოს სოც. საბჭ. რესპ. სახ. კომ. საბჭოს თავმჯდომარის მოაღვილე მ. ორახელაშვილი.

განათლების სახალხო კომისარი დ. კანდელაკი.

სახალხო კომისართა საბჭოს მდგანი ალ. სალარიძე.

1923 წ. იანვრის 12.

ტფილისი—სასახლე.

გამოქვეყნებულია გაზ. „კომუნისტის“ მე-10 ქ-ზი 1923 წ. იანვრის 14.

## 7. რესპუბლიკური უმაღლესი უძლებელი შესახებ.

### დ ე გ უ ლ ე ბ ა

საქართველოს სოციალ ისტური საჭირო რესპუბლიკის უმაღლეს სასწავლებელთა შესახებ.

(ტფილისის სახელმწიფო უნივერსიტეტისა და სახელმწიფო პოლიტე-ნიკური ინსტიტუტისათვის).

ა. უმაღლესი სასწავლებლის მიზანი და დანიშნულება.

1. უმაღლესი სასწავლებელის მიზანია:

ა) შექმნას სპეციალისტთა კადრი პრაქტიკულ მოღვაწეობის სხვა და სხვა დარგებისათვეს;

ბ) მოაზადოს მეცნიერების მუშაյნი რესპუბლიკის სამეცნიერო, სამეცნიერო-სატექნიკო და სამართლო დაწესებულებათათვის და კერძოდ თვით უმაღლესი სასწავლებელისათვის;

გ) გამოიყვანოს სამეცნიერო კითხვები ცოდნის ყოველ დარგში, და არსოს სამეცნიერო კვლევა-ძიების ინსტიტუტები, კურსები და სამე-ცნიერო ასოციაციები განათლების სახალხო კომისარიატის დამტკიცებით;

დ) გაავტორულოს მეცნიერული ცოდნა პრალეტარულ და გლეხურ მასებში, რომელთა ინტერესსაც უმაღლესი სასწავლებლის მოღვაწეობაში პირკელი ადგილი უნდა ეჭიროს.

ბ. უმაღლესი სასწავლებელის მოსწავლეთა შესახებ.

2. უმაღლესი სასწავლებელის სტუდენტად შეიძლება იქნეს ორივე სქესის მოქალაქე, 16 წლის ასაკ შესრულებული, უკეთუ იგი აქმაყუფილებს უმაღლესი სასწავლებლის მიერ შემუშავებულ მისაღებ წესებს, რომელსაც დაამტკიცებს განათლების სახალხო კომისარიატი.

3. უმაღლესი სასწავლებლის სტუდენტი მოვალეა შეასრულოს ყოველი მოთხოვნილება სასწავლო და აღმინისტრატიული ხასიათისა.

4. სწავლა უმაღლეს სასწავლებელში უფასოა.

**შენიშვნა.** დროებითი ზომის სახით, რესპუბლიკის განსაკუთრებულ ეკონომიკური მდგომარეობის გამო, შემოღებულია ლექ-ციების მოსმენისა და სასწავლო-დამზარე დაწესებულებათა გამოყენებისათვის, სწავლის ფასი, რომლის რაოდენობას და გადახდის წესს დაადგენს განათლების სახალხო კომისარიატი.

### გ. უმაღლესი სასწავლებლის მასწავლებელთა შესახებ.

5. უკელი ის პირი, რომელიც ეწევა უმაღლეს სასწავლებელში მეცნიერულ მუშაობას, რა ხასიათისაც უნდა იყოს იგი, იწოდება—მეცნიერების მუშაკად.

6. მეცნიერების მუშაკად ითვლება:

ა) პროფესორი და დოკუმენტი, რომელიც ხელმძღვანელობას უწევს დამოუკიდებელ კურსებს. ან მეცადინეობას, ან განაგებს უმაღლესი სასწავლებლის ერთ-ერთ სასწავლო-სამეცნიერო დაწესებულებას.

ბ) მასწავლებელი, რომელიც უძღვება დამზარე კურსებს ან მეცადინეობას, ან და მუშაობს დამოუკიდებლად, ხოლო ერთ-ერთ პროფესორის ხელმძღვანელობით.

გ) სამეცნიერო-სასწავლო დაწესის თანამშრომელი, რომელიც ეხმარება პროფესორს, დოკუმენტს და მასწავლებელს მუშაობაში, ან ემზადება დამოუკიდებელი სასწავლო ან სასწავლო-სამეცნიერო მოღვაწეობისათვის.

**შენიშვნა 1.** მეცნიერების თვითეული კატეგორიის მუშაკთა რიცხვი და მათი ჯამაგირი განისაზღვრება უწყვებული უმაღლესი სასწავლებლის შტატით.

**შენიშვნა 2.** ამა დებულების თანახმად არჩეული პროფესორისა, დოკუმენტისა და მასწავლებლის შესახებ უმაღლესი სასწავლებლის გამგეობა, არა უკვიანეს სამ, დღისა,—წარუდგენს ცნობას განათლების სახალხო კომისარიატს; არჩეულ კანდიდატს ამტკიცებს სახალხო განათლების კომისარიატი.

**შენიშვნა 3.** სახელწოდება ახლანდელი პირადი შედგენილობის პროფესორებისა და მასწავლებელთა ავტომატიურად შეიცვლება ამ დებულების სათანადო მუხლში აღნიშნული ნიშნების მიხედვით, ხოლო სამოლოო დასამტკიცებლად წარედგინება განათლების სახალხო კომისარიატს.

### დ. სამეცნიერო-სასწავლო ნაწილი.

7. უმაღლესი სასწავლებელი განაწილდება ფაკულტეტებად, რომელიც აერთიანებს სამეცნიერო დისკიპლინის მიწითად ჯეუფებს და წარმოადგენს სწავლა-მეცნიერების თვალსაზრისით დამთავრებულ მთლიან ერთეულს; ფაკულტეტს მიზნად აქვს განსაზღვრულ პროფესიის პრაქტიკულ მოღვაწეთა მომზადება. ფაკულტეტის რცხვი თვითეულ უმაღლეს სასწავლებელში განისაზღვრება განათლების სახალხო კომისარიატის მიერ, არსებული კანონებისა და ადგილობრივი პირობების მიხედვით.

ყველა უმაღლეს სასწავლებელში უთუოდ უნდა არსებობდეს მუშათა ფაკულტეტი, რომელსაც მიზნად აქვს პროფესიალისა და მშრომელი გლობობის წრის პირთა მომზადება.

**შენიშვნა 1.** მუშათა ფაკულტეტის კონსტრუქცია მთლიანად და მისი ურთიერთობა უძალესი სასწავლებლის ორგანოებთან განისაზღვრება განსაკუთრებულ დებულებით მუშათა ფაკულტეტის შესახებ.

**შენიშვნა 2.** ფაკულტეტის ფარგლებში სპეციალობას ყოველი უმაღლესი სასწავლებლისათვის ამტკიცებს განათლების სახალხო კომისარიატი უმაღლესი სასწავლებლის გამგეობის წარდგენისამებრ.

8. სასწავლო გეგმას და კურსების გავლის წესს შეიმუშავებს ფაკულტეტი და განიხილავს უმაღლესი სასწავლებლის საბჭო, ხოლო განხორციელდება იგი განათლების სახალხო კომისარიატის დამტკიცების შემდეგ.

### ე. უმაღლესი სასწავლებლის მართველობა.

9. საქართველოს სიკ. საბჭ. რესპუბლიკის უმაღლესი სასწავლებელი იმყოფება განათლების სახალხო კომისარიატის პროფესიონალური განათლების მთავარ მართველობის გამგებლობაში. მხოლოდ განათლების სახალხო კომისარიატს აქვს უფლება მოახდინოს ცულილება უმაღლესი სასწავლებლის როგორც ორგანიზაციისა, ისე პირადი შედეგის მიღებაში.

10. უმაღლესი სასწავლებლის სასწავლო-სამეცნიერო და აღმინისტრატიულ-სამეცნიერო მოღვაწეობის უახლოესი გამგებლობა და ხელმძღვანელობა კუთხით, — განათლების სახალხო კომისარიატის საერთო ხელმძღვანელობით, — უმაღლესი სასწავლებლის საბჭოს და მის მიერ ამორჩეულ გამგეობას ამ დებულების თანახმად

11. საქმე, რომელიც მთლიად უმაღლეს სასწავლებელს არ შეეხება, არამედ მსოლოდ ცალკე მის ფაკულტეტს, ფაკულტეტის საბჭოსა და მის პრეზიდიუმს გამგებლობაშია, — უმაღლესი სასწავლებლის გამგეობის მფლობელობით და კონტროლით.

12. საქმეს, რომელიც ეხება ერთ ან რამდენიმე ერთი-მეორის მახლობელ დასკადლინას, რაც უმაღლეს სასწავლებელში ისწავლება, განაგებს საგნობრივი კომისია ფაკულტეტის საბჭოს საერთო კონტროლისა და ხელმძღვანელობით.

**შენიშვნა.** საგნობრივი კომისიის რიცხვს განსაზღვრავს ფაკულტეტის საბჭო.

13. საგნობრივ კომისიას შეაღენენ: მახლობელი დისკაპლინებით შეკავშირებული ყველა პროფესორები, დოცენტები, მასწავლებლები და მეცნიერების ყველა მუშანი, როცხვით პროფესორ-დოცენტების რაოდენობის  $\frac{1}{3}$  და აგრძელებული წარმომადგენლები იმ სტუდენტებისა, რომელნიც ვალდებული არიან იმეცადინონ ამა თუ იმ საგნობრივ კომისიას დისკიპლინებში.

სტუდენტთა წარმომადგენლების არჩევა მოხდება განსაკუთრებული ინსტრუქციის მიხედვით პროფესორ-დოცენტების რიცხვის არა უმცრეს  $\frac{1}{3}$ -ისა.

14. საგნობრივი კომისია პროფესორთა შეაღენილობიდან ირჩევს თავმჯდომარეობას.

თავმჯდომარის გარდა, ირჩევს აგრძელებული თავმჯდომარის მოაღვილეს და მდივანს, უკანასკნელი, თავმჯდომარესთან ერთად, შეაღენს საგნობრივ კომისიის ბიუროს, რომელსაც ამტკიცებს ფაქულტეტის საბჭო.

15. საგნობრივი კომისიის ფუნქცია შეაღენს:

ა) საგნობრივი კომისიის დისკიპლინების მიხედვით სამეცნიერო საქმის განაწილება მეცნიერების მუშაკთა შორის;

ბ) კონტროლის დაწესება სტუდენტების მიერ სასწავლო მოვალეობის შესრულებისათვის. ამ კონტროლის წესს შეიძუშავებს ფაქულტეტის საბჭო, ხოლო ამტკიცებს განათლების სახალხო კომისარიატი.

გ) პროგრამების დეტალურად შემუშავება, რომელსაც ამტკიცებს ფაქულტეტის საბჭო, სწავლის მეთოდების განხილვა, პროფესორ-მასწავლებელთა მოხსენებანი გასავლელი კურსების მეთოდებისა და მათი შედეგების შესახებ;

დ) ხელმისაწვდომობა და აღრიცხვის განხილვა კომისიის გამგებლობაში მყოფ დამხმარე დაწესებულებათა (ლაბორატორიები, კაბინეტები, მუზეუმები, ბიბლიოთეკები, კლინიკები).

16. საგნობრივი კომისიის ყოველი დაღენილება დაუყონებლივ უნდა ეცნობოს ფაქულტეტის პრეზიდიუმს და ძალაში შედის იმ შემთხვევაში, უკეთუ ერთი კვირის განმავლობაში პროფესტებილი არ იქნება — ფაქულტეტის საბჭოში.

17. საგნობრივ კომისიაში ყველა საკითხი გადაწყდება ხმის უბრალო უმეტესობით და ხმისავე აშეარად მიცემით.

18. ფაქულტეტის თავმჯდომარების შეაღენს:

ა) ფაქულტეტის საბჭო,

ბ) ფაქულტეტის პრეზიდიუმი.

19. ფაქულტეტის საბჭოში შედიან:

ა) ფაქულტეტის პრეზიდიუმი;

ბ) უწყებული ფაკულტეტის ყველა პროფესორი და დოცენტი;  
გ) მასწავლებელნი და სამეცნიერო-სასწავლო დაწესის თანამშრო-  
მელნი რიცხვით პროფესორ-დოცენტების რაოდენობის  $\frac{1}{3}$ .

დ) უწყებული ფაკულტეტის სტუდენტების წარმომადგენლები რი-  
ცხვით პროფესორ-დოცენტების რაოდენობის ერთი მესამედი.

ე) გარდა ამისა, ფაკულტეტის საბჭოში თითო წარმადგენლის გაგ-  
ზავნის უფლება აქვს გადამწყვეტი ხმით:  
განათლების მუშაკთა პროფესიონალურ კავშირს, პროფესიონალურ კავ-  
შირებს, რომელნიც დაინტერესებულნი არიან ამა თუ იმ ფაკულტეტის  
მუშაობით, პროფესიონალურ კავშირთა საბჭოსა და განათლების კომი-  
სარიატის შორის შეთანხმებით.

20. ფაკულტეტის საბჭოს თავმჯდომარეობს დეკანი.

21. ფაკულტეტის საბჭო:

ა) განათლების სისალხო კომისარიატის წინადადებით შეიმუშავებს  
ფაკულტეტის მოქმედების საერთო პროგრამას;

ბ) განაწილების სამუშაოდ მასწავლებლების და მეცნიერების მუშა-  
კებს ფაკულტეტის სხვა და სხვა ქვემდებარე დაწესებულებაში;

გ) ინტეგრაციულ პროფესიონალურ დოცენტებს, მასწავლებლებს და სამე-  
ცნიერო სასწავლო დაწესის თანამშრომელთ;

დ) ხელმძღვანელობს ცალკე საგნობრივ კომისიების მოქმედებას.

**შენიშვნა.** ფაკულტეტის საბჭოს ყოველი დადგენილება დაუ-  
ყოვნებილივ უნდა წარედგინოს უმაღლეს სასწავლებლის გამეობას.  
და შედის ძალაში იმ შემთხვევაში, უკითუ პროტესტების მინილი არ  
იქნება ერთი კვირის ვადაზე.

ე) გადასწყვეტის სამოსწავლო წლის დაწყებამდე, თუ რამდენი-  
სტუდენტის მიღება შეიძლება უწყებულ ფაკულტეტზე;

ვ) შეადგინს და წარუდგინს უმაღლესი სასწავლებლის გამეობას  
ფაკულტეტის და ყველა მის დაწესებულების საერთო ორგანიზაციას;

ზ) დანიშნავს საკონტროლო კომისიებს იმის შესამოწმებლად, თუ  
რამდენად შეასრულეს ფაკულტეტის სტუდენტებმა სასწავლო ვალ-  
დებულება.

22. ფაკულტეტის საბჭოში ყველა საკითხი გადასწუყება ხმის  
უბრალო უმეტესობით ხმის აშერად მიცემით, გარდა იმ შემთხვევისა,  
როდესაც განსახილველია პერსონალური კანდიდატურა პროფესიონალისა,  
დოცენტისა, მასწავლებლისა და მეცნიერების მუშაკის თანამდებობაზე  
ასარჩევი პირისა; ამ შემთხვევაში საკითხი ფარული კერძის ყრით გა-  
დასწუყდება.

23. ფაკულტეტის პრეზიდიუმი შესდგება დეკანისა და ორი წევ-  
რისაგან, რომელნიც აირჩევიან ერთი წლით; დეკანისა და პრეზიდიუმის

ერთი წევრის თანამდებობაზე კანდიდატს აირჩიეს ფაქულტეტის საბჭო მცნიერების მუშაოთა შედგენილობიდან. პრეზიდიუმის მესამე წევრის თანამდებაზე ორ კანდიდატს ასახელებენ ის სტუდენტები, რომელ-ნიც ფაქულტეტის საბჭოში შედიან. არჩეულ პირთა შესახებ უმაღლესი სასწავლებლის გამგეობა გაუვითენის დასაბუთებულ შუამდგომლობას პროფესიონალური განათლების მთავარმმართველობას არჩეულ პირთა დასამტკიცებლად განათლების სახალხო კომისარის მიერ.

უკეთუ წარდგენილ კანდიდატებს განათლების სასალხო კომისარია-ტი ორ დამტკიცებს, მას უფლება ეძღვეა დანიშნოს თავისი კანდიდა-ტები უწყებული ფაქულტეტის წევრების შედგენილობიდან.

**შენიშვნა.** დეკანად შეიძლება იყოს შხოლოდ პროფესიონალური.

24. ფაქულტეტის პრეზიდიუმი, როგორც მისი ორგანო, ცნობ-ცემლებს ფაქულტეტის საბჭოს ცველა დადგენილებას.

25. დეკანი პრადად პასუხისმგებელი გამგეობის წინაშე ყოვე-ლივე იმის გამო, რაც ფაქულტეტზე მოხდება, და უფლება აქვს შეა-ჩეროს საგნობრივი კომისიების ყოველი დადგენილება,—რასაც აცნო-ბებს ფაქულტეტის საბჭოს, ხოლო თუ არ დაეთანხმა—საკითხი გადა-ტანილ უნდა იქნეს უმაღლესი სასწავლებლის გამგეობაში.

იმ შემთხვევაში, როცა პრეზიდიუმის უმრავლესობა არ ეთანხმება დეკანს, პრეზიდიუმი შეუძლიან განასაჩიროს დეკანის ის დადგენილება ფაქულტეტის საბჭოში და შემდეგ უმაღლეს სასწავლებლის გამგეობაში, მაგრამ არ შეუძლიან შეაჩეროს მისი სისრულეში მოყვანა.

26. მთლად უმაღლესი სასწავლებლის საქმის გამგე ორგანოებად ითვლებია:

- უმაღლესი სასწავლებლის საბჭო;
- უმაღლესი სასწავლებლის გამგეობა.

27. უმაღლესი სასწავლებლის მთელი მუშაობის წარმართვისა და კონტროლისათვის, უმაღლესი სასწავლებლის საბჭო სასწავლო წლის განმავლობაში შეიკრიბება სამჯერზე არა ნაკლებ.

საბჭოში შედიან გამგეობის წევრები, ფაქულტეტის დეკანები, ცველა პროფესიონალური და ღოცენტი, იგრეთვე მასწავლებლები და მცნიე-რების მუშაქნი, პროფესიონალური კავშირების რიცხვის ერთი მეოთხედის რაოდენობით. პროფესიონალური კავშირების საბჭოს წარმომადგენლინი არა უმეტეს ხუთისა, რომელიც იგზავნებიან უმაღლესი სასწავლებლის მუშაობით დაინტერესებული პროფესიონერების მიერ განათლების სა-ხალხო კომისარიატისა და პროფესიონალური კავშირების საბჭოს შე-თანხმებით; დაინტერესებული სახალხო კომისარიატების თითო წარმო-მადგენლი; მოსამსახურეთა აღილობრივი კომიტეტის ერთი წარმომად-

გენელი და უწყებული უმაღლესი სასწავლებლის ის სტუდენტები, რო-  
მელნიც აირჩევიან განსაკუთრებული ინსტუქციის მიხედვით პროფესორ-  
დოცტორთა რიცხვის ერთი მეოთხედის რაოდენობით

საბჭოში თავმჯდომარეობს უმაღლესი სასწავლებლის გამგეობის  
თავმჯდომარე (რექტორი).

28. უმაღლესი სასწავლებლის საბჭო:

ა) ხელმძღვანელობას უწევს უმაღლესი სასწავლებლის მთლიად სა-  
მეცნიერო და აღმინისტრატიულ საქმეს;

ბ) ადასტურებს სამეცნიერო მუშაյების კანდიდატურას, არჩეულს  
ფაკულტეტების საბჭოების მიერ და გამგეობის მეშვეობით წარადგენს  
განათლების სახალხო კომისარიატში დასამტკიცებლად;

გ) აირჩევს სამეცნიერო კვლევა-ძიების ინსტიტუტების, კურსების,  
ასოციაციების დირექტორებს და წარადგენს გამგეობის მეშვეობით  
განათლების სახალხო კომისარიატში დასამტკიცებლად.

29. საბჭოს დასკვნას უმაღლესი სასწავლებლის მუშაობის შესახებ,  
საბჭოს წევრების ცალკე აზრის თანდართვით და საბჭოს გნზრახულე-  
ბით უზაღლესი სასწავლებლის მომავალი მუშაობის შესახებ, საწარმოო  
გეგმასთან დაკავშირებით,— გამგეობის თავმჯდომარე (რექტორი) გაუ-  
გზავნის სახალხო განათლების კომისარს.

30. უმაღლესი სასწავლებლის საბჭო თავის დადგენილებათა გან-  
ხორციელებისათვის მიმღინავე მუშაობისა, კონტროლისა და უსაღლეს  
სასწავლებლის ორგანოების ხელმძღვანელობისათვის, აირჩევს თავის  
წრიდან, პროფესორთა შორის, ერთი წლის ვადით რექტორს, ორ—  
პრორექტორს და გამგეობის წევრებს, რომელთა რიცხვი უნდა უდრი-  
დეს ფაკულტეტების რაოდენობას.

რექტორსა და გამგეობის წევრებს ამტკიცებს განათლების სახალ-  
ხო კომისარიატი; უკეთუ წარდგენილი კანდიდატები არ იქნენ დამტკი-  
ცებულნი, განათლების სახალხო კომისარიატს უფლება აქვს დანიშნოს  
თავისი კანდიდატები საბჭოს წევრთა შედეგნილობიდან.

31. რექტორი პირადი პასუხისმგებელია სახალხო განათლების კო-  
მისარიატის წინაშე; უკეთუ გამგეობის უმრავლესობა არ დაეთანხმება  
რექტორის განკარგულებას, გამგეობის უფლება აქვს განასაჩიროს იგი  
განათლების სახალხო კომისარიატის წინაშე, ხოლო რექტორის დად-  
გენილების სისრულეში მოყვანა არ უნდა შეასწოროს.

32. ერთი პროფესორთაგანი განაგებს სამეცნიერო-სასწავლო ნა-  
წილს, ხოლო მეორე—სტუდეტების საქმეს და სამეცნიერო-აღმინისტრა-  
ტორულ ნაწილს.

33. გამგეობა:

ა) ამტკიცებს ფაქულტეტების საბჭოსა, და პრეზიდიუმის ყველა დადგენილებას და უფლება აქვს გააუქმოს ან შესცვალოს იგინი;

ბ) დანიშნავს და დაითხოვს უმაღლესი სასწავლებელის აღმინის-ტრაციის ყველა მოსამსახურებს, ამსთანავე დაცულ უნდა იქნეს შრომის სახალხო კომისარიატის ასევებული კანონები;

**შენიშვნა.** ძირითადი ფუნდამენტალური პიბლიოთების გამგეს დანიშნავს უმაღლესი სასწავლებლის გამგეობა.

გ) შეაფგნს უმაღლესი სასწავლებლის ყოველწლიურ აღრიცხვას და უმაღლესი სასწავლებლის საბჭოს მიერ განხილვის შემდეგ, გაუგზავნის განათლების სახალხო კომისარიატს დასამტკიცებლად;

დ) აქვს ინიციატივის უფლება ყველა სამეცნიერო-სასწავლო საქმისათვის;

ე) უმაღლესი სასწავლებლის სახელით აწარმოებს ყოველგვარ მიწერ-მოწერას, როგორც განათლების სახალხო კომისარიატთან, ისე სხვა უწყებებთან და დაწესებულებებთან;

ვ) სისრულეში მოჰყავს უმაღლესი სასწავლებლის შესახებ განათლების სახალხო კომისარიატის და მის კანონიერ რწმუნებულ ორგანოების ყოველი დადგენილება.

34. უმაღლესი სასწავლებლის გამგეობას შეუძლიან მისი კომპეტენციის ყოველი საკითხის დეტალურად განხილვისათვის, შეჰქმნას მუდმივად მოქმედი კომისია, ან გამართოს დროებითი თათბირი.

35. საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის უმაღლესი სასწავლებლების დებულების განხორციელება დავვალება საქართველოს სოც. საბჭ. რესპ. განათლების სახალხო კომისარიატს.

36. დებულება ესე ძალაში შედის დღიდან მისი გამოქვეყნებისა.

საქ. სოც. საბჭ. რესპ. სახ. კომ. საპტ.

თავმჯდ მოადგ. მ. თრახელაშვილი.

განათლების სახალხო კომისარი დ. კანდელაკი.

სახალხო კომისართა საბჭოს მდივანი ალ. სალარიძე.

1923 წ. იანვრის 12.

ტფილისი—სასახლე.

გამოქვეყნებულია გაზ. „კომუნისტის“ მე-11 წ.-ში 1923 წ. იანვრის 16.

## 8

## დ ე პ რ ე ც ი

სახელმწიფო და კომუნალური ქონების, და აგრეთვე კოოპერატივთა ორგანიზაციების ქონების ცეცხლით მიყენებული ზარალისაგან სავალდებულო არა-ხაბეგრავი დაზღვევის შესახებ.

ამიერკავკასიის სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკის საკავშირო საბჭოს მიერ 1922 წლის სექტემბრის 16 თარიღით გამოცემული დეკრეტის თანახმად — ტფილისში სახელმწიფო დაზღვევის სამართველოს მოწყობის შესახებ — და იმ მიზნით, რათა კერძო პირთა და კოლექტივების სარგებლობაში მყოფი სახელმწიფო და კომუნალური ქონება, აგრეთვე კოოპერატივების კუთხით ქონება უზრუნველყოფილ იქნეს ცეცხლით მიყენებული ზარალისაგან, — საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭო აღენს:

1. ყველა კერძო პირი და კოლექტივი (არტელი, ამხანაგობა, საზოგადოება, კომუნა, კომუნატივი და სხვ.), ვის სარგებლობასა და განკარგულებაშიაც სიჯარო წესით ან, — იჯარის გარდა, — სხვა საფუძვლით არის სახელმწიფო და კომუნალური ქონება და საწარმო, მოვალეა ამა დეკრეტის გამოქვეყნების დღიდან ორი კვირის განმავლობაში, ხოლო კოოპერატივი — ერთი თვის განმავლობაში, — წარადგინოს რუსეთის ს. ფ. ს. რესპუბლიკის სახელმწიფო დაზღვევის ამიერკავკასიის ფედერაციისათვის დაარსებულ სამართველოში, ან მახლობელ სარაიონო დაწალვები სააგნენტოში სახელმწიფო დაზღვევის ორგანოს მიერ დაწესებული განცხადება ქვემოდ ჩამოთვლილ ქონებათა დაზღვევის შესახებ.

შენიშვნა. დასაზღვევად წარდგენილ უნდა იქნეს: ყველა ის სახელმწიფო და კომუნალური ქონება, რომელიც იჯარით, ან სარეცხველობის სხვა სახით არის გაცემული; ხოლო კოოპერატივთა ქონებიდან — შენობა და საწარმოს მოწყობილობა.

2. 1-ლ მუხლში იღნიშნული ვადის განმავლობაში სახელმწიფო და კომუნალური დაწესებულებანი, რომელთაც იჯარით, ან სარგებლობის სხვა სახით გაცემული აქვთ სახელმწიფო და კომუნალური ქონება და საწარმო, მოვალეა წარუდგინოს სამართველოს ან მახლობელ სარაიონო სააგნენტოს ნუსხა ზემოდ დასახელებულ ქონებათა და საწარმოსი, და თანაც აღნიშნას:

- მათი სახელწოდება, შედგენილობა და ადგილმდებარეობა;
- საფუძველი, რომლის ძალითაც გადაეცა კერძო პირებს და

კოლექტივებს (იჯარით თუ სხვა სახით) ხსენებული ქონება  
და საწარმო, აგრეთვე გადაცემის ვადა;

გ) ასეთი პირების და კოლექტივების სახელი და მისამართი.

3. მომავალში ამ სახელმწიფო და კოლექტიური ქონებისა და საწარმოს იჯარით ან სარგებლობის სხვა სახით გადაცემის დროს კერძო პირებისა და კოლექტივებისათვის, როგორც ის დაწესებულება, ვინც ამ ქონებას კერძო პირსა და კოლექტივს გადასცემს, ისე ის კერძო პირი და კოლექტივი, ვინც ამ ქონებას მიიღებს, მოვალე ქონების ან საწარმოს გადაცემის დღიდან ერთი კვირის განმვლობაში შესრულოს ამა დეკრეტის პირველი და მეორე მუხლის მოთხოვნილება.

4. დაზღვევა იმ ქონებისა, რომლის სახელმწიფო — არა-საბეგრავი — დაზღვევაც სავალდებულოა, ცერმონებს მოიჯარადრეთა და გამგეთა ხარჯით იმ შეფასების მიხედვით, რომელსაც დაადგენენ სახელმწიფო დაზღვევის ამიტრავების სამართველოს თარგანოები და თანამად სატარიფო წესებისა და განაცვეთისა.

**შენიშვნა.** უკეთე სისტემით ან კომუნალური დაწესებულება, რომელსაც ხელშეკრულება აქვს დაგებული მოიჯარადრესთან ან გამგესთან, ან ეს უკანასკნელი არ დაეთანხმებიან იმ შეფასებას, რომელსაც მოახდენენ სახელმწიფო დაზღვევის აღილობრივი ორგანოები, მათ შეუძლიანთ ამის შესახებ შეიტანონ განცხადება აღილობრივ დამზღვევ სამართველოში, ხოლო თუ ეს უკანასკნელი უარს იტყვის განცხადების დაქმაყოფილებაზე, — ასეთი განცხადება უნდა გაუგზავნონ სახელმწიფო დაზღვევის მთავარ სამართველოს სამოლოო გადასაწყვეტად, მაგრამ ასეთი განცხადების შეტანა ვერ შეაჩერებს დაზღვევას და ქონების მფლობელს არ ან თავისუფლებს სახელმწიფო დაზღვევის ორგანოების ყველა კონონიერი მოთხოვნილების შესრულებისაგან და დასაზღვევი პრემიის გადახდისაგან.

5. მოიჯარადრე და სხვა სახის გამგე იმ სამელმწიფო და კომუნალური ქონებისა და საწარმოსი, რომელიც დაზღვეულ უნდა იქნეს სახელმწიფო სავალდებულო არა — საბეგრავი დაზღვევის წესით, მოვალე მიუშვას ხახელმწიფო დაზღვევის წარმომადგენლები ხსენებული სახელმწიფო და კომუნალური ქონების და საწარმოს დასათვალიერებლად და გაუშიოს მათ სათანადო დამარტება; შეასრულოს და მონაწილეობა მიიღოს დაზღვევისათვის საჭირო ცველა დოკუმენტის და აქტის შედგნაში (აღწერილობისა, შეფასებისა, გეგმისა და სხვ.) და, საერთოდ, დაემორჩილოს სახელმწიფო სავალდებულო დაზღვევისათვის დადგენილ ცველა წესებს.

6. ამ დეკრეტის მოთხოვნილებათა დარღვევისათვის დამნაშავე თანამდებობის პირი, ან კერძო პირი, როგორც იჯარით ან სარგებლობის სხვა სახით ამღები სახელმწიფო ან კომუნალური ქონებისა, ისე ამ ქონების გამცემი, და აგრეთვე ის პირი და დაწესებულება, რომელიც თავის დროზე არ დააზღვეს ამა დეკრეტის ძალით სავალდებულო არა-საბეგრავი სახით დასაზღვევ ქონებას, — მიცემულ იქნება კანონიერ, — დაგვენილ წესისამებრ, — პასუხისმგებაზი, როგორც მთავრობის განკარგულებათა არ აღმსრულებელი. მათის გარდა, — ამ პირთ, იმ შემთხვევაში, უკეთ ცეცხლისაგან დაზარალდა სხენებული ქონება, რომელიც მათის მიზნებით არ იყო ღაზლვეული, გადაჭრებათ, — ურთიერთი პასუხისმგებლობით, — ის ზარალი, რაც სახელმწიფოს ან კომუნალურ მეურნეობის ცეცხლისაგან მოუვა.

7. ყოველი სარჩელი, რომელიც შეიძლება აღიძრას დაზღვევის სამპარტველოს წინააღმდეგ, — განხილულ უნდა იქნეს საქართველოს სოც. საბჭ. რესუბლიკის სასამართლო დაწესებულების მიერ; ამასთანავე სარჩელი შეტანილ უნდა იქნეს ამიერკავკასიის საფედერაციო სახელმწიფო დაზღვევის სამსართველოს და მისი აღვილობრივი კონტორებისა და აგნტების სამყოფელი აღვილის მიხედვით.

8. დეკრეტი ესე ძალაში შედის დღიდან მისი გამოქვეყნებისა.

საქ. სოც. საბჭ. რესპ. სახ. კომ. საბჭოს  
თავმჯდ. მოაღვილე გ. ორახელაშვილი.

ა.-კ. ფედერაციის ფინანსთა სახ. კომის.

რწმუნ. საქართველოში ბ. ბიბინეიშვილი.

სახ. კომისართა საბჭოს მდივანი ალ. სალარიძე.

1923 წ. იანვრის 13.

ტფილისი — სასახლე.

ვამოქვეყნებულია გაზ. „კომუნისტის“ მე-12 პ-ზი 1923 წ. იანვრის 17.

9.

## დ ე პ რ ე ტ ი

შრომის-უნარის დროებითი დაკარგვის შემთხვევაში მუშა-მოსამსახურეთა შრომის-უნარის უქონლობის პირველი სამი დღის განმავლობაში სოციალური უზრუნველყოფის თაობაზე—ამიერკავკასიის სოც. საბჭ. რესპ. საკავშირო საბჭოს მიერ 1922 წლის დეკემბრის 30-ს გამოცემული დეკრეტის საყოფელთაო ცნობისა და აღსრულებისათვის გამოქვეყნების შესახებ.

ამასთანავე საყოფელთაო ცნობისა და აღსრულებისათვის გამოქვეყნდება ამიერკავკასიის სოც. საბჭ. რესპ. საკავშირო საბჭოს დეკრეტი—1922 წლის დეკემბრის 30-ს თარიღითა—შრომის-უნარის დროებითი დაკარგვის შემთხვევაში მუშა-მოსამსახურეთა შრომის-უნარის უქონლობის პირველი სამი დღის განმავლობაში უზრუნველყოფის შესახებ.

საქ. სოც. საბჭ. რესპ. სახ. კომ. საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე მ. ორახელაშვილი.

სახ. კომისართა საბჭოს მდივნი ალ. სალარიძე.

1923 წ. იანვრის 15.

## დ ე პ რ ე ტ ი

ამიერკავკასიის სოც. საბჭ. რესპ. საკავშირო საბჭოსი.

შრომის-უნარის დროებითი დაკარგვის შემთხვევაში მუშა-მოსამსახურეთა შრომის-უნარის უქონლობის შირველი სამი დღის განმავლობაში სოციალური უზრუნველყოფის შესახებ.

შრომის-უნარის დროებითი დაკარგვის შემთხვევაში მუშა-მოსამსახურეთა სოციალური უზრუნველყოფისა და დამატებითი სხვაგვარუზრუნველყოფის შესახებ—საკავშირო საბჭოს მიერ ამა წლის აგვისტოს 23-ის თარიღით გამოცემულ დეკრეტის მე-ც-ე მუხლის განსავითარებლად, საკავშირო საბჭომ დაადგინა:

1. განთავისუფლებულ იქნეს სოციალური დაზღვევის ორგანოები მუშა-შორისამსახურეთათვის შრომის უნარის დროებითი დაკარგვის შემთხვევაში დახმარების გაცემისაგან შრომის უნარის დაკარგვის პირველი სამი დღის განმავლობაში.

2. ოოგორც კერძო, ისე სახელმწიფო წარმოებისა, დაწესებულებისა და მეურნეობის მუშა-მოსამასახურებათვეს უზრუნველყოს მირველი სამი ღლის განმავლობაში დახმარების გაშევა დაკისროს უშუალოდ წარმოების, დაწესებულების და მეურნეობის მუშა-მოსამასახურეთა სამსახურის აღვილის მიხედვით.

ამიერკავკასიის სოც. საბჭ. რესპ. საკავშირო საბჭოს  
თავმჯდომარე შ. ელიაფა.

ამიერკავკასიის სოც. საბჭ. რესპ. საკავშირო საბჭოს მდივნის  
მოადგილე გ. ორლოვ-მალახოვი.

1922 წ. დეკემბრის 30.

გამოქვეყნებულია გაზ. „კომუნისტის“ მე-13 წე 1923 წ. იანვრის 18.

## 10.

### დ ე პ რ ე ტ ი

დამზღვევ საბჭოთა გაუქმების თაობაზე—ამიერკავკასიის სოც. საბჭ. რესპუბლიკის საკავშირო საბჭოს მიერ 1922 წლის დეკემბრის 30-ს გამოცემული დეკრეტის საყოველთაო ცნობისა და აღსრულებისა-თვის გამოქვეყნების შესახებ.

ამასთანავე საყოველთაო ცნობისა და აღსრულებისათვის გამოქვეყნ-დება—ამიერკავკასიის სოც. საბჭ. რესპ. საკავშირო საბჭოს დეკრეტი—, 1922 წლის დეკემბრის 30 თარილითა—დამზღვევ საბჭოთა გაუქმების შესახებ.

საქ. სოც. საბჭ. რესპ. სახ. კომის.

საბჭ. თავმჯდ. მოად. გ. ორაბელაშვილი.

სახ. კომ. საბჭოს მდივანი ალ. სალარიძე.

1923 წ. იანვრის 15.

### დ ე პ რ ე ტ ი

ამიერკავკასიის სოც. საბჭ. რესპ. საკავშირო საბჭოსი.

დამზღვევ საბჭოთა გაუქმების შესახებ.

უზრუნველყოს დაქირავებულ პირთა სოციალური დაზღვევის შესახებ— საკავშირო საბჭოს მიერ 1922 წლის აგვისტოს 23-ს თარილით გამო-ცემულ დეკრეტის მე-4-ე და მე-5-ოე მუხ. შესაცვლელად საკავშირო საბჭომ დაადგინა:

1. გაუქმებული იქნეს 1923 წლის იანვრის 1-დან ამიერკავკასიის დამზღვევი საბჭო და რესპუბლიკური ბის დამზღვევი საბჭოები.

2. ამიერკავკასიის შრომის სახალხო კომისარიატისა და მისი რწმუნებულთა სამართველოების შედგნილობიდან გამოყოფილ იქნეს სოციალური დაზღვევის განყოფილებანი.

3. დამზღვევ საბჭოთა მთელი პარატი, მათი ფუნქცია და სახსარი გადაეცეს სათანადო სოციალური დაზღვევის განყოფილებას.

4. მაზრებში სოციალური დაზღვევის განყოფილებათა ფუნქცია დაეკისრება შრომის სამაზრო განყოფილებას, ხოლო სადაც იგი არ არსებობს, შრომის სახალხო კომისარიატის სარაიონო რწმუნებულს.

5. სოციალური დაზღვევის განყოფილებათა შესანახი ხარჯების გაწევა, როგორც სამეურნეო, ისე საორგანიზაციოსი, სწარმოებს სათადარიგო ფონდიდან იმ ხაზთაღრიცხვით, რომელსაც დაამტკიცებს ამიერკავკასიის შრომის სახალხო კომისარიატი და მისი რწმუნებულები.

ამიერკავკასიის სოც. საბჭ. რესპ. საკავ-

შირო საბჭოს თავმჯდომარე შ. ელიაშვ.

ამიერკავკასიის სოც. საბჭ. რესპ. საკავშ.

საბჭ. მდინარის მოადგილე ვ. ორლოვ-მალახოვი.

1922 წ. დეკემბრის 30.

გამოქვეყნებულია გაზ. „კომუნისტის“ №-ში 1923 წ. იანვრის 18-

## 11.

### დ ე კ რ ე ტ ი

სოციალური დაზღვევისაგან თავის განრიდებისა და დაზღვევის გადახახადის გაუღებლობისათვის გადახდებინების თაობაზე — ამიერკავკასიის სოც. საბჭ. რესპუბლიკის საკავშირო საბჭოს მიერ 1922 წლის დეკემბრის 30-ს გამოცემული დეკრეტის საყოველთაოდ ცნობისა და აღსრულებისათვის გამოქვეყნების შესახებ.

ამასთანავე საყოველთაოდ ცნობისა და აღსრულებისათვის გამოქეყნდება — ამიერკავკასიის სოც. საბჭ. რესპუბლიკის საკავშირო საბჭოს დეკრეტი — 1922 წლის დეკემბრის 30-ს თარიღითა — სოციალური დაზღვევისაგან თავის განრიდებისა და დაზღვევის გადასახადის გაუღებლობისათვის გადახდევინების შესახებ.

საქართ. სოც. საბჭ. რესპ. სახ. კომ. საბჭოს თავმჯდომარის

მოადგილე მ. ორახელაშვილი.

სახალხო კომისართა საბჭოს მდინარი ალ. სალაჩიძე.

1923 წ. იანვრის 15.

## დ ე პ რ ე ტ ი

აშიერ-კავკასიის სოც. საბჭ. რესპ. საკავშირო საბჭოსი.

სოციალური დაზღვევისაგან თავის განრადებისა და დაზღვევის გადასახადის გაუდებლობისათვის გადასდევინების შესახებ.

სოციალური დაზღვევის ფონდის შესახებ — საკავშირო საბჭოს მიერ 1922 წლის აგვისტოს 23-ის თარიღით გამოცემული დეკრეტის განსავითარებლად საკავშირო საბჭომ დაადგინა:

1. როგორც კერძო, ისე სახელმწიფო წარმოებას, დაწესებულებას ან მუსურნეობას თავის დროზე სოციალური დაზღვევის გადასახადის გაუდებლობისათვის გადაზღება შემდეგი რაოდენობის საურავი: ერთი თვეით არა უმეტეს გადაზღვების გადასახადისათვის — 10 პროც., ერთი თვეითან ორ თვემდე — 25 პროც., ორიდან სამ თვემდე — 50 პროც. და სამი თვის ზევის ყოველი შემდეგი თვისათვის — 25 პროც. თვეში, ვადაზე გადასახადის საერთო ჯამიდან.

შენიშვნა. ვადაზე გაუდებელ გადასახადის გადაზღვეინებისას, გარდა საურავისა, გადახდევინებულ იქნება ფულის ნიშნების კურსის განსხვავებაც.

2. მეპარუონე (აღმინისტრაცია) სოციალური დაზღვევისაგან წარმოების, დაწესებულებისა და მუსურნეობის თავის განრიცების შემთხვევაში დაჯარიმებულ იქნება სოციალური დაზღვევის სარესპუბლიკურ ფონდის სასარგებლოდ გადასახადისაგან თავის წანრიცების დროის კუთხით ჯამის ათქვეცი რაოდენობით ან პირადი თავისუფლების აღკვეთით 6 თვემდე.

3. მეორე მუხლში აღნიშნული პირი მისი წარმოებისა, დაწესებულებისა და მეურნეობისაგან კუთხით სოციალური დაზღვევის გადასახადის გამოანგარიშებასთან დაკავშირებული ყალბი ცნობების მიწოდების შემთხვევაში დაჯარიმებულ იქნება პირველად სამუშაო სასყიდლის თვიური საშუალო 10-კეცი რაოდენობით ან თავისუფლების აღკვეთით ერთ თვემდე, ხოლო განმეორებითი შემთხვევაში — სამუშაო სასყიდლის რაოდენობით ან თავისუფლების აღკვეთით 6 თვეიდან 1 წლამდე.

4. თავის დროზე გაუდებელი დაზღვევის გადასახადი ზემოხსენებულ მუხლებში აღნიშნულ ჯარიმის დამატებით გადაზღვეინებულ იქნება უდავო სახაზინო გადასახადის გადაზღვეინების წესით სოციალური დაზღვევის ორგანოების მიწერილობისამებრ მილიციის ადგილობრივი ორგანოების მიერ.

5. აღნიშნული გადაზღვეინება გადატანილ იქნება წარმოებისა,

დაწესებულებისა და მეურნეობის კუთხით ქონებაზე, მოწყობილობაზე და წარმოების პროცესებზე, ფულადი გირაოზე და იმ ფულზე, რომელიც მათ ერგებათ მესამე პირისაგან.

6. იმ შემთხვევაში, უკეთუ წარმოება გადაეცემა სხვა მეპატრონეს ან გადაკეთებულ (რეორგანიზაცია) იქნება დაწესებულება ან მეურნეობა, — დაზღვევის გადასახალის ნარჩენისა და დაცებული ჯარიმის გადახდა დეკისრება ახალ წარმოებას, დაწესებულებას ან მეურნეობას.

ამიერკავკასიის სოც. საბჭ. რესპ. საკავშირო საბჭოს  
თავმჯდომარე შ. ელიავა.

ამიერკავკასიის სოც. საბჭ. რესპ. საკავშირო საბჭოს მდივნის  
მოადგილე ორაოვ-მალახოვი.

1922 წ. დეკემბრის 30.

გამოქვეყნებულია გაზ. „კომუნისტის“ ვე-13 ჸ.-ში 1923 წ. იანვრის 18.

## 12.

### დ ე პ რ ე ტ ი

დაზღვევის ტარიფის ხარისხთა განაკვეთის თაობაზე — ამიერკავკასიის სოც. საბჭ. რესპ. საკავშირო საბჭოს მიერ 1922 წლის დეკემბრის 8-ს გამოცემული დეკრეტის საყოველთაო ცნობისა და აღსრულებასთავის გამოქვეყნების შესახებ.

ამასთანავე საყოველთაო ცნობისა და აღსრულებისათვის გამოქვეყნდება ამერკავკასიის სოც. საბჭ. რესპ. საკავშირო საბჭოს დეკრეტი — 1922 წლის დეკემბრის 8-ს თარიღით — დაზღვევის ტარიფის ხარისხთა განაკვეთის შესახებ.

საქ. სოც. საბჭ. რესპ. სახ. კომის.  
საბჭ. თავმჯდ. მთად. მ. ორახელაშვილი.

სახ. კომ. საბჭოს მდივანი ალ. სალარიძე.

1923 წ. იანვრის 15.

### დ ე პ რ ე ტ ი

ამიერკავკასიის სოც. საბჭ. რესპ. საკავშირო საბჭოს.

დაზღვევის ტარიფის ხარისხთა განაკვეთის შესახებ.

სოციალური დაზღვევის ფონდის შესახებ — საკავშირო საბჭოს მიერ 1922 წლის აგვისტოს 23-ის თარიღით გამოცემული დეკრეტის განსაკითარებლად საკავშირო საბჭომ დაადგინა:

დაწესებულ იქნეს ამიტრკავკასიის ცველა რესპუბლიკებში სოციალური დაზღვევის გადასახადის შემდევი განაკვეთი:

1. კერძო, კოოპერატიულ, საზოგადოებრივ საკონცესიო, საიჯარო წარმოებისა, დაწესებულებისა და მეურნეობისა და იგრძელები იმ სახელმწიფო წარმოებისა და დაწესებულებისათვის, რომელიც მთლიანად ან ნაწილობრივ გადაყავანილია სამეურნეო ანგარიშზე, ანდა მიწერილია ადგილობრივ სახსარზე:

ა) დროებითი უნარის უქონლობისა, დედობისა და დამატებით სხვაგვარ უზრუნველყოფისათვის: იმ წარმოებისა, დაწესებულებისა და მეურნეობისათვის, რომელიც მოსალოდნელ უბედურების საშიშროებასა და საენებლობის მიხედვით მიეკუთვნება 1-ლ ხარისხს—სამუშაო სასყიდლის 6 პროც., მე-2-რე ხარისხ.—7 პროც., მე-3-ე ხარისხ.—8 პროც. და მე-4-ე ხარისხ.—9 პროც.

ბ) ინვენტორებისა და ღაზღვეულთა სიკედილის შემთხვევაში მათ ოჯახის წევრთა უზრუნველსაყოფად: იმ წარმოებისა და დაწესებულებისათვის, რომელიც მიეკუთვნება მოსალოდნელ უბედურების საშიშროებისა და მავნებლობის მიხედვით 1-ლ ხარისხ.—სამუშაო სასყიდლის —7 პროც., მე-2-ე ხარისხ.—8 პროც., მე-3-ე ხარისხ.—9 პროც. და მე-4-ე ხარისხ.—10 პროც.

გ) უმუშევრობისათვის: წარმოებისა, დაწესებულებისა და მეურნეობისათვის დამოუკიდებლად მოსალოდნელ უბედურების საშიშროებისა და მავნებლობის მიხედვით ამა თუ იმ ხარისხის მიეკუთვნებისა—სამუშაო სასყიდლის  $2\frac{1}{2}$  პროც.

დ) სამკურნალო დამარტებისათვის: იმ წარმოებისა, დაწესებულებისა და მეურნეობისათვის, რომელიც მოსალოდნელ უბედურების საშიშროებისა და მავნებლობის მიხედვით მიეკუთვნება 1-ლ ხარისხს—სამუშაო სასყიდლის  $5\frac{1}{2}$  პრ., მე-2-ე ხარისხ.—6 პროც., მე-3-ე ხარისხ.— $6\frac{1}{2}$  პროც. და მე-4-ე ხარისხ.—7 პროც.

2. აღმინისტრატიული და საბჭოთა დაწესებულებისათვის, რომელიც იმყოფება სახელმწიფო ბიუჯეტზე (სახალხო კომისარიატები და მათი ორგანოები ადგილობრივ):

ა) დროებითი უნარის უქონლობისა, დედობისა და დამატებითი სხვაგვარ უზრუნველყოფისათვის— $5\frac{1}{2}$  პროც.

ბ) ინვალიდობისა და ღაზღვეულთა სიკედილის შემთხვევაში მათი ოჯახის წევრთა უზრუნველსაყოფად— $4\frac{1}{2}$  პროც.

გ) უმუშევრობისათვის—2 პროც.

დ) სამკურნალო დამარტებისათვის—2 პროც.

3. იმ წარმოებისათვის, რომელიც იმყოფება სახელმწიფო ბიუჯეტზე:

ა) შრომის უნარის დროებით უქონლობისა, დელობისა და დამატებითი სხვაგვარ უზრუნველყოფისათვის— $6\frac{1}{2}$  პროც.

ბ) ინვალიდობისა და დაზღვეულთა სიკეთილის შემთხვევაში მათი ოჯახის წევრთა უზრუნველსაყოფად— $5\frac{1}{2}$  პროც.

გ) უმუშევრობისათვის—2 პროც.

დ) სამკურნალო დამარტებისათვის—3 პროც.

4. სოციალური დაზღვევის გადასახადის აღნიშნული განაკვეთები ძალაში შედის 1923 წლის იანვრის 1-დან, ხოლო ამ ვადამდე ძალაში ჩატება ამერიკავასიის ცალკე რესპუბლიკებში დაწესებული განაკვეთი.

5. ამერიკავასიის შრომის სახალხო კომისარიატს დაევალება შეიმუშავოს გადასახადის აკრეფისათვის სათანადო ინსტრუქცია.

ამერიკავასიის სოც. საბჭ. რესპ. საკავშ.

საბჭ. თვემჯ. მოგალ. დრ. აღმასრ. გ. ბახუტოვი.

ამერიკავასიის სოც. საბჭ. რესპ. საკავშ.

საბჭ. მდივნის მოადგილე გ. ორლოვ-ჩალახოვი.

გამოქვეყნებულია გაზ. „კომუნისტის“ მე-14 №-ში 1923 წ. იანვრის 14-

### 13.

## დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა № 70

სასკოლო გადასახადის თაობაზე გამოცემული დეკრეტის შეცვლის შესახებ.

სასკოლო გადასახადის შესახებ—სახალხო კომისართა საბჭოს მიერ 1922 წლის დეკემბრის 20-ს თარიღითა და 15 №-ით გამოცემული დეკრეტის მე-3 მუხ. „ბ“ და „გ“ პუნქტებისა და მე-4 მუხ. შესაცვლელად საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭო ადგნა:

1. მუხ. 3. გადასახადისაგან განთავისუფლებული არიან:

ბ) პროფესიონალური კავშირის ის წევრნი, რომელთა სამუშაო სასკოლელი 1922 წლ. ნოემბერში არ აღმატებოდა: სატარიფო ქსელის 1-ლ ზოლით 3.000.000 მან., მე-2-ე ზოლით—2.700.000 მან., მე-3-ე ზოლით—2.400.000 მან. და მე-4-ე ზოლით—2.100.000 მან.

გ) მოსწავლენი, რომელთა დამოუკიდებელი სამუშაო სასკო-

დელი 1922 წლის ნოემბერში არ აღმატებოდა წინა პუნქტზე აღნიშნული სამუშაო სასყიდლის რაოდენობას.

მუხ. 4. გადასახადის გამოებინი სამ ჯგუფად განიყოფებიან:

I. პროფესიონალურ კავშირთა ის წევრნი, რომელთა სამუშაო სასყიდლი 1922 წლ. ნოემბერში აღმატებოდა „ბ“ პუნქტზე აღნიშნულ სამუშაო სასყიდლის განაკვეთს.

II. გლობინი სოფლად და

III. ყველა დანარჩენი მოქალაქენი სოფლად და ქალაქად.

2. დადგენილება ესე ძალაში შედის დღიდან მისი გამოქვეყნებისა.  
საქ. სოც. საბჭ. რესპ. სახ. კომის. საბჭ. თავმჯდომარის  
მოადგილე მ. ორახელაშვილი.

სახ. კომ. საბჭოს მდივანი ალ. სალარიძე.

1923 წ. იანვრის 16.

ტფილისი—სასახლე.

გამოქვეყნებულია გამ. „კომუნისტის“ მე-14 ქ-ში 1923 წ. იანვრის 13.

## 14.

### დადგენილება № 71.

ამიერკავკასიის სოც. საბჭ. რესპ. საკავშირო საბჭოს 1922 წლ. 30 დეკემბრის დადგენილება № 70-ის საყოველთაო ცნობად გამოცხადების და აღსრულებისათვის.

ამასთანავე ცხადდება საყოველთაო ცნობად და აღსასრულებლად ამიერკავკასიის სოც. საბჭ. რესპ. საკავშირო საბჭოს 1922 წ. 30 დეკემბრის დადგენილება № 70.

საქ. სოც. საბჭ. რესპ. სახ. კომ. საბჭოს  
თავმჯდ. მოადგილე მ. ორახელაშვილი.

სახ. კომისართა საბჭოს მდივანი ალ. სალარიძე.

1923 წ. იანვრის 25.

## დადგენილება № 70

ამიერკავკ. სოც. საბჭ. რესპ. საკავ. საბჭოსი.

1. სრულიად რსუსთის ცენტრალური ორგანიზაციის ცენტრულ კომიტეტის მიერ 1922 წლ. 30 დეკემბერს დამტკიცებული რ. ს. ფ. ს. რ. შრომის კანონის კოდექსის მოქმედება ვრცელდება ამიერკავკასიის ფედერაციის მთელ ტერიტორიაზე. უქმდება შრომის შესახებ წინეთ გამოცემული ყველა დადგენილებანი, რომელიც ეწინაღმდეგება შრომის კანონთა კოდექსს.

2. შრომის სახალხო კომისარიატს ევალება დაუყონებლივ წარმომადგენის გამოხატვებულიად საკავშირო საბჭოს შრომის კანონდებულებთა ნუსხა, რომელიც დარჩი ძალაში შრომის კანონთა კოდექსის ძალაში შესკლისას.

ამიერკავკასიის სოც. საბჭ. რესპ. საკავ-  
შირო საბჭოს თავმჯდომარე შ. ელიავა.

ამიერკავკასიის სოც. საბჭ. რესპ. საკავ-  
შირო საბჭოს მდინარე მთად. მ. ორლოვ-მალახოვი.

1922 წ. დეკემბრის 30.

გამოქვეყნებულია გაზ. „კომუნისტის“ მე-19 ქ-ზი 1923 წ. იანვრის 27.

## 15.

## დადგენილება № 72

სათამაშო ქალალდის (ქარტის) გამოცემის ზესახებ.

1. ნება მიეცეს ამიერკავ. ფინანსთა სახალხო კომისარიატის რწმუნებულს საქართველოში გამოსცეს სახმარებლად სათამაშო ქალალდი (ქარტი), ქართული ტიპიური სურათებით.

2. აკრძალულ იქნება უცხოეთში (არა-საბჭოთა რესპუბლიკაში) დამზადებული სათამაშო ქალალდის გაყიდვა საქართველოს საშღვრებში.

3. პირველ ზებულში აღნიშნული სათამაშო ქალალდის მთელი წმინდა შემოსავალი მოხმარდეს საქართველოს რესპუბლიკის კულტურულ მიწნებს.

4. დადგენილება ესე ძალაში შედის დღიდან მისი გამოქვეყნებისა.

საქ. სოც. საბჭ. რესპ. სახ. კომ. საბჭ. თავმჯდომარის  
მთადგილე მ. ორახელაშვილი.

სახ. კომისართა საბჭოს მდინარე ალ. ხალარიძე.

1923 წ. იანვრის 30.

ტუილისი—სასახლე.

გამოქვეყნებულია გაზ. „კომუნისტის“ მე 23 ქ-ზი 1923 წ. ოქტომბრის 1-

## 16.

### დადგენილება № 73

საგანგებო საბინაო სამეცნის მოწყობის შესახებ.

საბინაო კრიზისის შესამსუბუქებლად, რომელმაც უკანასკნელ ხანებში მიიღო ტფილისში მეტად მწვავე ბასიათი, საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭო აღენს:

1. სახელმწიფო დაწესებულებათა და აგრეთვე საბჭოთა, საზოგადოებრივ და სხვა საქართველოთა სადგომების შემჭიდროებისათვის დაარსებულ იქნეს საქართველოს სახალხო კომისართა საბჭოსთან საგანგებო საბინაო კომისია, ამბ. უოფიკაშვილისა, ყურულოვისა და ივანოვ-კავკასიის შედგენილობით.

2. ყველა ერთხმად მიღებული გადაწყვეტილება აღნიშნული საგანგებო საბინაო სამეცნისა არ განსაჩივრდება და მოყვანილ უნდა იქნეს სისრულეში 48 საათის განვალობაში.

3. კომისია შეუდგეს მუშაობას დაუყოვნებლივ.

საქ. სოც. საბჭ. რესპ. სახ. კომის.

საბჭ. თავმჯდ. მოადგ. მ. ორახელაშვილი.

სახ. კომ. საბჭოს მდივანი ალ. სალარიძე.

1923 წ. იანვრის 30.

ტფილისი—სასახლე.

გამოქვეყნებულია გაზ. „კომუნისტის“ გე-23 №-ში 1923 წ. თებერვლის 1.

## 17.

### დადგენილება № 74

ტყის სარგებლობისა და ტყეების გაჩეხის შესახებ.

საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭო აღენს:

1. საქართველოს ტყეების ყოველგვარი სარგებლობა შეიძლება ბარითებით, რომელსაც გასცემს აღვილობრიცი სატყეო დოინისტრაცია.

2. ტყის დაცვისა და მოვლის საქმეში ჩარეულ იქნეს აღგილო-  
ბრივი მოსახლეობა—სამისოდ განსაკუთრებული არჩეული პირების  
სახით.

3. ტყის უკანონოდ სარგებლობისათვის დამწაშავე პირი პასუხს  
აგებს საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სისხლის სამართლის  
კოდექსის 102 მუხ. მიხედვით.

4. მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატს ნება ეძლევა გამოსცეს  
სათანადო ინსტრუქცია ტყის დაცვისა და მოვლის საქმეში აღგილო-  
ბრივი მოსახლეობის ჩესის შესახებ (მუხ. 2).

5. მოეხსნათ ფულადი ან სხვა რამ გადასახადი, აღმინისტრატიუ-  
ლისა ან სასამართლოს წესით დადგებული ტყის გაჩეხისათვის, უკეთუ  
ეს ჩადენილია ამა დადგენილების გამოქვეყნებამდე,—იმ პირთ, რომელ-  
თაც ეს გაჩეხა ჩაუდენიათ სათეს-სახნავის სიერცის გასაღილებლად ან  
თავისი პირადი ოჯახობრივი საქიროებისათვის.

6. ცველა ამგვარი საქმე, რომლის წარმოებაც ჯერ დამთვრებული  
არ არის აღმინისტრატიულ ან სასამართლოს დაწესებულებაში,—მოს-  
პობილ იქნეს.

**შენიშვნა.** ამა დადგენილების მე-5 და მე-6 მუხლის მოქმე-  
დება არა ვრცელდება იმ პირებზე, რომელთაც გაჩეხა ვაჭრობის  
მიზნით ჩაუდენიათ.

7. დადგენილება ესე ძალაში შედის დღიდან მისი გამოქვეყნე-  
ბისა.

საქ. სოც. საბჭ. რესპ. სახ. კომ. საბჭოს თავმჯდომარის  
მოაღილე მ. ორახელაშვილი.

მიწათმოქმედების სახ. კომისარი სტურუა.

სახ. კომისართა საბჭოს მდივანი ალ. სალარიძე.

1923 წ. იანვრის 31.

ტფილისი—სასახლე.

გამოქვეყნებულია გაზ. „კომუნისტის“ მე-28 №-ში 1923 წ. ოქტომბრის 7.

## 18.

### დადგენილება № 75

უცხოელთა თაობაზე საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის ოფიციული კომიტეტის მიერ 64 წ.-ით გამოცემული დეკრეტის მე-16 მუხლის შეცვლის შესახებ.

ქალ. ქიათურაში ბინების კრიზისის გამო, რაც ზესტატონიდან სამასრო აღმასრულებელი კომიტეტის ქიათურაში გადატანას შეუძლებლად ჰქონდა, საქართველოს სოც. საბჭ. რესპ. სახალხო კომისართა საბჭო საქართველოს სოც. საბჭ. რესპ. რევოლუციონური კომიტეტის მიერ 1921 წლ. აგვისტოს 8-ს თარიღით და 64 წ.-ით გამოცემული დეკრეტის მე-16 მუხ. შესაცვლელად აღვენს:

1. შემჩიდროებულ იქნეს ქიათურაში მცხოვრებ უცხოელთა ბინები იმ სამინაო ნორმის მიხედვით, რომელიც გათვალისწინებულია საქართველოს სახალხო კომისართა საბჭოს მიერ 1922 წლ. ივნისის 16-ს თარიღითა და მე-9 წ.-ით გამოცემული დეკრეტით—საქართველოს რესპუბლიკის მოქალაქეთათვის.

2. დელგენილება ესე ძალაში შედის დღიდან მისი გამოქვეყნებისა. საქ. სოც. საბჭ. რესპ. სახ. კომ. საბჭ. თავმჯდ. მოადგ. მ. ორახელაშვილი.

შინაგან საქმეთა სახალხო კომისარი გეგევაორი.

სახ. კომისართა საბჭოს მდივანი ალ. სალარიძე.

1923 წ. იანვრის 31.  
ტერილისა—სასახლე.

ვამოქვეყნებულია გაზ. „კომიტისტის“ მე-28 წ.-ში 1923 წ. ოფიციულის 7.

## 19.

### დადგენილება № 76

ჯიშიანი ცხენის ჯილაგის დაცვის შესახებ.

სთვლის რა ჯიშიანი ცხენის მოშენებისა და მეცხენეობის საქმის წესიერად დაყენებას რესპუბლიკის სახელმწიფო მეურნეობის ერთ-ერთ ვადაუდებელ საქმედ, საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭო აღვენს:

1. ჯიშიანი ცხენის მოშენების სახელმწიფო ორგანოს უფლების ცხენისაგან დამძეკებული ცველა ფაშატი ცხენი განთავისუფლებულია ყოველგვრი რეკვიზიტისა და ჩამორჩმევისაგან, დროებითი სარგებლობისათვის, გაკანონდისა და კვიცის ძრესაწოვების პერიოდში.

2. ჯიშიანი ცხენის მოშენების სახელმწიფო ორგანოს სამმართველო მოახდენს ამა დადგენილების პარველ მუხლში აღნიშნული ფაშატი ცხენების რეგისტრაციას და გასცემს მათი დაცვის მოწმობებს.

3. ფაშატი ცხენის რეკვიზიტისა, სამუშაოდ გაყვანისა და აგრძელვე დროებითი ჩამორჩმევისათვის სამგზავროდ ან სამუშაოდ, უკეთუ ჯიშიანი ცხენის მოშენების სახელმწიფო ორგანოს სამმართველოს მიერ გამოცემული იქნება ამ ცხენის დაცვის მოწმობა, დამაშავე მიცემა რევოლუციონური ტრიბუნალის სამართალში.

4. ყველა აღმარტოლებელი კომიტეტი და მილიციის ორგანო მოვალეა დამმარტება გაუშიოს ჯიშიან ცხენის მოშენების სახელმწიფო ორგანოს სამმართველოს დაწესებულებათ და თანამშრომელთ ამა დადგენილების დამრღვევთა აღმოჩენაში და მთი პასუხისმგებაში მიცემისათვის.

5. დადგენილება ესე ძალაში შედის დღიდან მისი გამოქვეყნებისას საქ. სოც. საბჭ. რესპ. სახ. კომ. საბჭოს თვემჯდ. შ. ელიავა.

მიწათმოქმედების სახ. კომისარი სტურუა.

სახ. კომისართა საბჭოს მდივანი ალ. სალარიძე.

1923 წ. ოქტომბერის 8.

ტფილისი—სასახლე.

გამოქვეყნებულია გაზ. „კომუნისტის“ №-36 პ-ზი 1923 წ. ოქტომბერის 16-.

## 20.

### დ ა დ გ ე ნ ი ლ ე გ ა № 77

საქართველოს სახალხო კომისართა საბჭოს მიერ 1922 წ. ნოემბერის 8-ს თარიღით და 57 პ-ით გამოცემული დადგენილების შეცვლის შესახებ.

საქართველოს სახალხო კომისართა საბჭოს მიერ 1922 წ. ნოემბერის 8-ს თარიღით და 57 პ-ით უსასყიდლოდ გადასული ქონების შეფარგის წესის შესახებ გამოცემული დადგენილების შესაცვლელად, საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. ბანკში დაგირავებული უსასყიდლოთ გადასული ქალაქში მდებარების კინონიერ შეფასებად ჩაითვალის ბანკის შეფასება, გადიდებული 30 ათასჯერ.

2. ქალაქში მდებარე იმ სახლების მიმართ, რომელთათვისაც პატი უკვე აღნისასული ან გადაცდილია დადგენილება № 57-ს თანახმად, ბაზის ხელახლი აღნისასვა ან შეტანილი თანხის დაბრუნება არ შეიძლება.

3. დადგენილება წევ ძალაში შედის 1923 წ. იანვრის 1-დან.

საქ. სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოს  
თავმჯდომარე შ. ელიაგა.

სახალხო კომისართა საბჭოს მდივანი აღ. სალარიძე.

1923 წ. ოქტომბრის 8.

ტფილისი—სასახლე.

გამოქვეყნებულია გაზ. „კომუნისტის“ №-ში 1923 წ.  
ოქტომბრის 16.

## 21.

### დადგენილება № 78

საქართველოს რევოლუციონური კომიტეტის მიერ 1921 წლ. მაისის 28-ს თარიღითა და 53 №-ით გამოცემული ბრძანების გაუქმებისათვის.

საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭო იღებს:

რაღაც საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სამხედრო და საზღვრო სახალხო კომისარიატი გადაეთვებულ იქნა საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სამხედრო კომისარიატიად ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკის სამხედრო და საზღვრო სახალხო კომისარიატისა და ქვემდებარებით, საქართველოს რევოლუციონური კომიტეტის მიერ 1921 წლის მაისის 28-ს თარიღითა და 53 №-ით გამოცემული ბრძანება გაუქმებულ იქნება.

საქ. სოც. საბჭ. რესპ. სახ. კომ.

საბჭოს თავმჯდომარე შ. ელიაგა.

სახ. კომ. საბჭოს მდივანი აღ. სალარიძე.

1923 წ. ოქტომბრის 8.

ტფილისი—სასახლე.

გამოქვეყნებულია გაზ. „კომუნისტის“ №-ში 1923 წ.  
ოქტომბრის 17.

22.

## დადგენილება № 79

საქართველოს წითელი ჯვრის საზოგადოების საშუალებათა გახა-  
ძლიერებლად სპეციალური გადასახადის დაწესების შესახებ.

საქართველოს წითელი ჯვრის საზოგადოების საშუალებათა გაძლიე-  
რებისათვის საქართველოს სოკ. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა  
საბჭო აღვენს:

1. დაწესებულ იქნეს განსაკუთრებული დამატებითი გადასახადი  
სახელწოდებით: „საქ. წითელი ჯვრის სპეციალური საშუალებანი“.

ა) ყველა თეატრისა, კინოსა და სხვა ფისიანი საჯარო სანაბავისა,  
გასართობისა და კრებების ბილეთებზე — ბილეთის ლირებულების  
 $5\%$ -ის რაოდენობით.

ბ) ლოტოს თამაშით მოგებულ თანხაზე ამ თანხის  $5\%$ -ის რაო-  
დენობით და

გ) ყაველგვარ სასამართლო აქტების საღერბო გადასახადის თან-  
ხაზე ამ თანხის  $3\%$ -ის რაოდენობით.

2. ამა დადგენილების პირველ მუხლში აღნიშნული გადასახადიდან  
შემოსული თანხები გადასახადის ამჟრეფი დაწესებულების მიერ შეტა-  
ნილ უნდა იქნეს ხაზინაში საქართველოს წითელი ჯვრის საზოგადოების  
საშუალებებში ჩიხარიცხად.

3. მიღებული თანხების ანგარიშს ხაზინა აწარმოებს სპეციალურ  
საშუალებათა ანგარიშის წარმოების წესით.

4. ამა დადგენილების განმარტებისა და განვითარებისათვის საქარ-  
თველოს წითელი ჯვრის საზოგადოების ცენტრალურ კომიტეტს უფლება  
ეძლევა გამოსცეს სათანადო ინსტრუქციები.

5. დადგენილება ესე ძალაში შედის დღიდან მისი გამოქვეყნებისა.

საქ. სოკ. საბჭ. რესპ. სახ. კომ.

საბჭოს თავმჯდომარე შ. ელიაშვილი.

სახ. კომისართა საბჭოს მდივანი ალ. ხალარიძე.

1923 წ. თებერვლის 10.

ტფილისი — სასახლე.

გამოქვეყნებულია გაზ: „კომუნისტის“ მე-37 №-ში 1923 წ.  
თებერვლის 17.

## 23.

### დადგენილება № 80

სამოქალაქო საქმეთათვის სასამართლო ხარჯების გამო საქართველოს სოც. საბჭ. რესპ. რევოლუციონური კომიტეტის მიერ 1922 წლ. იანვრის 31-ს თარიღითა და 134 №-ით გამოცემული დადგენილების მე-8 მუხლის გაუქმების შესახებ.

საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის რევოლუციონური კომიტეტის მიერ 1922 წლ. იანვრის 31-ს თარიღითა და 134 №-ით გამოცემული დადგენილების მე-8 მუხლი სახელმწიფო დაწესებულებათა და მუშათა გაერთიანებული კომპერატივის სასამართლო ბაჟისა და საღერბო გადასახადისაგან განთავისუფლების შესახებ—გაუქმებული იქნეს.

2. დადგენილება ესე ძალაში შედის დღიდან მისი გამოცხადებისა.

საქ. სოც. საბჭ. რესპ. სახ. კომ.

საბჭოს თავმჯდომარე შ. ელიავა

იუსტიციის სახალხო კომისარი ვარძიელი.

სახ. კომ. საბჭოს მდივანი აღ. სალარიძე.

1923 წ. თებერვლის 15.

ტფილისი — სასახლე.

გამოქვეყნებულია გაზ. „კომუნისტის“ №-ში 1923 წ.  
თებერვლის 22.

## 24.

### დადგენილება № 81

საუწყებათაშორისო კომისიების სხდომების ექსპერტთა და მონაწილეთა სახურალის შესახებ.

საუწყებათაშორისო კომისიების სხდომების ექსპერტთა და მონაწილეთა სახურალის შესახებ არსებული დებულების შესაცვლელად საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

საქართვოს სასკოდლის მიცემა უწყებათა შეირჩ არა სამუშაო დროს  
მოწვევული საუცხებათა შორისო კომისიების სსდომებზე მონაწილეობისა  
და ექსპერტიზისათვის სწარმოებს შემდგენ წესით:

1. კომისიათა სსდომები იყოფა ჯგუფებად:
  - ა) აღმინისტრობის სამეცნიერო და ტექნიკური;
  - ბ) სამეცნიერო.
2. ჯგუფი „ა“-ს სსდომებისათვის სასკიდელი განისაზღვრება სა-  
ათობით სატარიფო ქსელის მე-14 კატეგორიის სასკიდლის ნორმის  
კვალობაზე სახელმწიფო მინისტრის მიხედვით; ამასთანავე სასკიდელი  
უნდა გაიღოს იმ უწყებამ, რომელსაც სსდომა მოუწვევია.
3. ჯგუფი „ბ“ ს სსდომებისათვის სასკიდელი განისაზღვრება  
სატარიფო ქსელის მე-17 კატეგორიის სასკიდლის ნორმით და სწარ-  
მოებს ამა დადგენილების მე-2 მუხლის თანახმად.
4. იმ მოხსენების მომზადებისათვის, რომელიც წარდგენილ იქნება  
წერილობით, მომხსენებელი მიიღებს ამა დადგენილების მე-2 და მე-3  
მუხლში აღნიშნულ სასკიდელს ორკეგი რაოდენობით, იმისდა მიუ-  
ხდავად თუ რამდენი ლრო დასჭირდა მას მოხსენების შესადგენად.
5. ექსპერტი, რომელიც თავის დასკვნას იძლევა ცალკე საკითხების  
შესახებ და მომხსენებელი, რომელსაც განსაკუთრებული მომზადება  
არ დასჭირდია, მიიღებს სასკიდელს კომისიის ჩევილებით წევრთა  
თანაბრად.
6. სასკიდელი გაიღება ნამდვილი დროისათვის, რაც დასჭირდა  
სსდომას, მაგრამ არა უმეტეს, ვიდრე სამი საათისათვის.
7. სამუშაო დროს მიწვეულ კომისიების სსდომებისათვის სასკი-  
დელი არ გაიღება.
8. დადგენილება ესე ძალაში შედის დღიდან მისი გამოქვეყნებისა.

საქ. სოკ. საბჭ. რესპ. სახ. კომ.

საბჭოს თავმჯდომარე შ. ელიაშვილი

სახ. კომისართა საბჭოს მდივანი ალ. სალარიძე.

1923 წ. მარტის 3.

ტფილისი - სასახლე.

გამოქვეყნებულია გაზ. „კომუნისტის“ მე-53 №-ში 1923 წ.  
მარტის 8.

## 25.

## დადგელიერა № 82

საშუალო და დაბალი სასოფლო-სამეურნეო სასწავლებლების დებულების შემოლების შესახებ

საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭო აღგენს:

1. შემოლებულ იქნეს მთელ საქართველოს მიწა-წყალზე შემდეგი დებულება საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის საშუალო და დაბალი სასოფლო-სამეურნეო სასწავლებლების შესახებ.

1. სასოფლო-სამეურნეო სასწავლებელთა ქსელს, ესე იგი ამ სასწავლებელთა დაარსებას, შენახვას და გაუქმებას, აგრეთვე მოსწავლეთა რიცხვს განსაზღვრავს მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატი, ხოლო დაამტკიცებს განათლების სახალხო კომისარიატი.

2. სასოფლო-სამეურნეო სასწავლებელთა პედაგოგიური პერსონალის შენახვა სწარმოებს განათლების სახალხო კომისარიატის აღრიცხვით.

3. ტეხნიკური პერსონალის შენახვა და სასოფლო-მეურნეობის ხპევნიალურ საგნებში პრაქტიკული მეცანეობისათვის დამატებითი ხარჯის გალება სწარმოებს მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატის აღრიცხვით.

4. სამეურნეო-საოპერაციო ხარჯების გასტურეა მოხდება მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატის აღრიცხვით.

5. საერთო სამეცნიერო-საპედაგოგიო ხელმძღვანელობას, სასოფლო-სამეურნეო სასწავლებელთა მასწავლებლების დანიშნვას და გადაყან-გადმოყვანას აწარმოებს, მიწათმოქმედების კომისარიატიან შეთანხმებით, განათლების სახალხო-კომისარიატის პროფესიონალური განათლების მთავარი სამმართველო.

6. სასოფლო სამეურნეო სასწავლებელთა გამგეებს ასახელებს მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატი, ხოლო ამტკიცებს განათლების სახალხო კომისარიატი. სასწავლო ნაწილში გამგენი ემორჩილებიან განათლების სახალხო კომისარიატს, ხოლო სამეურნეო ნაწილში — მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატს.

7. მოწყობა პრაქტიკული მეცანეობისა, მოკლე ვადიანი სპეციალური კურსებისა, ლექციებისა და სკოლის გარეშე მთელი მუშაობისა სასოფლო-სამეურნეო ცოდნის გასავრცელებლად რჩება მიწათმო-

ქმედების სახალხო კომისარის გამგებლობაში და სწარმოებს მისი აღ-  
რიცხვით, განათლების სახალხო კომისართან შეთანხმებით.

8. ამა დებულების განსამარტებლად განათლების სახალხო კომი-  
სარიატს ევალება, მიწათმოქმედების სახალხო კომისარისატთან შეთან-  
ხმებით, გამოსცეს ინსტრუქცია სასოფლო-სამეურნეო სასწავლებელთა  
სახელმძღვანელოდ.

II. გაუქმებულ იქნეს საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის  
რევოლუციონური კომიტეტის მიერ 1921 წლის ივნისის 28 თარი-  
ლით და 46 ნომრით გამოცემული დეკრეტის ის ნაწილი, რომელიც  
ამ დადგენილებას არ ეთანხმება.

საქ. სოც. საბჭ. რესპ. სახ. კომ.  
საბჭოს თავმჯდომარე შ. ელიაზ.

სახ. კომ. საბჭოს მდივანი აღ. სალარიძე.

1923 წ. მარტის 10.  
ტფილისი – სასახლე.

გამოქვეყნებულია გაზ. „კომუნისტის“ №-60 №-ში 1923 წ. მარტის 17.

## 26.

### დადგენილება № 83

ვინაობის წიგნაკების შემოღების შესახებ.

1. საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის მოქალაქეთა და აგ-  
რეთე საქართველოში მცხოვრებ სხვა საბჭოთა რესპუბლიკებს მოქა-  
ლაქეთა პირალიბის შესამოწმებლად შემოღებულ იქნეს ვინაობის წი-  
გნაკები ამა დადგენილებასთან ერთად დამტკიცებულ ფორმისა.

2. საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის ყველა მოქალაქე მო-  
ვალეა თავისი მუდმივი საცხოვრებელი აღგილის დატოვების დროს  
თან იქმნიოს ვინაობის წიგნაკები.

ტფილისის, ქუთაისის, ფოთის და ბათომის მცხოვრებნი მოვა-  
ლენი არიან წიგნაკები იქმნიონ ამ ქალაქებში ყოფნის დროსაც.

3. მუდმივ საცხოვრებელ აღგილად ჩითვლება მაზრა ან ვაზრი-  
ლან გამოყოფილი ქალაქი (ტფილისი, ფოთი), რომელთანაც მოქალა-  
ქე დაკუშირებულია: ქონგბით, თჯახით, სამსახურით ან სასწავლებ-  
ლით, ხელობით, ვაჭრობით და სხვ.

4. ვინაობის წიგნაკის მიღება შეიძლება მხ ილოდ მუდმივ საცხოვრებელ აღვილას.

5. ვინაობის წიგნაკი მიეცემა ყველა სრულწლოვან მოქალაქეს; ერთ წიგნაკში შეიძლება შეტანილ იქნეს მხოლოდ ქარი, ცოლი და წიგნაკის პატრონის ოჯახის არასრულწლოვანი წევრი.

6. უვალო წიგნაკი მიეცემა მხოლოდ იმას, ვანც თაფისუფალია სამხედრო ბეგარის გაწვევისაგან, ან ვისაც ეს ბეგარა მოხდილი აქვს; ხოლო ვადიანი წიგნაკი — ყველა დანარჩენს.

უკანასკნელ შემთხვევაში წიგნაკის ვადა არ უნდა გადასცილდეს იმ ღროს, რა ღროსაც წიგნაკის პატრონი მოვალე სამხედრო ბეგარის მოსახლეობად გამოცხადდეს.

7. ვინაობის წიგნაკების დამზადება დაევალება შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატს და მისი განკარგულებით და კონტროლით წიგნაკები უნდა გაეგზანოთ სათანადო ორგანიზაციებს მთლად რესუბლიკაში.

8. ვინაობის წიგნაკის გაცემის ღროს მის მიმღებს უნდა გადახდეს წიგნაკის დამზადებისათვის გაწეული ხარჯი.

9. ამა დადგენილების განსავითარებლად და განსამარტებლად შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატს ნება ეძლევა გამოსცეს სათანადო ინსტრუქციები.

10. ვინაობის წიგნაკების გაცემა დაწყებულ უნდა იქნეს არა უგვიანეს ორი თვისა ამ დადგენილების გამოქვეყნების დღიდან.

11. ვინაობის წიგნაკების გაცემის შემდეგ ძალას ჰქარგავს ყოველგვარი პასპორტი და პირადობის დამტკიცებელი სხვა საბუთი; ხოლო სამსახურის მოწმობა და მანდატი სახელმწიფო, საზოგადო და პარტიული ორგანიზაციების მოსამსახურეთა — საცხოვრებელ საბუთად არ გამოდგება.

12. დადგენილება ესე ძალაში შედის დღიდან მისი გამოქვეყნების დაბობისა.

საქ. სოც. საბჭ. რესპ. სახ. კომისართა  
საბჭოს თავმჯდომარე შ. ელიაშვილი.

შინაგან საქმეთა სახალხო კომისარი გეგმეორი.

სახ. კომ. საბჭოს მდივანი ალ. სალარიძე.

1923 წ. მარტის 10.

ტფილისი — სასახლე.

გამოქვეყნებულია გაზ. „კომუნისტის“ №-60 №-ში 1923 წ. მარტის 17.



27.

დამგენოლოგი № 84

1923 წელში შრომისა და შარაგზით ტფისტიდების ხარჯის გატარების წესის შესახებ.

საქართველოს რეპ. კომიტეტის გ-90 №-ის დეკრეტის შესაცვლელით სახალხო კომისართა საბჭო აღდგნა:

1. 1923 წლის პირველ იანვრიდან რესპუბლიკის ქალაქებში და სოფელებში მრავალი მარაგზეთ ტვირზიდების ხარჯი აკრეფილ იქნება მხოლოდ თულადი.

2. ფულად შეცვლილი შრომისა და შარაგზით ტკირთხიდვის ხარჯი შევწეროს ყველა შრომის უნარიან მამაკაცს 18—50 წლიდევ და მუშა საქონლის (ხარისა, კამჩისა, ცენტრისა, ჯორისა და ვირისა) მეპატრონნებთ.

3. Ցհոքուս և առաջնորդ Ծցորենիօցու եարկու գյուղագո Շեն-  
պատճու հառցենոմ զանուսածլցրու Վըլովալի յշու սամցառ գլու  
լուրցպալ յօնաւ.

შენიშვნა. სამუშაო დღის ღირებულებას დაწესებს ამიერ-  
კავკასიის ფინანსთა სახალხო კომისრის რწმუნებული საქართვე-  
ლოში.

4. განთავისუფლება შრომისა და შარიგზით ტვირთზიდვის ხარჯის მიხდება ამიერკავკასიის ფინანსთა და შრომის სახლოხო კომისარისა ტების რწმუნებულთა (საქართველოში) დადგენილებით.

5. မျှမားပြောစုစွဲ၊ အာရာဒိုက် ဖြောက်တံ့ခွဲဒါ စာများလျှော့တာ နာရီ၊  
ကို စာမျိုးပောင်း၍ ပုံမှန်ပွောင်း ဖော်လျှော့ မာရ်တွေ့လျှော့ စာရိုက်ရှု ဖွံ့ဖြိုး  
လျှော့ပါ စာလျှော့ကြုံဖြောက်ပြုခြင်း (ရှေ့ခွဲရှေ့ခြင်း၊ အာရာဒိုက်၊ ပျော်လျှော့လျှော့၊ တော်  
လျှော့၊ နှောက်လျှော့ လူ နေပါ်ရှေ့၊ စာမျိုးပောင်း မျှမျိုးလျှော့ လူ စာသွေး အံ့ဩရှု ဖွံ့ဖြိုး  
လျှော့ပါ စာလျှော့ကြုံဖြောက်ပြုခြင်း)၊ ၅၄ မျှမားပောင်း စိုက်မျှော်ပွဲ ဖြောက်တံ့ခွဲဒါ စာများလျှော့တာ နာရီ၊  
အာရာဒိုက် ဖြောက်တံ့ခွဲဒါ စာများလျှော့တာ နာရီ၊ အာရာဒိုက် ဖြောက်တံ့ခွဲဒါ စာများလျှော့တာ နာရီ၊

6. შრომისა და შარიგზით ტვირთზიცების ხარჯის ფულად შეცვლის განხორციელება დავვალება ამიერკავკასიის ფინანსთა სახალხო კომისარის რწმუნებულს საქართველოში და მის აღილობრივ ორგანოებს, ხოლო შრომისა და შარიგზით ტვირთზიცების ბევრის გატარება, თანახმად ამ დადგენილების მე-ნე მუხლისა, დავვალება ამიერკავკასიის შრომის სახალხო კომისარიატის რწმუნებულს საქართველოში და შის აღილობრივ ორგანოებს, ხარჯის მისამართ აღილობრივ ტვირთზიცების გატარება, სამაზრი აღმასრულებელი კომიტეტების მონაცილეობით.

7. ამ დაგენილების თანახმად შრომისა და შარაუგზით ტვირთ ზიდების ხარჯის გარაუგზის საჭმელ გამოიყოს ამიერკავკასიის შრომის სა

ხალხო კომისარიატის ოწმუნებულის (საქართველოში) გამგებლობიდან  
და გადაეცეს ამაერქავკასიის ფინანსთა სახალხო კომისარიატის ოწმუ-  
ნებულს საქართველოში.

8. ამიერქავკასიის ფინანსთა და შრომის სახალხო კომისარიატების  
ოწმუნებულთ საქართველოში დაევალებათ გადასინჯონ ერთად მთლად  
კანონმდებლობა შრომისა და შარაგზით ტერიტორიული ხარკის შესახებ  
სათანადო ცვლილებების შესატანად ამა დადგენილების მიხედვით.

9. ამა დადგენილების განხორციელებისა და განვითარებისათვის  
ამიერქავკასიის ფინანსთა სახალხო კომისარიატის ოწმუნებულს საქარ-  
თველოში უფლება ეძლევა გამოსცეს სათანადო დადგენილებანი, ცირ-  
კულიარები და ისტრუქციები.

10. დადგენილება ეს ძალაში შედის დღიდან მისა გამოქვეყნებისა.

საქ. სოც. საბჭ. რესპ. სახ. კომისართა

საბჭოს თვემჯდომარე შ. ელიაზა.

სახ. კომ. საბჭოს მდივანი ალ. სალარძე.

1923 წ. მარტის 10.

ტფილისი — სასახლე.

გამოქვეყნებულია გაზ. „კომუნისტის“ №-60 №-ში 1923 წ. მარტის 17.

## 28.

### დადგენილება № 85

კველა საპატიმრო ადგილის შინაგან საქმეთა სახალხო კომისარია-  
ტის გამგებლობაში გადაცემის შესახებ.

საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭო  
აღვენს:

1. კველა საპატიმრო ადგილი და მათი სამმართველო გამოყოფილ  
იქნება: იუსტიციის სახალხო კომისარიატის გამგებლობიდან და გადაეცეს  
შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის გამგებლობას.

2. იუსტიციის სახალხო კომისარიატის ცენტრალური დასჯა-  
გასწორების განყოფილება და მისი ადგილობრივი ორგანოები გადა-  
ცეთდეს საპატიმრო ადგილების მთავარ და ადგილობრივ სამმართვე-  
ლოებად — შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატთან და მის ადგილობ-  
რის ორგანოებთან.

3. იუსტიციის სახალხო კომისარიატის ორგანოებს დაეტოვებათ  
ყოველი უფლება ზედამხედველობისა საპატიმრო ადგილებში პატიმართა

დამწუცდების მაჩთლ-კანონიერების მეთვალყურეობისათვის — მთლიად იმ ფარგლები, რაც გათვალისწინებულია სახალხო სასამართლოს და პროკურატურის დებულებებით.

4. დასჯის პოლიტიკის საქრთო პრინციპიალური სტუდების შესამუშავებლად, პენიტენციალურ ღონისძიებათა და დანაშაულობასთან ბრძოლის საშუალებათა განსაზღვრულებლად — შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის საპატიმრო აღვილების მთავარ სამმართველოსთან მოეწყოს პენიტენციალური საბჭო, — იუსტიციის სახალხო კომისარიატისა და შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის წარმომადგენელთავან შემდგარი.

**შენიშვნა.** პენიტენციალური საბჭოს სხდომებში, — ამათ გარდა, — საგალდებულოა საპროკურორო ზედამხედველობის პირის დანაწილება.

5. იუსტიციის სახალხო კომისარს, — შინაგან საქმეთა სახალხო კომისართან ერთად, — დაევალება შეიმუშაოს დებულება შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის საპატიმრო აღვილების მთავარი სამმართველოს და მისი აღვილებრივი ორგანოების შესახებ და შეიტანოს სათანადო ცვლილებანი საქრთო საპატიმრო აღვილების დებულებაში.

6. დადგენილება ესე ძალაში შედის დღიდან მისი გამოქვეყნებისა.

საქ. სოც. საბჭ. რესპ. სახ. კომ.

საბჭოს თავმჯდ. შ. ელიავა.

სახალხო კომისართა საბჭოს მდივანი ალ. სალარიძე.

1923 წ. მარტის 10.

ტფილისი — სასახლე.

გამოქვეყნებულია გაზ. „კომუნისტის“ № 60 და № 1923 წ. მარტის 17.

## 29.

### დ ე პ რ ე ტ ი

მატყლის მონაბოლის გაუქმების შესახებ.

1. საქართველს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოს მიერ 1922 წ. ივნისის 7 თარიღით და მე-8 ქ-რით გმოცემული დეკრეტით შემოღებული მონაბოლის მატყლის ყიდვა-გაყიდვისა, საზღვარგარედ გატანისა და რეალიზაციის შესახებ — გაუქმდებული იქნება.

2. დეკრეტი ესე ძალაში შედის დღიდან მისი გამოქვეყნებისა.

საქ. სოც. საბჭ. რესპ. სახ. კომ.

საბჭოს თავმჯდ. შ. ელიავა.

სახ. კომისართა საბჭოს მდივანი ალ. სალარიძე.

1923 წ. მარტის 25.

ტფილისი — სასახლე.

გამოქვეყნებულია გაზ. „კომუნისტის“ № 69 და № 1923 წ. მარტის 28.

30.

## დ ე პ რ ე ტ ი

საქართველოს საადგილმამულო ბანკებში და ტფილისის საქალა-  
ქო საკრედიტო საზოგადოებაში დაგირავებული — საქართველოს სოც.  
საბჭოთა რესპუბლიკის ქალაქებში შდებარე — სახლების გამო საქარ-  
თველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭო  
მიერ 1922 წ. დეკემბრის 28-ს თარიღით და 16 №-ით გამოცემული  
დიქტურის შეცვლისა და დამატების შესახებ.

საქართველოს სოც. საბჭ. რესპ. სახალხო კომისართა საბჭო აღგენს:  
I. მე-16 №-ით გამოცემული დეკრეტის 1, 2, 4, 5 და 6 მუხ-  
ლები მიღებულ იქნეს შემდეგის რედაქციით:

მუხლი 1. დაგირავებულ სახლზე არსებული ვალი, — გამოანგარი-  
შებული ოქროს კურსის მიხედვით, — გადახდილ უნდა იქნეს მხესხებ-  
ლის მიერ ხუთის წლის განმავლობაში, დაწყებული 1923 წლ. ივნი-  
სის 1-დან.

მუხლი 2. ვალის რაოდენობა განისაზღვროს თავნი ვალის იმ ნა-  
შთით, რაც ირიცხებოდა მსესხებელზე 1921 წლ. ივნისის 30-ს. ამას-  
თანავე: ॥

ა) მე-3 მუხ. თანამად გადასახიერები ვალი იმ სესხისა, რომელიც  
გაცემულია 1914 წ. სექტემბრის 1-დან 1917 წ. მარტის 1-დე — მსოფ-  
ლიო თმის დროს, — შემცირებულ უნდა იქნეს 20 პროც. და

ბ) თავნი ვალის რაოდენობა იმ სესხისა, რომელიც გაცემულია  
1917 წლ. მარტის 1-დან საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამ-  
ყარების დღემდე, — უნდა განისაზღვროს აღნიშნული 1921 წლ. ივნი-  
სის 30-ს სესხის გაცემის ნახევარ-წლის პერიოდში არსებული ოქროს მა-  
ნეთიანის საშუალო კურსის მიხედვით. ამ კურსს აწესებს ამიერკავკასიის  
ფინანსთა სახალხო კომისარის რწმუნებული საქართველოში თვითფული  
ნახევარ-წლისათვის ცალკე.

მუხლი 4. უკეთე მსესხებელს, — ქონების მდგრადირეობისა და შე-  
მოუსავლობის გამო, — არ ძალუდს ვალის გადახდა, ამიერკავკასიის ფინან-  
სთა სახ. კომისარის რწმუნებულის საქართველოში უფლება ეძლევა, —  
შემშეთა და გლეხთა ინსპექტიის თანხმობით, — შეიძიროს ეს ვალი (მუხ-  
2 და 3) ერთბაშად ან ცალკე თვითფული სანახევარწლო გადასახდი  
50 პროც.-დე, — იმისდამიუხდავად, როდის არის ქონება დაგირავებული.

მუხლი 5. გადასახადად აღრიცხული ვალი დაყოფილ უნდა იქნეს  
ათ ნაწილად. პირველი ნაწილის გადახდის ვადად დაინიშნოს 1923 წ.

იყნისის 1-ლი, მეორე ნაწილისა—1923 წ. დეკემბრის 1-ლი და შემდეგ ამავე წესით.

მუხლი 6. უკეთო მსესხებელი მოისურვებს—ვადამდე გადაიხადოს მასზე მირიცხული ვალი (მუხ. 2, 3 და 4)—ეს ვალი შემცირებულ უნდა იქნეს 20 პროცენტით.

II. დეკრეტი ესე ძალაში შედის დღიდან მისი ვამოქვეყნებისა.

საქ. სოც. საბჭ. რესპ. სახ. კომ. საბჭოს  
თავმჯდომარე შ. ელიაშვილი.

ფინანსთა სახ. კომ. რწმ. საქართველოში ბ. ბიბინენიშვილი.

სახ. კომ. საბჭოს მდივანი ალ. სალარიძე.

1923 წ. მარტის 30.

ტფილისი—სასახლე.

ვამოქვეყნებულია გაზ. „კომუნისტის“ მე-79 №-ში 1923 წ. აპრილის 8.

### 31.

## დადგენილება № 87

საქართველოს რევოლუციონური კომიტეტის მიერ ადგილობრივ გადახადთა შესახებ 1922 წლის ოქტომბრის 5-ს გამოცემული დებულების ზოგიერთი მუხლის შეცვლისა და დამატების შესახებ.

საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. საქართველოს რევოლუციონური კომიტეტის მიერ ადგილობრივ გადახადთა შესახებ 1922 წ. ოქტომბრის 5-ს გამოცემული დებულების მუხლი მე-2 შეიცვალოს შემდეგნაირად:

„იმ ფულად საშუალებათა რომელნის განსაზღვრისათვის, როც საბჭოებს დასჭირდება ადგილობრივი ხასიათის ხარჯების დასაფარავად (ნუსხა იმ ხარჯებისა, რაც დაფინანს უნდა იქნეს ადგილობრივი საშუალებით იხილე დამტებაში № 1), ქალაქის და მაზრის საბჭო ვალი დებულია შეადგინოს შემოსავალ-გასავლის ფინანსური აღრიცხვა წლიური და საკვარტალო, ანუ სამთვისური“.

2. მუხლი მე-3 შეიცვალოს შემდეგნაირად:

„წლიური აღრიცხვა უნდა შეაცვდეს ყველა შემოსავალსა და გასავალს მთელი წლის განმავლობაში, ხოლო საკვარტალო აღრიცხვა

უკელა შემოსავალსა და გასავალს სამი ოფის განმავლობაში. პირველ  
კვარტალში შედის: იანვარი, თებერვალი და მარტი, მეორეში—აპრილი,  
მაისი და ივნისი, მესამეში—ივლისი, აგვისტო და სექტემბერი,  
მეოთხეში—ოქტომბერი, ნოემბერი და დეკემბერი".

3. მუხლი მე-5 გაუქმებულ იქნეს სრულიად.

4. მე-7 მუხლს დამატოს თავში:

"როგორც წლიურს, ისე საკვარტალოს".

5. მუხლი მე-9 შეიცვალოს შემდეგნაირად:

"ქილოჭისა და მაზრის წლიური და საკვარტალო აღრიცხვა უნდა  
წარდგინოს ამიერკავკასიის რესპუბლიკათა ფინანსთა სახალხო კომი-  
სარიატის რწმუნებულის (საქართველო ში) სამართველოს ადგილმმრი-  
ვი ბიუჯეტის განკორენებას, რომელიც დამტკიცებს მას საუწყებათა-  
შორისო კომისიაში განხილვის შემდეგ. ადგილმმრივ რჩებოს უფლე-  
ბა ეძლევა განასაჩივროს კომისიის დადგენილება სახალხო კომისართა  
საბჭოში, ხოლო ამ უკანასკნელის მიერ საკითხის სამოლონოდ გაღა-  
წყვეტამდე კომისიის დადგენილება ძალაში რჩება".

6. მუხლი მე-10 გაუქმებულ იქნეს სრულიად.

საქ. სოც. საბჭ. რესპ. სახ. კომ.

ს. ბჭოს თავმჯდ. მ. ელიაზა.

ამიერკავკასიის ფინანსთა სახ. კომ.

რწმუნ. საქართ. ბ. ბიბინენშვილი.

სახალხო კომისართა საბჭოს მდიერი ალ. ხალარიძე.

1923 წ. აპრილის 10.

ტფილისი—სახახლე.

გამოქვეყნებულია გაზ. „კომუნისტის“ მე-85 № ში 1923 წ. აპრილის 17.

### 32.

## დადგენილება № 88

გაუქმებულ სასამართლო დაწესებულებებში საბჭოთა ხელისუფლე-  
ბის დამყარებამდე წარმოეაული ხაქმების მოსპობის შესახებ.

რადგანაც უკვე საქმაო დრო გავიდა დღიდან საქართველოს სოც.  
საბჭ. რესპუბლიკის რევოლუციონური კომიტეტის 78 ნორის დე-  
კრეტის გამოცემისა ყოფილ სასამართლო დაწესებულებებში წარმოე-

ბული იმ ძველი საქმეების მოსპობის წესის შესახებ, რომელთაც უშეტეს შემთხვევაში უკვე დაჭარგეს რეალური მნიშვნელობა, საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

გაუქმებულ სასამართლო დაწესებულებებში წარმოებული ყველა სამოქალაქო, აგრეთვე კერძო ბრალდების წესით აღმრული სისხლის სამართლის საქმე, რომელიც შეიძლება დამთავრდეს მხარეთა შერიგებით და რომლის განახლებაც თანახმად საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის რევოლუციონური კომიტეტის მიერ 1921 წლ. ნოემბრის 9-ს თარიღითა და 78 ნომრით გამოცემული დეკრეტისა, არ მოუთხოვით მხარეებს ამა დადგენილების გამოქვეყნებამდე,—ჩაითვალოს მოსპობილად.

საქ. სოც. საბჭ. რესპ. სახ. კომ.

საბჭ. თავმჯ. მთადგ. ს. გეგეპეკორი.

იუსტიციის სახალხო კომისარი ი. გარნიელი.

სახ. კომ. საბჭოს მდივანი პლ. სალარიძე.

1923 წ. აპრილის 17.

ტფილისი — სასახლე.

გამოქვეყნებულია გაზ. „კომუნისტის“ მე-88 №-ში 1923 წ. აპრილის 20.

### 33.

## დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა № 89.

1922 საგადასახადო წლის საშემოსავლო გადასახადის განაკვეთის გადიდების შესახებ.

1922 საგადასახადო წლის საშემოსავლო გადასახადისათვის რეალური ღირებულობის შესანარჩუნებლად საქართველოს სოც. საბჭ. რესპ. სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. გაიდიდებულ იქნეს ონიშნული წლის საშემოსავლო გადასახადი კალაქებში და ქალაქის მოსახლეობაში შემცვენაირად:

ა) იმ პირთათვის, რომელიც იხდიან საშემოსავლო გადასახადს

20 კატეგორიამდე — ამა კატეგორიითურთ — სათანადო ცხრილის მიხედვით (საქართველოს სოც. საბჭ. რესპ. მთავრობის 61-№-რის დეკრეტის თანახმად) გადასახადის რაოდენობა გადიდებულ იქნეს ორჯერ.

ბ) დანიშნული გადამხდელთათვის აღნიშნული გადასახადი გადიდებული სამჯერ.

2. ამა გადიდების შესახებ ეკრანის გადამხდელთ პუბლიკაციის შეზევებით, ხარჯის ფურცლების დაუგზავნელად.

3. გადაიღოს—საურავ დაუდებლად—1922 წლის საშემოსავლო გადასახადის ხაზინაში შეტანის ვადა მიმდინარე წლის მაისის 15-დე.

4. იმ პირთ, რომლებმაც უკვე შეიტანეს წინად იღრიცხული საშემოსავლო გადასახადი და ხვედრი საურავიც, უკანასკნელი (საურავი) ჩაერიცხოს ძირითად გადასახადში.

საქ. სოც. საბჭ. რესპ. სახ. კომ. საბჭ.

თავმჯ. მოადგილე ს. გეგმიშეკორი.

ა.-კ. ფინ. სახ. კომისარის რწმუნებული

საქართველოში ბ. ბიბინეიშვილი.

სახ. კომ. საბჭოს მღივანი ალ. სალარიძე.

1923 წ. აპრილის 23.

ტფილისი—სასახლე.

გამოქვეყნებულია გაზ. „კომუნისტის“ №-93 № ვი 1923 წ. აპრილის 26.

### 34.

## დადგენილება № 90

შრომისა და შირვით ტორთზიდვის გადასახადის ფულად ვაჭადებულების შეჩერების შესახებ.

ამა 1923 წ. მარტის 10-ს თარიღით და 84 №-ით გამოცემული დადგენილების შესაცვლელად საქართველოს სოც. საბჭ. რესპ. სახალხო კომისართა საბჭო აღენს:

შეჩერებულ იქნეს შრომისა და შირვით ტორთზიდვის გადასახადის 1923 წელში ფულად გადახდევინება ახალ განკარგულებამდე.

საქ. სოც. საბჭ. რესპ. სახ. კომ. საბჭოს თავმომარის მოადგილე ბ. გეგმიშეკორი.

ა.-კ. ფინ. სახ. კომისარის რწმუნებული საქართველოში ბ. ბიბინეიშვილი.

სახ. კომ. საბჭოს მღივანი ალ. სალარიძე.

1923 წ. აპრილის 27.

ტფილისი—სასახლე.

გამოქვეყნებულია გაზ. „კომუნისტის“ №-98 № ვი 1923 წ. მაისის 3.

35.

## დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა № 91

ლიკვიდაციაქმნილი ბანკების მიერ ძეველი ვექსილებითა და სხვა  
ვალდებულებით გაცემული სესხის გადახდევინების შეხახებ.

1922 წლის თებერვლის 18-ს თარიღითა და 143 №-ით გამო-  
ცემული დადგენილების დასამატებლად საქ. სოც. საბჭ. რესპ. სახალ-  
ხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. იმ სესხს, რომელიც ლიკვიდაციაქმნილი ბანკების მიერ ვექსი-  
ლებისა და სხვა ვალდებულების სახით გაცემულია ადგილობრივი ფუ-  
ლის ნიშნებით,—სახალხო ბანკის გამგეობა გადახდევინებს ოქროს მა-  
ნეთის იმ კურსის ანგარიშით, რაც იყო ვადის გასვლის დღეს და წლი-  
ური 12% ს დამატებით დღიდან ვადის გასვლისა ვაღის ვადაზღის  
დღეზე.

2. გადახდევინებულ უნდა იქნეს ამა დადგენილების 1 მუხ. წე-  
სით გამოანგარიშებული თანხის ოცდათი პროცენტი.

3. დადგენილება ესე ვრცელდება იმ ვექსილებსა და სხვა ვალ-  
დებულებაზე, რაც არის ბანკის პორტფელში, მისი კორესპონდენტე-  
ბის ხელში და აგრძელებულ რაც გატანილია საზღვარგარეთ.

4. დადგენილება ესე ძალაში შედის დღიდან მისი გამოქვეყნებისა.

საქ. სოც. საბჭ. რესპ. სახ. კომ. საბჭ.

თავმჯ. მთადგილე ს. გეგევარი

სახ. კომ. საბჭოს მდივანი ალ. სალარიძე.

1923 წ. მაისის 2.

ტფილისი—სასახლე.

გამოქვეყნებულია გაზ. „კომუნისტის“ გე-100 №-ზი 1923 წ. მაისის 5.

36.

## დადგენილება № 92

მოქალაქობრივი მდგომარეობის აქტების ჩაწერების ხახუდლის და-  
წესების შეხახებ.

რათა დაფარულ იქნეს საქართველოს რესპუბლიკის შინაგან საქმე-  
თა სახალხო კომისარიატის სპეციალური ხარჯები, რომელსაც იყო ეწე-  
ვა მოქალაქობრივი მდგომარეობის აქტების წარმოების საქმეში და  
რომ სათანადოთ იქნეს დაყენებული მოქალაქობრივი მდგომარეობის

ჩაწერის განყოფილების ადგილობრივ ორგანოთა მუშაობა, საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭო აღენს:

1. დაწესებულ იქნეს სასყიდელი მოქალაქობრივი მდგომარეობის აქტების ჩაწერისათვის შემდეგნაირად:

### ჩაწერისათვის:

- ა) დაბადებისა . . . . . ოცდახუთი კაბიკი (25 კ.) ოქრ.
- ბ) ქორწინებისა . . . . . ერთი (1) მანეთი "
- გ) განქორწინებისა . . . . . ორი (2) "
- დ) გვარის შეცვლისა . . . . . ათი (10) "
- ე) ამონაწერის გაცემისათვის უწინდელი მეტრიკული წიგნებიდან და აგრეთვე ამონაწერის გაცემისათვის რეგისტრაციის შემდეგ . . . ერთი (1) "

2. ჩაწერა მოქალაქობრივი მდგომარეობის დანარჩენ აქტებისა, მაგალითად: სიკედლისა, უკვალოდ გადაკარგულთა და ქორწინების გარეშე დაბადებისა—მოხდება უფასოდ.

3. მეტრიკული ამონაწერის გაცემა თვით რეგისტრაციის დროს სწარმოებს მარტოოდენ სალერბო და საკანცელარიო გადახადის გარდახდევინებით საერთო საფუძველზე.

4. დადგენილება ესე ძალაში შედის დღიდან მისი გამოქვეყნებისა.

საქ. სოც. საბჭ. რესპ. სახ. კომ.

საბჭ. თავმჯდ. მთადგ. ხ. გეგეშეკორი.

სახ. კომ. საბჭოს მდივანი ა. ხალარიძე.

1923 წ. მაისის 8.

ტფილისი—სასახლე.

გამოქვეყნებულია გაზ. „კომუნისტის“, მე-106 ქ.-ში 1923 წ. მაისის 12.

## 37.

### დადგენილება № 93

ხაამშენებლო ხამუშაოსათვის ხარჯთაღრიცხვის შედგენის წესის შესახებ.

საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭო აღენს:

1. ხარჯთაღრიცხვა შედგენილ უნდა იქნეს საქონლის მანეთის ანგარიშით: მუშა-ხელისათვის იმ ინდექსის მიხედვით, რომელსაც გამოაქვეყნებს ხოლმე პროფესიონალურ კავშირთა საბჭოს სატარიფო-

საეკონომიკ განყოფილება, ხოლო მასალისათვის იმ ინდექსის შიხედვით, რომელსაც ვამოქვეყნებს ხოლმე სახალხო მეურნეობის უმიღლესი საბჭოს საეკონომიკ განყოფილება.

2. სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოს საეკონომიკ განყოფილება ვალდებულია ყოველთვიურად გამოქვეყნოს ხოლმე მასალის ინდექსი.

**შენიშვნა.** ამა მუხლში ორნიშნული ინდექსის გამოქვეყნების შემოღებამდე აღრიცხვის შედეგის დროს მასალისათვის, სახელმძღვანელოდ უნდა იქნეს მიღებული პროცესინალურ კავშირთა საბჭოს სატარიფო-საეკონომიკ განყოფილების მიერ გამოქვეყნებული სამუშაო ხელფასის სასაქონლო ინდექსი.

3. სახელმწიფო ნაგებობათა კომიტეტის სამშენებლო განყოფილებამ ყოველთვიურად უნდა გამოქვეყნოს ცნობის ფურცელი მუშა-ხელისა და მასალის ფასების შესახებ, რისტორიასაც უნდა ინერმძღვანელოს მმენებელთა კავშირის ცენტრალური გამგების ცნობებით და მასალების ფასით 1914 წლისა; ამასთანავე ეს ფასი გადატანილ უნდა იქნეს საქონლის მანეთზე და შეტანილ იქნეს აუცილებელი შესწორება, ბაზრის პირობების შიხედვით.

4. მე-3 მუხლში ორნიშნული ცნობის ფურცელი შედგენილ უნდა იქნეს სამშენებლო განყოფილების მიერ მუშათა და გლეხთა ინსპექციასთან შეთანხმებით და დმიტრი ცეცხლადის სახელმწიფო ნაგებობათ კომიტეტისაგან და იგი სავალდებულოა რესპუბლიკის ყველა დაწესებულებისათვის.

5. შესრულებული სამშენებლო სამუშაოს ანგარიში გასწორებულ უნდა იქნეს ხარჯთაღრიცხვასა და ხელშეკრულებაში ორნიშნული ფასების თანახმად, საქონლის მანეთის უკანასკნელი კურსის წინ არსებული კურსისამებრ.

6. ვინაიდან ინენერ-ტეხნიკისებისათვის უკვე დაწესებულია სპეციალური განაკვეთი—საპროცენტო ანარიცხი გაუქმდეს და ხარჯთაღრიცხვაში არ შეიტანებოდეს.

7. დადგენილება ესე ძალაში შედის დღიდან შისი გამოქვეყნებისა.

საქ. სოც. საბჭ. რესპ. სახ. კომ.

საბჭოს თავმჯ. მოადგ. ა. გეგჩევრია.

სახ. კომისართა საბჭოს მდივანი აღ. სალარიძე.

1923 წ. მაისის 10.  
ტფილისი—სასახლე.

გამოქვეყნებულია გამ. „კომუნისტის“ მე-107 №-ში 1923 წ. მაისის 13.

38.

**დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა № 94**

სამოქალაქო საქმეთათვის გახაწევი სახამირთლო ხარჯების თომ-  
ბაზე გამოცემულ დადგენილებათა შეცვლისა და დამატების შე-  
სახებ.

საქართველოს სოკ. საბჭ. რესპუბლიკის რევოლუციონური კო-  
მიტეტის მიერ 1922 წ. იანვრის 31 თარიღით და 134 №-ით გმო-  
ცემული დადგენილების შესაცვლელად და დასამატებლად, აგრეთვე  
საქართველოს სოკ. საბჭ. რესპ. სახალხო კომისართა საბჭოს მიერ  
1923 წ. თებერვლის 15-ს თარიღით და 80 №-ით გამოცემული და-  
დგენილების გასაუქმებლად, — საქართველოს სოკ. საბჭ. რესპუბლიკის  
სახალხო კომისართა საბჭო აღენს:

1. ყველა სახელმწიფო დაწესებულება და საწარმო, რომელიც  
არ იხდის სარეწავ გადასახადს, განთვისუფლებულია სალერბო გადა-  
სახადისაგან, აგრეთვე სასამართლო და საენცელორიო ბაჟისაგან.

2. დადგენილება ეს ძალაში შედის დღიდან მისი გამოქვეყნებისა.

საქ. სოკ. საბჭ. რესპ. სახ. კომ. საბჭოს  
თავმჯ. მოადგილე ა. გეგეშვილი.

სახ. კომისართა საბჭოს მდგვანი აღ. სალარიძე.

1923 წ. მაისის 12.

ტფილისი — სასახლე.

გამოქვეყნებულია გაზ. „კომუნისტის“ №-109 №-ში 1923 წ. მაისის 16.

39.

**დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა № 95**

სიხშლის ხამართლის ხაქმეთა მაძიებელი მილიციის თანამშრომელ-  
თათვის ბოროტმოქმედებით მიპოვდებული ქონების აღმოჩენისათვის  
ჯილდოს დაწესების შესახებ.

ბოროტმოქმედებასთან ნაყოფიერი ბრძოლისათვის საქართველოს  
სოკ. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭო აღენს:

1. შემოღებულ იქნეს პროცენტული ანარციზი ბოროტმოქმედე-  
ბით მოპოვდებულ და სისხლის სამართლის ხაქმეთა მაძიებელი მილიციის  
შეუვეოშით აღმოჩენილ ქონებიდან და შემოსული თანხებისაგან შედ-  
გენილ იქნეს განსაკუთრებული ფონდი.

2. რაოდენობა პროცენტისა, რომელიც აღმოჩენილი ქონების ორგებულებიდან უნდა გამოირიცხოს, განისაზღვრება: სახელმწიფო დაწესებულების და საწარმოს, აგრძთვე კოოპერატიული ორგანიზაციის ქონებისათვის—10 პროცენტით, ხოლო კერძო პირის ხასიათის კერძო შენაგროს ქონებისათვის—16 პროცენტით.

3. პროცესტული ანარიცხისაგან განთავსისუფლებულია ოჯახში სახმარებელი პირების საჭიროების საგნები და ისეთი ქონება, რომლის ღირებულებაც 50 ოქროს მანეთს არ აღემატება; შეიძლება აგრეთვე ამ ანარიცხისაგან განთავსისუფლებულ იქნეს სხვა კარეგორიის ქონებაც, თვითუეულ ცალკე შემთხვევაში ადგილობრივი აღმასრულებელი კომიტეტის სამმართველოს განყოფილების განსაკუთრებული დადგენილებით.

4. ამა დაუგენილების 1-ლი მუხლის თანამშად შემდგარი ფონდის დანიშნულებაა—მიეცეს ჯილდო სისხლის სამართლის საქმეთა მაძიებელი მიღიცის თანამშრომელთ მოტაცებული ქონების აღმოჩენისათვის, ან დაწაშევის შეპყრობისათვის; ჯილდოს გაცემა უნდა მოხდეს აღილობრივი აღმასრულებელი კომიტეტის სამართველოს განყოფილების განკარგულებით; თანამშრომელი დასაჯილდებლად უნდა წარადგინოს ტფილის ში—სისხლის სამართლის საქმეთა მაძიებელი მიღიცის უფროსმა, ხოლო ადგილობრივ—აღილობრივი მიღიცის უფროსმა.

**შეიძლოა.** დაღვენილება ესე ვრცელდება აგრეთვე იმ ქონებაზედაც, რომელიც სისხლის სამართლის საქმეთა მაძიებელი მილიკის მეშვეობით უკეთ აღმოჩენილია, მაგრამ ამა დაღვენილების გამოვლენების დღიდა პატიონს ჯერ არ თავისუფასოა.

5. დაევალოს შინაგან საქმეთა სხსხლობ კომისარს გამოსცეს ინ-  
სტრუქტურა ქონგის შეფასებისა და ჯილდოს გარემის წესის შესახებ.

6. დადგენილება ესა ძალაში შედის დღიუან მისი გამოქვეყნებისა.

Տայ. Լուս. Տաթչ. Հյուն. Տաե. Կռծ.

ସାଧ୍ୟ. ତାରୁମଜ୍ଜଳ. ମଣିଲଙ୍ଘ. ୬. ଗୋହିକ୍ଷଣରେ.

სახ. კომ. საბჭოს მდივანი თლ. ხალარიძე.

1923 წ. გათხის 15.

## ଓঝিলোৰি – সাসাৰলঞ্জ.

გამოქვეყნებულია კაზ. „კომუნისტის“ №-111 დე-1923 წ. პარას 18.

40.

## დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა № 96.

ხევართველოს სოციალისტურ საბჭოთა რესპუბლიკის რევოლუციონური კომიტეტის მიერ სამსახურის გამო მივლინებულთა რეგისტრაციისათვის 47 №-ით გამოცემული დადგენილებისა და საქ. სოც. საბჭ. რესპ. სახალხო კომისართა საბჭოს 38 №-ის დადგენილების მე-6 მუხლის შეცვლის შესახებ.

საქართველოს სოციალისტურ საბჭოთა რესპუბლიკის რევოლუციონური კომიტეტის მიერ სამსახურის გამო მივლინებულთა რეგისტრაციისათვის 47 №-ით გამოცემული დადგენილებისა და საქ. სოც. საბჭ. რესპ. სახალხო კომისართა საბჭოს 38 №-ის დადგენილების შესაცვლელად საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭო იდგენს:

1. ოღნიშვილ დადგენილებათგ მე-6 მუხლი შეიცვალოს შემდეგნაირად:

მუხ. 6. ადგილობრივ აღმასრულებელ კომიტეტებს დაევალებათ შემთილონ სამსახურის გამო მომსვლელ და წამსვლელ პირთა ყოველდღიური ოღნიშვილი (რეგისტრაცია), და ამ სარეგისტრაციო აღნიშვილის ამონაშემო წარუდგინონ საონარო სახალხო კომისარიატს, იმ შემთხვევაში, როდესაც უკანასკნელი ამას მოითხოვს.

საქ. სოც. საბჭ. რესპ. სახ. კომ. საბჭოს

თავმჯდომარის მოადგილე ა. გეგეჭიშვილი.

შინაგან საქმეთა სახალხო კომისარის.

მოადგილე ტალახაძე.

სახალხო კომისართა საბჭოს

მდივანი აღ. სალარძე.

1923 წ. მაისის 21.

ტფილისი-სახახლე.

გამოცვეული გან. „კომუნისტის“ №-106 1923 წ. მაისის 24.

41.

## დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ბ № 97

საგარიფო ზოლების გაუქმების შეხახებ.

საქართველოს სოც. საბჭ. რესპ. ტერიტორიის სატარიფო ზოლებიდ დაყოფის შესახებ აქამდე არსებულ დემოლიციებათა გასაუქმებლად, საქართველოს სოც. საბჭ. რესპ. სახალხო კომისართა საბჭო აღგენს: გაუქმებულ იქნეს საქართველოს სოც. საბჭ. რესპ. ტერიტორიაზე სატარიფო ზოლები 1923 წლ. მარტის 1-დან.

საქ. სოც. საბჭ. რესპ. სახ. კომ. საბჭოს  
თავმჯდომარეს მოადგილე ა. გეგეპორი.

სახალხო კომისართა საბჭოს მდივანი აღ. სალარიძე

1923 წ. მაისის 30.

ტფილისი—სასახლე.

გამოქვეყნებულია გაზ. „კომუნისტის“ მე-125 ჟ-ში 1923 წ. ივნისის 3.

42.

## დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ბ № 98

ტფილისში საქართველოს სახელმწიფო საჯარო ბიბლიოთეკის დაანგარიშების შეხახებ.

საქართველოს სოც. საბჭ. რესპ. სახალხო კომისართა საბჭო აღგენს:

1. დაარსებულ იქნეს ქ. ტფილისში „საქართველოს სახელმწიფო საჯარო ბიბლიოთეკა“.

2. ბიბლიოთეკას საფუძვლად დაედგას საქართველოს მუშეუმთან არსებული საჯარო ბიბლიოთეკა და ცენტრალური ცადებისური ბიბლიოთეკა საქართველოს სახალხო კომისართა საბჭოს.

3. საქართველოს სახელმწიფო საჯარო ბიბლიოთეკა დაექვემდებაროს განათლების კომისარიატის სამეცნიერო დაწესებულებათა მთავარ მართველობას.

4. დაღვენილება ესე ძალაში შედის დღიდან მისი გამოქვეყნებისა.

საქ. სოც. საბჭ. რესპ. სახ. კომ.

საბჭოს თავმჯ. მოადგილე ა. გეგეპორი.

განათლების სახალხო კომისარი დ. კანდელაკი.

სახ. კომისართა საბჭოს მდივანი აღ. სალარიძე.

1923 წ. მაისის 30.

ტფილისი—სასახლე.

გამოქვეყნებულია გაზ. „კომუნისტის“ მე-125 ჟ-ში 1923 წ. ივნისის 3.

### 43.

## დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა № 99

დასახიჩებულ მეომართა კავშირის ლიკვიდაციის შეხეხებ.

რადგან აც დასახიჩებულ მეომართა გაერთიანების საკავშირო ფორმა სრულიად არ შეესაბამება ომის ინვალიდთა გაერთიანების ახალ ფორმას, საქართველოს სოც. საბჭ. რესპ. სახალხო კომისართა საბჭო აღეცეს:

1. და შლილიდ გამოცხადდეს საქართველოს სოც. საბჭ. რესპ. დასახიჩებულ მეომართა კავშირი და ყოველგვარი მანდატი, მოწმობა და სხვა საბუთი, კავშირის მიერ წარსულში გაცემული, გაუქმებულად ჩაითვალოს.

2. დასახიჩებულ მეომართა კავშირის მთელი ქონება (უძრავ-მოძრავი), როგორც სახელმწიფოს კუთხისილება, — საბჭოთა ხელისუფლების მიერ კავშირისათვის გადაცემული მხოლოდ დროებითი სარგებლობისათვის, გადავიდეს საქართველოს სოც. საბჭ. რესპ. სოლიალურ უზრუნველყოფის სახალხო კომისარიატის გამგებლობაში და განკარგულებაში.

3. ომის ინვალიდთათვის, რომელთაც მთლად არ დაჰკარგვიათ შრომის უნარიანობა და ესა თუ ის ხელობა იკიან, მათივე შრომით თვით-უზრუნველყოფისათვის, დაუყოვნებლივ მოეწყოს შრომის საწარმოი არტელები იმის ინვალიდთაგან და მისათვის გამოყენებულ იქნეს დასახიჩებულ მეომართა ყოფილი კავშირის ყველა სახელოსნო.

4. ომის ინვალიდთა მთლად უზრუნველყოფის საქმის ორგანიზაცია დამყარებულ იქნეს საქართველოს სოც. საბჭ. რესპ. სოციალური უზრუნველყოფის სახალხო კომისარიატში.

5. დასახიჩებულ მეომართა ყოფილი კავშირისაგან ქონების მისაღებად შესდგეს სპეციალური კომისია სოციალური უზრუნველყოფის სახ. კომისარიატისა და კავკასიის მუშათა და გლეხთა ინსპექციის რწმუნებულის (საქართველოში) წარმომადგენელის მონაწილეობით.

საქ. სოც. საბჭ. რესპ. სახ. კომ.

საბჭ. თავმჯ. მოადგ. ს. გეგეჭკორი.

სოციალური უზრუნველყოფის სახალხო

კომისარი ხომერიკი.

სახ. კომ. საბჭოს მდივანი აღ. ხალარიძე.

1923 წ. მაისის 30.

ტფილისი — სახახლე.

გმირქვეყნებულია გაზ. „კომუნისტის“ მე-125 ქ-ში 1923 წ. ივნისის 3.

## 44.

### დადგენილება № 100

არასრულწლოვანთა მეურვეობის საქმის სახალხო სასამართლოს  
ქვემდებარებიდან გამოყოფის შესახებ.

საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭო აღგენი:

1. არასრულწლოვანთა მეურვეობის საქმე ჩამოერთვას სახალხო მოსამართლეთ და გადაეცეს განათლების სახალხო კომისარიატის გამგებლობას.

2. მეურვეობის საქმის წარმოება გადაეცეს: იმ არასრულწლოვანთა შესახებ, რომელნიც სოფლიდ სცხოვრობენ,—სახალხო განათლების სამართლო განყოფილებას, თექის აღმასრულებელი კომიტეტების მეზვე-ობით, ხოლო ქალაქ ტფილისში მცხოვრებთა შესახებ—განათლების სახალხო კომისარიატის არა სრულწლოვანთა უფლებრივი დაცვის განყოფილებას, დანარჩენ ქალაქებში კი სახალხო განათლების სამართლო საქალაქო განყოფილებას.

3. სამეურვეო დაწესებულებათა მომქმედების განსახიერება შეიძლება საერთო წესით.

4. ამა დაღენილების განსახორციელებლად გამოცემულ იქნეს ინსტრუქტული განათლებისა და იუსტიციის სახალხო კომისარიატების შეირ.

საქ. სოც. საბჭ. რესპ. სახ. კომ.

საბჭ. თავმჯ. მოარგ. ა. გეგეშვილი.

სახ. კომის. საბჭოს მდივანი აღ. სალარიძე.

1923 წ. ივნისის 7.

ტფილისი—სასახლე.

გამოქვეყნებულია გაზ. „კომუნისტის“ №-131 №-ში 1923 წ. მაისის 10.

## 45.

### დ ე პ რ ე ც ი

ნაციონალიზაციისა, მუნიციპალიზაციისა და რეკვიზიციის გზით ჩა-  
მორთმეული ქონების საზოგადოების წესის შესახებ.

1. ყოფილ მესაკუთრეს, რომელსაც ქონება, ამა დეკრეტის გა-  
მოცემამდე ჩამოერთვა ნაციონალიზაციისა, მუნიციპალიზაციისა და  
რეკვიზიციის გზით, ან ვისი ქონებაც, საერთოდ, გაფარიდა სახელ-  
მწიფოებრივი და საზოგადოებრივი დაწესებულების მფლობელობაში და

აგრეთვე მშრომელთა მფლობელობაში, — უფლება არა აქვს მოითხოვოს ამა ქონების უკან დაბრუნება.

**შენიშვნა.** დავის გადაწყვეტის წესი იმ ქონების შესახებ, რომ მელიც ჩიმოერთვა ყოფილ მფლობელს სრულიად საქროველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მესამე სესიის მიერ მიღებულ მიწის რეფორმასთან (1923 წლის თებერვლის 23-ს დადგნილება) დაკავშირებით, — განისაზღვრება ამ საგანზე არსებული ინსტრუქციებით მიწათმოქმედების სახლში კომისარისა.

2. სხვათა შორის ყოფილ მესაკუთრეს არ შეუძლიან მოსთხოვოს ფაქტიურ მფლობელს საოჯახო ნივთები (ავეჯეულობა, ტანისამოსი, თეთრეული, ფეხსაუმელი, ჭურჭლეულობა და სხვ.), — უკეთუ კა ნივთები მიღებულია სათანადო სახელმწიფო (კომუნალური) ორგანოებისაგან დადგნილი წესით.

**შენიშვნა.** წესი კა გაურკლდება ისეთ შემთხვევაზე, როდესაც ნივთი შესანაბად ან სარკვებლობისათვის გადაცემა მის ფაქტიურ მფლობელს იმ პირთან შეთანხმებით, რომელიც წარადგნს მოთხოვნას ქონების დაბრუნების შესახებ.

3. საოჯახო ნივთები, რომელიც მე-2 მუხლში გათვალისწინებული წესით გადასულია მუშათა და მოსამსახურეთა სარგებლობაში, დარჩება მთა სარგებლობაშივე იმ დრომდე, ვიდრე ისინი დასკლიან დაჭრილ სადგომს.

**შენიშვნა.** სათანადო აღმასრულებელ კომიტეტს ნება ეძღვეა, ჰითაგან საქმეთა სახ. კომისარიატის დამტკიცებით, გამოსცეს დაწვრილებითი წესი ამა ნივთების სარგებლობისათვის.

4. ქონების ყოველგვარი კონფისკაცია მომავლისათვის შეიძლება მონდეს მხოლოდ რევიზიციისა და კონფისკაციის კანონის წესისამებრ და საქმე ქონების არაკანონიერი ჩამორთმევის შესახებ, განხილულ უნდა იქნეს სასამართლო დაწესებულებათა მიერ.

5. დეკრეტი ისე ძალაში შედის დღიდან მისი გამოქვეყნებისა.

ხაშ. სოც. საბჭ. რესპ. სახ. კომ. საბჭ.

თავმჯ. მთადგილე ა. გეგემიქორი.

სახ. კომ. საბჭოს მდივანი აღ. სალარიძე.

1923 წ. ივნისის 11.

ტფილისი — სასახლე.

გამოქვეყნებულია გაზ. „კომუნისტის“ მე-135 №-ში 1923 წ.  
ივნისის 15.

## 46.

### დადგენილება № 101

მეურვეობის შეხახებ.

საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭო დაგენერალური, შემოღებულ იქნეს შემდეგი დებულება მეურვეობის შეხებ.

თ ა 3 0 I.

მეურვეობის ორგანოები.

1. საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის ტერიტორიაზე მეურვეობის საქმეს განაგებს: არა სრულწლოვანისას — განათლების სახალხო კომისარიატი, ხოლო სრულწლოვანისას: არა პერათამყოფელისა და შეშლილისა, მფლინგველისა და წერაკითხვის უკოდინარი ყრუ-მუნჯისას — იუსტიციის სახალხო კომისარიატი.

2. აღნიშვნული კომისარიატები მოქმედებენ ქვემოდ დასახელუბულ დაწესებულებათა მეშვეობით, რომელიც ჩაითვლებიან სამეურვეო დაწესებულებად და თავის მიზანს მეურვეობის საქმეში განახორციელებენ მეურვეთა მეშვეობით.

3. სახალხო განათლების კომისარიატის სამეურვეო დაწესებულება არის: ქ. ტფილისში — არა სრულწლოვანთა უფლებრივი დაცვის განყოფილება, სამაზრო ქალაქებში — სახალხო განათლების განყოფილება, ხოლო სოფლიად სახალხო განათლების უახლოესი განყოფილება, რომელიც მოქმედობს თემის აღმასრულებელი კომიტეტის მეშვეობით.

4. იუსტიციის სახალხო კომისარიატის სამეურვეო დაწესებულებად ჩაითვლებიან სახალხო მოსამართლენი.

5. ამ სამეურვეო დაწესებულებათა მოვალეობას, მეურვეობაში მყოფთათვის ზრუნვის საერთო ღონისძიებათა გარდა, შეაღენს მეურვეობის დაწესება და გაუქმება, მეურვეის დანიშვნა და დათხოვნა და მისი მოქმედების საერთო ზეთამხედველობა.

6. სახალხო განათლების კომისარიატს ექვემდებარება: მცირე-წლოვანთათვის ზრუნვის საერთო ღონისძიებათა ხელმძღვანელობა და სახალხო განათლების განყოფილებათა მოქმედების ზედამხედველობა.

7. მეურვე დაიცვას მეურვეობაში მყოფის ყველა პირადსა და ქმნებრივ ინტერესს და ჩაითვლება მის კანონიერ წარმომადგენლიად.

۱۵۳۰ II.

მეურვეობის დაწესება და გაუქმება.

8. მეურვეობა დაწესდება არა სრულწლოვანისათვის, სრულწლოვანთა შორის კი—სულით ავადმყოფისა, მფლანგველისა და წერაკის ხვის უცოდნარი ყრუ-მუნჯისათვის და განხორციელდება საამისოდ სპეციალურად დანიშნული მეურვის მიერ.

9. არა სრულწლოვანია ჩითოლება ის, ვისაც 18 წელი არ შესრულება.

10. მეურვეობაში მიცემულ უნდა იქნეს ყველა არა სრულწლოვანი, რომელიც არ იმყოფება მშობლებისა ან ერთი მათგანის ზრუნვაზე.

11. სულიოთ ავალმყოფი მიცემულ უნდა იქნეს მეურვეობაში, კუთხული დაგენერილ წესით ცნობილ იქნება, რომ იგი სულიოთ ავალმყოფია.

12. მეურვეობა უნდა დაწესდეს მეურვეობაში მისაცემი პირის სა-  
კონვენციელ აღვილას, ხოლო მისი ქონებისათვის, უკეთ ეს ქონება  
სხვაგან აქვს, — მაგრამ აღვილას.

15. ასეთი ცნობის მიღებისას სახლობო მოსამართლე მოქმედობს თანამარტინ განაკუთრებული ინსტრუქციისა.

**შენიშვნა.** სულით ავადმყოფთა შემოწმება მოხდება იუსტიციის სახალხო კომისარიატის ფალები ინსტანციით.

16. სულიოთ ავადმყოფად ცნობილის მეურვედ ინიშნება ქმედობა-  
უნარიანი პირი, რომელიც ავადმყოფის სიკვდილის შემდეგ შეიძლება  
მისი მეტყობრივი იყოს.

17. ჟერუვეობის დანიშვნის შესახებ განკადება უნდა იქნეს გამოკიტოთ იმ დაწესებულებებაში, რომელიც მეურვეობას დაპირდის.

18. დაინტერესებულ პირს უფლება აქვს ერთი თვის განმავლობაში, განტხადების დაწესებულებაში გამოკვრის დღიდან, განასაჩინქოს დაზღვნილება შეუტრენდის დანიშნის შესახებ, იმ ადგილის სისამართლეს

ლოში, სადაც მეურვეობის დანიშვნელი დაწესებულებაა, ხოლო თუ მეურვეობა დაწესებულია სახალხო მოსამართლის მიერ—სახალხო მოსამართლეთა საბჭოში.

19. მეურვეობა მოისპობა, უკეთუ მისი დაწესების სამუშავლი დარ არსებობს.

20. მეურვეობა არა სრულწლოვანისა მოისპობა, როგორც კი მას 18 წელი შეუსრულდება.

21. მეურვეობა სულით ავადმყოფისა მოისპობა სახალხო მოსამართლის დადგენილებით, როგორც ადგილობრივი განყოფილება აუზუბძს სახალხო მოსამართლეს, რომ ეს პირი განკურნებულად ცნობილია.

### თ ა ვ ი III.

#### მეურვის დანიშვნა და დათხოვნა.

22. მეურვე დანიშნულ უნდა იქნეს ერთი კვირის განმავლობაში იმ დღიდან, როდესაც სათანადო დაწესებულება, რომელიც გამგებლობს მეურვეობას, შეიტყოს ასეთი დანიშვნის საჭიროებას.

**შენიშვნა.** ერთი და იგივე მეურვე შეიძლება დაენიშნოს როგორც ერთს, ისე რამდენსამე პირს; შესაძლებელია იგრეთვე თანამეურვის დანიშვნაც.

23. მეურვედ უნდა დაინიშნოს სრულწლოვანი, რომელსაც აქვს ამ მოვალეობის ასრულების უნარი.

24. მეურვედ არ შეიძლება დაინიშნოს:

- ის, ვინც თვით იმყოფება მეურვეობაში,
- სასამართლოს წესით უფლება შეზღუდული,
- ის, ვისა ინტერესიც ეწინააღმდეგება მეურვეობაში მყოფის ინტერესს და განსაკუთრებით ის, ვინც მისდამი მტრულია არის განწყობილი.

25. მეურვის დანიშვნის დროს უპირატესობა მიეცემა იმ პირს, ვისაც აირჩიეს მეურვეობაში მისაცემი, (უკეთუ იგი სულით ავადმყოფი არ არის და მას 14 წელი შესრულებია), ან მისი დედა თუ მმა, ხოლო უკეთუ ასეთი პირი არ აღმოჩნდა—მეურვეობაში მისაცემი პირის მახლობელ ნათებას ან მეუღლეს.

26. მეურვის დანიშვნის დროს იმ პირთაგან, რომელიც ნაჩვენებია 25 მუხლში, დაწესებულებამ, რომელიც განვითარებს მეურვეობის საქმეს, მხედველობაში უნდა მიიღოს, როგორც პირადი დამოკიდებულება დასანიშნი მეურვისა და მეურვეობაში მისაცემ პირს შორის, ისე საცხოვრებელი ადგილის სიახლოეს.

27. მეურვედ არჩეულ პირს დაუყოვნებლივ ეცნობება წერილობით მისი მეურვედ დანიშნვა. ამავე დროს ამის შესახებ უნდა გამოკიტოს განტხადება იმ დაწესებულებაში, რომელიც მეურვეობას დაპირიშვნებს.

28. განსაჩივრება დადგენილებისა, ამა თუ იმ პირის მეურვედ დანიშნვის შესახებ სწორობებს იმავე წესით და იმავე ვადაზე, რაც აღნიშნულია 18 მუხლით.

29. საქროველოს რესპუბლიკის ყოველი მოქალაქე, რომელიც დაინიშნება მეურვედ, ვალდებულია იყისროს მეურვეობა.

30. მეურვეობაზე უარის თქმა შეუძლიან:

ა) იმას, ვისაც 60 წელი შეუსრულდა;

ბ) იმას, ვინც ფიზიკური ნაკლის გამო გაქირვებით თუ შეს- ძლებდა მეურვის თანამდებობის აღსრულებას;

გ) იმას, ვინც ანხორციელებს მშობლიურ უფლებას ორისაზე მეტ შვალის მიმართ;

დ) იმას, ვინც ერთ მეურვეობას უკვე ეწევა.

31. უკეთუ არსებობს ერთ-ერთი, 30 მუხლის აღნიშნული მიზეზი მეურვეობაზე უარის თქმისათვის, მეურვედ დანიშნულს ერთი კვირის განმავლობაში იმ დღიდან, როდესაც მას მეურვედ დანიშვნა ეცნობება, შეუძლიან განახორციელოს უარის თქმის უფლება, ხოლო, თუ უარი არ განაცხადა, ეს განუცხადებლობა თანხმობად ჩაითვლება.

32. უკეთუ განცხადებული უარი საფუძვლიანიდ იქნა ცნობილი, მეურვედ სხვა პირი უნდა იქნეს ამორჩეული, ხოლო, ვიდრე ახლად დანიშნულ მეურვეს გადაეცემოდეს მეურვეობა, უარის განმაცხადებელი ვალდებულია შესრულოს მეურვის მოვალეობა.

33. მეურვეობა მიღებულად ჩაითვლება იმ დღიდან, როდესაც არჩეული პირი მიღებს უწყებას მისი მეურვედ დანიშვნის შესახებ.

34. მეურვის მოვალეობა მოისპობა მეურვეობის გაუქმებასთან ერთად, და აგრეთვე იმ შემთხვევაში, რაც გათვალისწინებულია 24 მუხლით.

35. მეურვე შეიძლება გადაყინებულ იქნეს სათანადო სამეურვეო დაწესებულების დადგენილებით, უკეთუ აღმოჩნდება, რომ იგი დაუ- დევარი და ბოროტად იყენებს თავის უფლებას, და აგრეთვე იმ შემ- თხვევაში, როცა იმდენად არა-ქმასაყოფელად ასრულებს მეურვის მოვალეობას, რომ მეურვეობაში მყოფი პირის ინტერესებს საფრთხე მოელის.

36. მეურვის დათხოვნა ერთ-ერთი იმ საფუძვლით, რაც აღნიშ- ნულია 35 მუხლში, შეიძლება მოითხოვოს, როგორც თვით მეურვეო- ბაში მყოფმა, აგრეთვე ყოველმა დაინტერესებულმა მესამე პირმაც.

37. მეურვის დათხოვნაზე დადგენილების გამოტანამდე სამეურვეო დაწესებულება მოვალეა გამოიძიოს საქმის გარემოება და გამოკითხოს მეურვე.

38. უკეთუ მეურვეობის აღსრულების დროს აღიძერის ისეთი გარემოება, რაც თანახმად 30 მუხლის „ა“ და „გ“ პუნქტისა საფუძველი იქნება მეურვეობის თავიდან აცილებისათვის, მეურვეს შეუძლიან ითხოვოს მეურვეობიდან დათხოვნა 31 მუხლში აღნიშნული წესისამებრ.

### თ ა ვ ი IV.

ზრუნვა მეურვეობაში მყოფის პიროვნებისათვის, მისი ქონების გამგეობა და სამეურვეო ორგანოების პასუხისმგებლობა.

39. მეურვეობაში მყოფის პირადი და ქონებრივი ინტერესის დაცვა დაეკისრება მეურვეობის განმხორციელებელ მეურვეს, რომელიც ითვლება მის წარმომადგენლად სასამართლოს წინაშე და სასამართლოს გარეშე.

40. არა სრულწლოვანის მეურვე ზრუნვას მეურვეობაში მყოფის პიროვნებისათვის, მისი აღზრდისათვის და იმისათვის, რომ იგი მომზადებულ იქნეს სასარგებლო მოღვაწეობისათვის.

41. მეურვე მოვალეა შექმნებისადაგვარად თავისთან იყოლის არა სრულწლოვანი მეურვეობაში მყოფი და, თუ ამას მოითხოვს უკანასკნელის ინტერესები, უფლება აქვს მოსთხოვოს მისი დაბრუნება ყველას, ვინც თავისთან ამყოფებს და მეურვეობას უწევს არა-სრულწლოვანს არა კანონის ან სასამართლოს დადგენილების საფუძველზე.

42. არა-სრულწლოვანის აღსაზრდელად და სასწავლებლად მიბარება და აგრეთვე ამის შეუსრულებლობის მიზნზი მეურვემ უნდა იცნობოს სათანადო დაწესებულებას, რომელიც განვითარებს მეურვეობის საქმეს.

43. 14 წლის ჰასაკ შესრულებულ მეურვეობაში მყოფი პირის თანხმობით, მისი პირადი დაქირავებისათვის ხელშეკრულების დასაღებად, მეურვემ უნდა გამოითხოვოს ნებართვა სათანადო სამეურვეო დაწესებულებისა.

44. სულით ავადმყოფის მეურვე მოვალეა დაიცვას იგი და ხელი შეუწყოს მას ყველა პირად და ქონებრივ საქმეში და იზრუნოს მისი ჯანმრთელობისათვის.

45. უკეთუ საქიროა, რომ სულით ავადმყოფი მოთავსებულ იქნეს სათანადო სამკურნალო დაწესებულებაში, მეურვემ ეს უნდა განუცხადოს ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატს, რომელიც დანიშნავს მკურნალთა კომისიას. ეს კომისია გადასწყვეტს საკითხს სულით-ავადმყოფის სამკურნალო დაწესებულებაში მოთავსების საჭიროების შესახებ.

46. მეურვე უნდა განაგებდეს მეურვეობაში მყოფი პირის ქონებას ისე, როგორც მზრუნველი და მშრომელი პატრონი.

47. მეურვეს, როგორც მეურვეობაში მყოფის წარმომადგენელს, უფლება ქვეს დასრულებული ის გარიგება, რომლის დადებაც შეეძლებოდა თვით მეურვეობაში მყოფს, რომ იგი ქმედობა-უნარიანი ყოფილიყო, იმ შემთხვევის გარდა, რაც აღნიშნულია 48—53 მუხლში.

48. მეურვეს არ შეუძლიან მეურვეობაში მყოფის წარმომადგენელი იყოს, უკეთუ გარიგებაა დასადები, ან აღძრულია საჩივარი ერთის მხრით მის მეუძლიანია ან მისი ერთ-ერთი აღმავალი ან შთამავალი შტოის ნიშვასისა და მეორეს მხრით მეურვეობაში მყოფის შორის. საეციალურად ამისათვის უნდა დაინიშნოს საგანგებო მეურვე-წარმომადგენელი.

49. მეურვეს არ შეუძლია გამოვიდეს ხელშეკრულების დამდებარედ, ისეთ ხელშეკრულებაში, რომელიც მის მეურვეობაში მყოფი პირის ქონებას შეეხება, და აგრეთვე შეიძინოს რაიმე მოთხოვნის უფლება მეურვეობაში მყოფის წინააღმდეგ.

50. იმ ვალის გადახდისათვის, რაც მეურვეობაში მყოფისაგან ერგება თვით მეურვეს მისი მეურვედ დანიშნამდე დადებული ხელშეკრულებით, საჭიროა ნებართვა სათანადო დაწესებულებისა, რომელიც განაგებს მეურვეობის საქადეს.

51. მეურვეს არ შეუძლიან მოახდინოს განსაჩუქრება, როგორც მეურვეობაში მყოფის წარმომადგენელმა.

52. მეურვე ვალდებულია ყოველ წელიწადს არა უგვიანეს იანვრის 15-სა წარუდგინოს ხოლმე სამეურვეო დაწესებულების წერილობითი ინგრიში მეურვეობაში მყოფი პირის ქონების გამგებლობის შესახებ და აგრეთვე იმის შესახებ, თუ რა ღონისძიებას იღებდა იგი მეურვეობაში მყოფი პიროვნების მზრუნველობისათვის.

53. მეურვეს არ შეუძლიან იყისროს პირგაუტეხლობის ჯარიშის გადახდა მეურვეობაში მყოფი პირის სახელით.

54. მეურვეობაში მყოფი პირის შენობის ან სააღნაგო უფლების გასხვისებისა ან რაიმე ვალდებულებით დატვირთვისათვის მეურვემ უნდა გამოითხოვოს ნებართვა სათანადო დაწესებულებისაგან, რომელიც განაგებს მეურვეობის საქმეს.

55. მეურვეობაში მყოფი პირის ქონების გამგებლობისათვის სამეურვეო დაწესებულება დაუნიშნავს მეურვეს გასამრჯელოს, რისთვისაც მხედველობაში უნდა მიიღოს:

ა) მეურვეობაში მყოფი პირის ქონების წმინდა შემოსავალი;

ბ) ის, თუ რამდენად უზრუნველყოფილია ქონებრივად თვით მეურვე და

გ) რა შრომას ეწევა მეურვე სამეურვეო ქონების გამგებ-ლობისათვის.

56. მეურვეობის გაუქმების შემდეგ მეურვეობაში ყოფილს უფ-ლება აქვს მოსთხოვოს მეურვეს ანაზღაურება ყველა იმ ზიანისა და ზიაღისა, რაც მიყენებულია მეურვის არა-კეთილსინდისიერი და და-უდევარი გამგებლობით.

57. მეურვეობის გაუქმების შემდეგ მეურვე წარადგენს საერთო ანგარიშს.

58. მეურვის ყოველი მოქმედება ქონების გამგებლობისა და მეუ-რვეობაში მყოფი პიროვნებისათვის ზრუნვის საქმეში—შეიძლება ყო-ველ დროს იქნეს განსაჩივრებული სათანადო სამეურვეო დაწესებულე-ბაში, როგორც თვით მეურვეობაში მყოფი პირისა, ისე მესამე დაინ-ტერესებული პირისაგან.

59. სამაზრო განყოფილების დადგენილება მეურვის მოქმედებაზე შეტანილ საჩივრის გამო, უკეთუ ეს დადგენილება არა-სრულწლოვანს შეეხება, შეიძლება განსაჩივრებულ იქნეს განათლების სახალხო კომი-სარიიარში.

60. საჩივარი სამაზრო განყოფილების მოქმედებასა და დადგენი-ლებაზე უნდა შეტანილ იქნეს განათლების სახალხო კომისარიატში, რომელმაც უნდა განიხილოს იგი არა უკვითნეს ორი კვირისა მისი შეტანის დღიდან.

61. უკეთუ სახალხო კომისარიატის მიერ განსაჩივრებული დად-გენილება ძილაში იქნება დატოვებული, დაინტერესებულ პირს უფლე-ბა აქვს დავა, აღნიშნული დადგენილების გამო აღძრის საჩელის სა-ზოგადო წესით.

62. ამა თავში აღნიშნული წესები სათანადოთ შეფარდებულ უნდა იქნეს იმ შემთხვევისათვისაც, როდესაც მეურვეობა დანიშნულია რაიმე სხვა საფუძველზე.

საქ. სოკ. საბჭ. რესპ. სახ. კომისართა  
საბჭოს თავმჯდომარე შ. ელიაშვილი

საქ. სოკ. საბჭ. რესპ. სახ. კომისართა  
საბჭოს მდივანი ალ. სალარიძე.

1923 წ. ივნისის 16.  
ტფილისი—სასახლე.

გამოქვეყნებ. გაზ. „კომუნისტის“ მე-139-140 №-ზე 1923 წ.  
ივნისის 20-21.

47.

## დაზღვილება № 102

გლეხთა საზოგადოებრივი საურთიერთო დახმარების კომიტეტის და-  
არსების შესახებ.

გლეხთა საზოგადოებრივი საურთიერთო დახმარების კომიტეტის  
და ხელოსანთა, შინა-მრეწველთა და სხვა წვრილ მწარმოებელთა (რო-  
მელნიც სხვის შრომის ექსპლოატაციის არ ეწევიან) საურთიერთო და-  
ხმარების საზოგადოებათა მოწყობის შესახებ სრულიად ხაქართველოს  
საბჭოთა ცენტრალური ორგანიზაციის კომიტეტის პრეზიდიუმის მიერ  
მე-9 №-ით გამოცემული დადგენილების აღსასრულდებლად, აგრეთვე თა-  
ნახმად იგივე პრეზიდიუმის 1923 წ. თებერვლის 27 დადგენილებისა,  
რომელითაც ამ საქართველოს გადაეცა საქართველოს სოც.  
საბჭ. რესპუბლიკის აღდგენილ სოციალური უზრუნველყოფის სახალხო  
კომისარიეტს საქართველოს სოც. საბჭ. რესპ. სახალხო კომისართა საბ-  
ჭო აღგენს:

1. წინადადება მიეცეს ყველა სამართო, სარაიონო და სათემო აღ-  
მასრულებელ კომიტეტს აუქრიონ ყოველგვარი დახმარება საქართველოს  
სოც. საბჭ. რესპ. სოციალური დახმარების სახალხო კომისარიატს მის  
მუშაობაზი—ზემოაღნიშნულ საურთიერთო დახმარების ორგანიზაციე-  
ბის შექმნისათვის და არსთანავე თვით მიიღონ ამ საქმეზი უაღრესი  
აქტიური მონაწილეობა.

2. წინადადება მიეცეს მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატს—  
მიუჩინოს ხოლმე გლეხთა საზოგადოებრივი საურთიერთო დახმარების  
კომიტეტს მიწის ნაკვეთები და ღმისუნინოს მათ ყოველგვარი სისოფ-  
ლო-სამეცნიერო დახმარება (თესლეულით და სხვ.) მათი ნატურალური  
ფონდის გასაძლიერებლად.

საქ. სოც. საბჭ. რესპ. სახ. კომ.

საბჭ. თავმჯ. მოადგ. ა. გეგეშეკორი.

სოციალური უზრუნველყოფის სახალხო

კომისარი ხმეტიოკი.

სა. კომ. საბჭოს მდივანი აღ. ხალახიძე.

1923 წ. ივნისის 26.

ტფილისი—სასახლე

გამოქვეყნებულია გთხ. „კომუნისტის“ მე-148 №-ზი 1923 წ. ივნისის 30.

48.

## დადგენილება № 103

წყლისა და წყლის ენერგიის სარგებლობისათვის ხასყიდლის დაწესების გამო 1922 წ. აგვისტოს 31 თარიღით და 46 №-რით გამოცემული დადგენილების მოქმედების გაუქმების შეხეხება.

საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭო აღდგნს:

საქართველოს სოც. საბჭ. რესპ. სახალხო კომისართა საბჭოს მიერ წყლისა და წყლის ენერგიის სარგებლობისათვის ხასყიდლის დაწესების შეხეხება—1922 წ. აგვისტოს 31 თარიღით და 46 №-რით გამოცემული დადგენილების მოქმედება გაუქმებულ იქნება სრულიად.

დადგენილება ეს ძალაში შედის დღიდან მისი გამოქვეყნებისა.

საქ. სოც. საბჭ. რესპ. სახ. კომ.

საბჭ. თავმჯ. მთადგილე ხ. გეგეპეკორი.

სახ. კომის. საბჭოს მდივანი აღ. სალარიძე.

1923 წ. ივნისი 29.

ტფილისი—სასახლე.

გამოქვეყნებულია გაზ. „კომუნისტის“ მე-151 №-ში 1923 წ. ივლისის 4.

## საქართველოს საგვირო ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის

დეკრეტი, დადგენილებათა და დებულებათა კრებულის ქრონო-  
ლოგიური ხარჩევი.

(1923 წ. 1 იანვრიდან—1 ივლისამდე).

ს ა თ ა უ რ ი.

კრებულის  
რომელ  
გვერდზეა  
ქანონი და  
ბეჭდილი.

1. დეკრეტი. სამომხმარებლო კოოპერაციის შესახებ . . . . . 5 — 8
2. დადგენილება № 29—საერთო-სახელმწიფოებრივი მნიშვნელობისად გამოცხებული საკურორტო აღილებში სანატორიუმ. და დაზმარე დაწესებულებათა მოსაწყობად გამოსადევი საგომებისა და შენობათა საკურორტო სამართველოს გმგბლობაში გადაცემის შესახებ . . . . . 8 — 12
3. დეკრეტი. საერთო - ახელმწიფოებრივი მნიშვნელობის სამკურნალო აღილების (კურორტების) შესახებ . . . . . 13 — 14
4. დადგენილება № 31 მიწის რეფორმის განხორციელების /შესახებ . . . . . 14 — 17
5. დადგენილება — იმნიტია . . . . . 17 — 20
6. დადგენილება № 1. სოციალური უზრუნველყოფის სახ. კომისარიატის აღდგნის შესახებ . . . . . 20 — 21
7. დეკრეტი. მაზრის სრაიონი საგადასხადო საკრებულოების შემადგენლობის შევსების შესახებ . . . . . 21 — 22
8. დადგენილება № 3. ქართულ მსროლელ დივიზიის სახელი რეფოლიურინური ტრიბუნალის შესახებ . . . . . 22 — 25
9. დადგენილება № 3. მექანიზმისათვის პასუხისმგებლობის გაძლიერების შესახებ . . . . . 25 — 26
10. დეკრეტი. სისხლის ამართლის 134 მუხლის გავრცელების შესახებ სახელმწოდებრივი მინიჭების განსახორციელებელ ორგანიზაციას დადგენილი ხელშეკრულების შეუსრულებლობაზე. . . . . 27

11.	დადგენილება № 35. სახელმწიფო ღერბიანი ბეჭდის ხმარების შესახებ . . . . .	27—29
12.	დადგენილება № 36. 1901 წ. დაბადებულ მოქალაქეთა ჯარში გაწვევის შესახებ . . . . .	29—32
13.	დებულება მიწათ-მოწყობის შესახებ ქალაქებში . . . . .	32—36
14.	დადგენილება № 37. სასამართლოს და პროკურატურის მომუშვეთა დატუსალების წესის შესახებ . . . . .	37
15.	დადგენილება № 38. პროკურატურის დებულების და- მატების შესახებ . . . . .	38
16.	დეპრეტი. მექანიზრეობის სამართლის შესახებ . . . . .	38—43
17.	დებულება. სავალ-ტებულო დაღვნილებათა გამოცემის წესისა და მათი დარღვევისათვის აღმნისტრატიული წესით დასჯის შესახებ . . . . .	43—46
18.	დადგენილება № 39. ოფილობრივი მომასრულებელი კომიტეტის სასაჩვენებლოთ სახელმწიფო გადასახადზე პროცენტული ზედნართის შემოღების წესის შესახებ . . . . .	47
19.	დადგენილება № 40. 1922 წ. შარაგზით ტვირთზიდ- ვის ხარჯის მოუხდელობისათვის პასუხისმგებლობისაგან განთავისუფლების შესახებ . . . . .	48
20.	დეპრეტი— 1921—1922 წ.წ. სასურსათო გადასახადის ნაჩერის გადახდევინების მოსპობის შესახებ . . . . .	49
21.	დადგენილება № 41. ს. ს. საბჭოთა ცენტრ. ომასრუ- ლებელი კომიტეტის პრეზიდულში აკრეტებისა და დატევნილებების პროექტების განხილვის წესის შესახებ . . . . .	49—51
22.	დადგენილება № 42. ფიზიკური განვითარების საქმის მოწყობის შესახებ . . . . .	51—54
23.	დეპრეტი. წითელ არმიელთა და მათი ოჯახების უზ- რუნველყოფის შესახებ . . . . .	54—57
24.	დადგენილება № 43. „შოვის“ სანატორიუმის და კუ- რორტის მოსაწყობად ყველგან საქართველოში სა- ვაჭრო-სამრეწველო საწარმოთ მიერ ეროდიური ვაჭ- რობის მთელი შემოსავლის $10\%$ ანარცხის გადაღ- ბის შესახებ . . . . .	58
25.	დადგენილება № 44. ფიზიკური კულტურის საბჭოს დებულების მე-5 მუხლის შენიშვნის გაუმჯობის შესახებ.	59

## ს. ს. ს. რ. სახელმწ. კომისართა საბჭოს

დეკრეტი, დადგენილებათა და დებულებათა კრებულის ქონის-  
ლოგიური სარჩევი.

(1923 წ. იანვრის 1-დან ივნისის 1-მდე).

გვ. ა. თ ა უ რ 0.

კრებულის  
რომელ  
გეგრდზეა  
იხოვნ და-  
მეცდილი.

	კრებულის რომელ გეგრდზეა იხოვნ და- მეცდილი.
1. დადგენილება № 67. წარმოებაში მოზარდთა სავალ- დებულო რიცხვის დაწესების შესახებ . . . . .	63—64
2. დადგენილება № 68. ყველა სამხედრო ტაძრის საქ- კომუნისტური ახალგაზრდობის კაშირისადმი გადაცე- მის შესახებ . . . . .	64—65
3. დეკრეტი. ამიერ-კავკასიის ერთიანი ფულის ნიშნების გამოცემის შესახებ . . . . .	65—67
4. დეკრეტი. ამიერ-კავკასიის ერთიანი ფულის ნიშნების მიხედვით ანგარიშის წარმოების თაობაზე . . . . .	67—68
5. დადგენილება № 69. საქართველოს წითელ ჯვრის სა- ზოგადოების წესდების შეცვლის შესახებ . . . . .	69
6. დებულება. ლიტერატურისა და გამოწერილობის საქმის მთავარი მართველობის შესახებ . . . . .	69—72
7. დებულება. უმაღლეს სახელმწიფო შესახებ . . . . .	73—80
8. დეკრეტი. სახელმწიფო და კომუნალური ქონების, აგრეთვე კომპერატივთა ორგანიზაციების ქონების ცე- ცხლით მიყენებული ზარალისაგან სავალდებულო არ- საბეგრავი დაზღვევის შესახებ . . . . .	81—83
9. დეკრეტი. შრომის უნარის ღროვებითი დაკარგვის შემთ- ხვევაში მუშა-მოსამსახურეთა შრომის უნარის უქონ- ლობის პირუელი სამი დღის განმავლობაში სოციალუ- რი უზრუნველყოფის შესახებ . . . . .	84—85
10. დეკრეტი. დამზღვევ საბჭოთა გაუქმების შესახებ . . .	85—86
11. დეკრეტი. სოციალური დაზღვევისაგან თავის განრი- ცებისა და დაზღვევის გადასახადის გაუღებლობისათვის გადახდევინების თაობაზე . . . . .	86—88

12.	Ըստ գործությունների գաղտնաբառների շեմանը	88—90
13.	Ըստ պատճենների գաղտնաբառների շեմանը	90—91
14.	Ըստ պատճենների գաղտնաբառների շեմանը	91—92
15.	Ըստ պատճենների գաղտնաբառների շեմանը	92
16.	Ըստ պատճենների գաղտնաբառների շեմանը	93
17.	Ըստ պատճենների գաղտնաբառների շեմանը	93—94
18.	Ըստ պատճենների գաղտնաբառների շեմանը	95
19.	Ըստ պատճենների գաղտնաբառների շեմանը	95—96
20.	Ըստ պատճենների գաղտնաբառների շեմանը	96—97
21.	Ըստ պատճենների գաղտնաբառների շեմանը	97
22.	Ըստ պատճենների գաղտնաբառների շեմանը	98
23.	Ըստ պատճենների գաղտնաբառների շեմանը	99
24.	Ըստ պատճենների գաղտնաբառների շեմանը	91—100
25.	Ըստ պատճենների գաղտնաբառների շեմանը	101—102

26. დადგენილება № 83. კინაობის წიგნაკების შემოღების  
შესახებ . . . . . 102—103

27. დადგენილება № 84. 1923 წელში შრომისა და შარავ-  
ზით ტვირთხილების ხარჯის გატარების წესის შესახებ . 104—105

28. დადგენილება № 85. ყველა საპატიმრო ადგილის ში-  
ნაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის გამგებლობაში  
გადაცემის შესახებ . . . . . 105—106

29. დეკრეტი. მატულის მონაბოლიის გაუქმების შესახებ . 106

30. დეკრეტი. საქართველოს სააღგილ-მამულო ბანკებში  
ტუილისის საქალაქო საკრედიტო საზოგადოებაში და-  
გირავებული-საქართველოს სოც. საბჭ. რესპ. ქალა-  
ქებში მდგბარე-ხახლების გამო საქ. ს. რ. სახალხო  
კომისართა საბჭოს მიერ 1922 წ. დეკრეტის 28-ს თა-  
რიღითა და 16 №-ით გამოცემული დეკრეტის შეცვლისა  
და დამატების შესახებ . . . . . 107—108

31. დადგენილება № 87. საქართველოს რევოლუციონური  
კომიტეტის მიერ აღილობრივ გადასახადთა შესახებ  
1922 წ. თებერვლის 5-ს გამოცემული დებულების  
ზოგიერთი მუხლის შეცვლისა და დამატების შესახებ . 108—109

32. დადგენილება № 88. გაუქმებულ სასამართლო და-  
წესებულებებში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამდე  
წარმოგბული საქმეების მოსპობის შესახებ . . . . . 109—110

33. დადგენილება № 89. 1922 წ. საგადასახადო წლის  
საშემოსავლო გადასახილის განაკვეთის გადიდების შე-  
სხებ . . . . . 110—111

34. დადგენილება № 90. შრომისა და შარავზით ტვირთ-  
ზიდების გადასახადის ფულად გადახდენენების შეტერების  
შესახებ . . . . . 111

35. დადგენილება № 91. ლიკვიდაციაქმნილი ბანკების  
მიერ ძევლი ვექსილებითა და სხვა ვალდებულებით გა-  
ციმული სესხის გადახდენების შესახებ . . . . . 112

36. დადგენილება № 92. მოქალაქეობის მდგომარეობის  
ქრიტების ჩაწერების სასყიდლის დაწესების შესახებ . . . . . 112—113

37. დადგენილება № 93. საამშენებლო სამუშაოსათვეის  
ხარჯთ-აღრიცხვის შედეგის წესის შესახებ . . . . . 113—114

38. დადგენილება № 94. სამოქალაქო საქმეთათვეის გახაწევი  
სასამართლო ხარჯების თოვბაზე გამოცემულ დადგენი-  
ლებთა შეცვლისა და დამატების შესახებ . . . . . 115

IV

- |     |   |  |         |
|-----|---|--|---------|
| 39. | დადგენილება № 95.   | სისხლის სამართლის ხაქმათ<br>მაძიებელი მილიციის თანამშრომელთათვის ბოროტ-<br>მოქმედებით მოპოვებული ქონების აღმოჩენისათვის ჯილ-<br>დოს დაწესების შესახებ . . . . .  | 115—116 |
| 40. | დადგენილება № 96.   | საქართველოს სოც. საბჭ. რესპ.<br>რევოლუციონური კომიტეტის მიერ სამსახურის ვიზი<br>მიყლინებულთა რევისტრაციისათვის 47 №-ით გამოცე-<br>მული დადგენილებისა და ს. ს. რ. სახალხო კომი-<br>სართა საბჭოს 38 №-ის დადგენილების მე-6 მუხ. შეც-<br>ვლის შესახებ . . . . . | 117     |
| 41. | დადგენილება № 97.   | სატარიფო ზოლების გაუქმების<br>შესახებ . . . . .  | 118     |
| 42. | დადგენილება № 98.   | ტფილისში საქართველოს სახელ-<br>მწიფო საჯარო ბიბლიოთეკის დაარსების შესახებ . . .  | 118     |
| 43. | დადგენილება № 99.   | დასახიჩრებულ მეომართა კავში-<br>რის ლიკვიდაციის შესახებ . . . . .  | 119     |
| 44. | დადგენილება № 100.  | არასრულწლოვანთა მეურვეოთ-<br>ბის საქმის სახალხო სასამართლოს ქვემდებარეობიდან<br>გამოყოფის შესახებ . . . . .  | 120     |
| 45. | დექრეტი. ნაციონალიზაციისა, მუნიციპალიზაციისა და<br>რეკინიციის გზით ჩამორთმეული ქონების სარგებლო-<br>ბის წესის შესახებ . . . . . | 120—121  |         |
| 46. | დადგენილება № 101.  | მეურვეობის შესახებ . . . . .   | 122—128 |
| 47. | დადგენილება № 102.  | გლეხთა საზოგადოებრივი<br>საურთიერთო დახმარების კომიტეტის დაარსების შე-<br>სახებ . . . . .  | 129     |
| 48. | დადგენილება № 103.  | წყლისა და წყლის ენერგიის<br>სარგებლობისათვის სასყიდლის დაწესების გამო 1922 წ.<br>აგვისტოს 31-ს თარიღით და 46 №-ით გამოცემული<br>დადგენილების მოქმედების გაუქმების შესახებ . . . . .  | 130     |